

კარლო. გელაძე

36289

პრეზიდენტი  
უკრაїна-ცხოვრიშისათვის



ს ა ს ი ლ მ წ ი ლ ი ბ ა მ ა მ ი ლ ი დ ი ლ ი ბ ა

ტყილისი

1931



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମାଲା  
ସେତୁ 985, ମତାପୁର୍ ୧୮୯୯, ଟ. 4000

## მართეველთა საზურადლებოდ.

ჩვენი წიგნი „ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის“ კომკავშირული ყოფის აქტუალურ საკითხებს ეხება, მაგრამ მასში ადგილი აქვს მთელ რიგ უხეშ შეცდომებს. ეს შეცდომები ძირითადში „მემარცხენე“ ხასიათისაა, რაც შემდეგში გამოიხატება:

კერძოდ, მე პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნია ჩემს შიერ მტკიცება შესახებ იმისა, ვითომდა დღეს ჩვენ არ გვყავდეს ახალი ადამიანები; უდავოდ შემცდარია ის აზრი, რომელსაც წიგნის 93 გვერდზე ვწერ: „დავსვათ კითხვა: გვყავს თუ არა ჩვენ ასეთი ადამიანი (ლაპარაკია ახალ ადამიანზე)?“ სინამდვილით გამართლებული დასკვნა იქნება, თუ ვიტყვით, რომ ასეთი ადამიანი ჯერ ჩვენ არ გვყავს და არც შეიძლება გვყავდეს. იმავე აზრს უფრო შემცდარად ვავითარებ 95 გვერდზე, როცა ვამბობ: „ახალი ადამიანი მხოლოდ ის არის, ვინც სავსებით ნამდვილი კომუნისტია პირად ცხოვრებაშიც; ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ჩვენში ახალი ადამიანის შექმნა დღეს შეუძლებელია, ვიდრე არ მოხდება ქვეყნის რეკონსტრუქციასთან ერთად ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქცია“. აქედან გამოდის, ვითომ ქვეყნის სოც. რეკონსტრუქცია არ იწვევდეს ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქციას, აქ მე მექანისტურად დავაცილე ერთმანეთს ბაზისა და ზედნაშენი, დავივიწყე დიალექტიკის ელემენტარული კანონი და ყოფა-ცხოვრება სავსებით მოვწყვიტე საზოგადოებრივ საქმიანობას.

გვყავს თუ არა ჩვენ ახალი ადამიანები? ცხადია,  
გვყავს. მერე და ვინ არიან ისინი? ყველა ის, ვინც  
ჩაბმულია სოციალიზმის შშენებლობის პრაქტიკულ საქ-  
მიანობაში.

კომუნისტები, ხუთწლედის გმირები, დამკვრცელი კომ-  
კავშირლები—აი, ვინ არიან ახალი ადამიანები.

ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს—ასეთია არ-  
ტიის ლოზუნგი. დიახ, ეგ გმირები ჩვენი ეპოქის ახალი  
ადამიანები არიან.

შემცდარია აფრეთვე ათალი ადამიანის შესახებ ჩემი  
აზრი 114 გვერდზე.

აუცილებლად პოლიტკური შეკლომაა, როცა 62 გვერდ-  
ზე ვწერ: „მთელი სიმწვავით დგას ჩვენს წინაშე ლენი-  
ნის ცნობილი ფორმულა „ვინ ვის?“ მართალია, ეს დაწე-  
რილია 1931 წლის მაისში, მაგრამ მაინც შეცდომაა, რად-  
გან „ვინ ვის“ ჩვენი მრეწველობის დარგში მაშინ სავსე-  
ბით ჩვენს სასარგებლოდ იყო გადაჭროლი. აქვე დავი-  
წყებულია საწარმოო ძალთა განვითარების ის დონე, რო-  
მელიც „ვინ ვის“—ს სოფლის მეურნეობის დარგშიაც ჩვენდა  
სასარგებლოდ გადაწყვეტდა და მართლაც ასე მოხდა:  
ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს ჩვენ საბოლოოდ  
გადაჭრებით ლენინის ფორმულა „ვინ—ვის“ როგორც ქა-  
ლაქად, ისე სოფლის მეურნეობის დარგში სოციალიზმის  
სასარგებლოდ. გარდა ამისა წიგნში არის სხვა ხასიათის  
შეცდომებიც.

ჩემი აზრით, არ უნდა დარჩეს არც ერთი შეცდომა გა-  
უკრიტიკებელი. ამხ. მკითხველებმა წიგნის კითხვის დროს  
მხედველობაში უნდა მიიღონ იმ შეცდომების გასწორება,  
რომელიც ხემოდ არის აღნიშნული.

## რამლდენიშვილი წიგნის შენიშვნა

ყოფა-ცხოვრების საკითხს დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. აღნიშნულ თემაზე ქართულად ჩვენს ორიგინალურ ლიტერატურაში თითქმის არაფერი არ მოგვეპოვება, ვარდა ამხ. ამხ. ვ. ლუარსამიძის და აკ. მახათაძის „სიტყვას მოვითხოვთ“.

ჩვენი წიგნი „ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის“ — ქართულ ორიგინალურ მასალებზეა დამყარებული.

ჩვენ შეძლებისდა გვარად გავაშუქრთ ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა საკითხები, როგორიცაა ოჯახის, ქალთან დამოკიდებულობის, ჩვენი დროის აღაბიანის, კონკრეტულ ახალი ყოფის ფრონტზე და სხვა საკითხები.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი დავუთმეთ პროლეტარულ მწერლობის ბრძოლას ახალ ყოფა-ცხოვრებისათვის.

საერთოდ, წიგნი ეხება იმ მრავივნეულ მხარეებს, რომელთაც ყოფა ცხოვრების საკითხში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

წიგნში მოყვანილი მასალები ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდანაა ამოღებული.

ვიმედოვნებთ, რომ ეს წიგნი ერთგვარ სარგებლობას მოუტანს იმ ამხანაგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხით.

კ. მელაძე

## ახალი უოფა-ცხოვრების საკითხები რეპო- ნსტრუქციის პრინციპები

„ჩვენი წინსვლა მიმდინარეობს ბრძოლის სახით, წინააღმდეგობათა განვითარების სახით, ამ წინააღმდეგობათა გამორკვევისა და ლა-კვილაციის სახით“ (სტალინი)

უდიდესი გარდატეხის პერიოდში ვცხოვრობთ. კომუნისტურ პარტიის მტკიცე და ბოლშევიკური ხელმძღვანელობით სოციალისტურ ფრონტზე გარდამწყვეტ გაძარჯვებებს მივალწიეთ, მაგრამ მიღწევები არ მოგვიპოვებია უბრძოლოდ და უმტკივნელოდ, სიძნელეების გარეშე. პირიქით სიძნელეები არსებობენ და ჩვენ კი ამ სიძნელეთა დაძლევის გზით მივდივართ წინ.

ჩვენ სოციალიზმის მშენებლობა ნახევრად უკულტურო აზიური ქვეყანაში გვიხდება, მაგრამ ბოლშევიკური შრომის ენტუზიზმი ყველაფერს სძლევს. ეს უკულტურობა ჩვენი კლასიური მტერია. საერთოდ კი უოფა-ცხოვრების ფრონტი კლასობრივი ბრძოლის ფრონტია. კლასობრივი მტერი ჩვენს წინააღმდეგ შემოტევას არა ერთი ფრონტით აწარმოებს, არამედ ყოველ მხრიდან. მას ფრონტი ჩვენს წინააღმდეგ გაშლილი აქვს უოფა-ცხოვრებიდანაც. კლასობრივი მტერი ჩვენ ყოველ უკულტურობას მისდა სასარგებლოდ იყენებს. ჩვენი ამოცანა კი იმაში მდგომა-

რეობს, რომ შეუტიოთ უკულტურობას და კულტურულ რევოლუციის მოხდენის საშუალებით უფრო ჩქარი ნაბიჯით წავიდეთ წინ.

რეკონსტრუქციის პერიოდში ყოფა-ცხოვრების საკითხი მეტად სერიოზნულად სდგას, რაღაც თუ რეკონსტრუქციის პერიოდი საერთოდ კლასობრივი ბრძოლის გამძაფრების პერიოდია ეს კლასობრივი ბრძოლა გამძაფრებულია ყოფა-ცხოვრების ფრონტზედაც და კლასობრივი მტერი იერიშების მოტანას ფიქრობს ჩვენს წინააღმდეგ ჩვენ მეფის რუსეთისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ უკულტურობა და ჩვენი ამოცანაც სწორედ ამ უკულტურობის ლიკვიდაციას უნდა შეადგენდეს. უკულტურობის წინააღმდეგ შეტევის საქმეში და საერთოდ კი ახალი კომუნისტური ყოფა-ცხოვრების შექმნის საქმეში კომკავშირის როლი ერთი-ორადაა გაზრდილი. აი რას ამბობდ ამხ. ლენინი კომკავშირის 3-მე ყრილობაზე 1920 წ. „კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც მზათაა ყოველგვარი მუშაობაში დახმარების გასაწევად, თავისი თაოსნობისა და პირველობის გამოსაჩინად. კომუნიზმი მდგომარეობს იმაში, რომ იმ ახალგაზრდობამ, იმ კუმაწვილებმა და ქალიშვილებმა, რომლებიც ახალგაზრდობის კავშირში შედიან, სთვან: ეს ჩვენს საქმეს შეადგენს და ამიტომ უნდა დავირაზმოთ და წავიდეთ სოფელში, რათა ბოლო მოუღოთ წერა-კითხვის უცოდინარობას, რათა ჩვენ ზოზარდ თაობას წერა-კითხვის უცოდინარი არ ყავდეს. კავშირის წევრებმა თვითეული თავისი საათი გამოიყენოს იმისაოვის რათა გააუმჯობესოს თავისი ბოსტანი ან რომელიმე ფაბრიკა, ან ქარხანაში მოაწყონ ახალგაზრდობის სწავლა და სხვა... კომუნისტური ახალგაზრდო-

ბის ამოცანა მდგომარეობს მასში, რომ სოფლად ან თავის უბანში დახმარება გაუწიონ ისეთ საჭმეს (ვიღებ მცირე მაგალითს) როგორიცაა სისუფთავის დაცვა, ან საჭმელ-სასმელის განაწილების მოწესრიგება“<sup>1)</sup>) კომკავშირელმა უნდა შესძლოს ამხ. ლენინის ამ დავალების ბოლშევიკურად შესრულება.

ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი კლასიური მტერია რელიგია და წერა-კითხვის უცოდინარობა, რელიგია მიტომაა ჩვენი კლასობრივი მტერი, რომ ის „ოპიუმია, რომელიც აბრუებს აღამიანს, წერა-კითხვის უცოდინარეობა კი იმიტომ, რომ წერა-კითხვის უცოდინარი სდგას პოლიტიკის გარეშე, მას ჯერ ან-ზანი უნდა შევასწავლოდ. უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ ხელში შეგვრჩება მხოლოდ ლაყმობა, ჭორები, ზღაპრები, ცრუმოწმუნეობა და არა პოლიტიკა“ (ლენინი). წერა - კითხვის უცოდინარობა და რელიგია ერთმანეთის დამხმარეა, ორივე ამას კი კლასობრივი მტერი იყენებს ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად. განა ცოტა არი რელიგიურ ცრუმოწმუნეობის ნიადაგზე წარმოშობილი ყოფითი გადახრა? ძალზე ბევრი. ვის არ გაუგონია ექიმბაშობა, შელოცვები, მავნე სული, ხატზე გადაცემა, წყევლა, ლოცვა და სხვა, ყოველივე ეს რელიგიურ ცრუმორწმუნეობის შედეგია. განა რელიგიურ ცრუმორწმუნეობის შედეგი არ არი ის ამბავი, როდესაც ებრაელებს მეფის რუსეთში „ურიებს“ ეძახდნენ და ებრაელთა რიტუალის წინა ლამით ქრისტიანი ბავშის დაკარგავას ებრაელებს აბრალებდნენ. ჩვენი ამოცანაც სწორედ იმაში მდგომრეობს, რომ გაშლილი ფრონტით შეუტიოთ რელიგიურ ცრუმორწმუნეობას და საერთოდ კი ყოფა-ცხოვრებითი უკულტურობას. ჩვენ უნდა

<sup>1)</sup> ლენინი ტ. 17--გვ. 329

მოვახდინოთ კულტურული რევოლიცია, რაც უზრუნველყოფს ყოფა-ცხოვრებაში რეკონსტრუქციის მოხდენას.

საერთოდ შეტევა ძველი ყოფის ნაჩენების წინააღმდეგ არ უნდა ხდებოდეს ადმინისტრატიული წესით, რაღან რამოდენიმე ასეულ წლობით ჩახერგილი ცრუმო-რწმუნეობის ინსტიქტებისაგან გლეხის განთავისუფლება მუქარით და ძალით არ ჰეიძლება, არამედ ჩვენ ძველ უკულტურობას და მავნე ტრადიციებს უნდა დაუპირდაპიროდ კომუნისტური ახალი კულტურა. ყოვლად შეუძლებელია რელიგიის წინააღმდეგ იმ გზით და მეთოდებით ვაწარმოვოთ ბრძოლა, რომელსაც ადგილი ქონდა ს. ბანიჯაში (ქუთ. რაიონი).

ამ რამოდენიმე წლის წინ, აღიდგომა დილით ე. წ. ცისკრის დროს რამოდენიმე კომკავშირელებმა დინამიტები ააფეოქეს ეკლესიის გალავანშა და სალოცავად მოსული ხალხი დააფრთხეს. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა ამ მეთოდებით ყოვლად შეუძლებელია, აღნიშნულ ამხანაგების ნაბიჯი ურა „მემარცხენე“ ნახტომია, რომელსაც ნამდვილ კომუნისტურ ბრძოლის ფორმასთან და შინაარსთან არავითარი კავშირი არ აქვს. ასეთ მოვლენებს კი ჩვენს რიგებში ზოგჯერ აქვს ადგილი, რომელსაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. აქ კომკავშირის როლი ერთი ორადაა გაზრდილი. ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ისეთ განწყობილებასაც, როდესაც ძველი რელიგიური ცრუმორწმუნეობა თავისებურ ვავლენას ახდენს. ჩვენს ზოგიერთ პარტიულ და კომკავშირელ ამხანაგებზე. ზოგჯერ ჩვენი პარტიული ამხანაგები ეკლესიაში ნათლავენ ბავშებს — „მირონს“ უცხებენ შუბლზე. (ასეთ შემთხვევებს ადგილი ქონდა ბალდადის სინამდვილეში და სხვა).

მთელი ჩვენი შუშაობა და სქმიანობა ძველი ყოფა-ცხოვრების რაღიკალურად გარდაქმნისაკენ უნდა იყოს მიმართული. ამ საკითხშიც კომკავშირი დამკვრელ ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენ ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ მახინჯ მოვლენებს ყოფა-ცხოვრების საკითხებში, რომლებიც ხელს გვიშლიან დიად სოციალისტურ შეტევის პერიოდში. ჩვენ ნიღაბი უნდა ავხადოთ უარყოფით მოვლენებს ჩვენს რიგებში, რომლებიც ხელს გვიშლიან და გვიბორკავენ გზებს. კერძოდ კომკავშირმა იერიშება უნდა მიიტანოს ხულიგნობის, ლოთობის, თავაშვებულობის, სქესობრივ გახრწნილობის, სულიერ დაცემულობის და სხვა მახინჯ მოვლენების წინააღმდეგ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩვენი ამხანგები ლოთობენ და მთელ დღეებს და ლამეებს დუქნებამი ატარებენ, მათთვის ღვინო ყველაფერია და ალკოგოლიზმის სუნში იხრჩვებიან, სიმთვრალის შემდეგ მოლილინებენ „ძმა-ბიჭურად“ ქუჩაში, ატეხენ ჩხუბს, მახდენენ დებოშს, და გაასეირნებენ გამსახლში. ალკოგოლი ჩვენი კლასობრივი მტერია. ალკოგოლის და ლოთობის ნიაღავზე ჩვენს ახალგაზრდობაში ზოგჯერ იქმნება დაცემულობისა და თვითმკვლელობის განწყობილებები. ცნობილი რუსი მწერალი სერგეი ესენინი სწორედ ალკოგოლის მსხვერპლი გახდა. ალკოგოლმა შეიწირა იგი. მისთვის ღვინო და არაყი ყველაფერი იყო, მის გარეშე მას არაფერი არ სწამდა, მისი დედა, მისი მამა, ძმა და ცოლი სამიკიტნო და კვარტები იყო. ამის მსგავსი მაგალითები მრავალია. ალკოგოლს და ლოთობას მოსდევს ხულიგნობა და დებოშიორობა. კომკავშირმა თავის რიგებიდან უნდა მოიცილოს ლოთი. კომკავშირლები და უნდა აწარმოოს ფართო კულტურული მუშაობა უპარტიო ახალგაზრდებს შორის ალკოგოლის მაგნებლობის შესახებ.

ჩვენ რაც უნდა დაგვიჯდეს უჩდა შევინარჩუნოთ, აუს-  
წიოთ უფრო მაღალ დონზე და განვამტკიცოთ კომუნი-  
სტური მორალი. არსებობს კი კომუნისტური მორალი?  
თუ ტერმინ „მორალ“-ში რაღაც ჰქონისტური შინაარსი  
იგულისხმება? არა! სრულიადაც არა ჩვენ გვაქვს ჩვენი  
მორალი, მორალი უაღრესად კლასიური, რომელიც პრო-  
ლეტარიატის საერთო კალასიურ ინტერესებიდან გამომდი-  
ნარეობს; ამის შესახებ სიტყვა ამხ. ლენინს მიესცეთ, იგი  
ცოტა დიდხანს ილაპარაკებს და თქვენგან მოითხოვს სე-  
რიოზულ ყურადღებას, ... მაგრამ არსებობს თუ არა  
კომუნისტური მორალი, არსებობს თუ არა  
კომუნისტური ზნეობა? რა საკვარველია, არ-  
სებობს. ხშირად საქმე იმ გვარად აქვთხოლ-  
მე წარმოდგენილი რომ თითქოს არ გვაქვს  
ჩვენ საკუთარი მორალი და ძალიან და ძალ-  
იან ხშირად ბურუუაზია ჩვენ ბრალს გვდე-  
ბს იმაში, რომ კომუნისტები უარყოფენ უო-  
ველგვარმორალს; ეს არის ცნებების აღრევა, მუ-  
შების და გლეხების თვალებში ქვიშის შეყრა.

რა აზრით უარყოფთ ჩვენ მორალს, უარყობთ  
ზნეობას? ჩვენ უარყოფთ იმ მორალს, რომელსაც  
ქადაგებდა ბურუუაზია და რომელიც გამოყავდა მას.  
ლვთის ბრძანებებიდან. ამის შესახებ ჩვენ რასაკვირვე-  
ლია, ვამბობთ რომ ლმერთი არ გვწამს, და ძალიან  
კარგათ ვიცით, რომ ლვთის სახელით ლაპარაკობდა  
ბურუუაზია, ლაპარაკობდა სამლვდელოება, ლაპარა-  
კობდენ მემამულენი. იმ მიზნით რომ დაეცვათ  
თავიანთი ექსპლოატატორული ინტერესები, ან იმ  
ის მაგიერ, რომ გამოეყვანთ ეს მორალი ზნეობის ბრძა-  
ნებობიდან, მათ გამოყავდათ იდეალისტურ და ნახე-

ვრად იდეალისტურ ფრაზებიდან, რომელიც ძალიან  
წაგავენ ლვთის ბრძანებებს.

ჩვენ რასაკვირველია, უარვყოფთ ყოველგვარ ასეთ  
ზნეობას, რომელიც აღებულია ადამიანის და კლას-  
ის გარეშე შეიძლებან, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს  
მოტყუილებაა, რომ ეს სიყალბეა, რომ იგი მუშების  
და გლეხების ჭკუის გამოლაყებაა მემამულეების და  
კაპიტალისტების ინტერესების დასაცავად.

ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ზნეობა სავსებით ექვე-  
მდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის  
ინტერესებს. ჩვენი ზნეობა გამომდინარეობს პრო-  
ლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებისა-  
გან.“

ციტატა ძალზე გაგვიგრძელდა. მაგრამ იგი წათელ  
და სრულ სურათს იძლევა ჩვენი მორალის რაობისა და  
შინაარსის შესახებ. ლენინის მიერ დასახულ მორალის  
მტკიცე დაცვითა და გატარებით უნდა განვაგრძოთ ჩვენ  
მუშაობა. ჩვენ მედგარი იერიშები უნდა მივიტანოთ ყო-  
ველივე ისეთ ტენდენციებისა და განწყობილების წინააღ-  
მდეგ, რომელიც ოდნავადაც მაინც კი შელახავს ჩვენს კო-  
მუნისტურ მორალს. ჩვენ უნდა შევებრძოლოდ მლიქვნე-  
ლობის უოველგვარ ფორმებს ჩვენს რიგებში რადგან „შე-  
საძლებელია მლიქვნელობით უფროსების გულის მოგებით  
მე შევინარჩუნებ ჩემს ადგილს და კიდევ შევსძლებ გზის  
გაკაფვას და გაბურუუებას. ასეთი ფსიქოლოგია და ასე-  
თი განცდა კომუნისტს არ უნდა ქონდეს“. ასე ლაპარა-  
რაკობდა ამხ. ლენინი კ.ქ. III-მე ყრილობაზე.

ამასთან ერთად ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუ-  
ცხადოთ ობლომოვშჩინას ჩვენს რიგებში. რას ნიშნავს ობ-  
ლომოვშჩინა? აი, რას ამბობდა აჩის შესახებ ამხ. ლენინის

„იყო რუსეთის ცხოვრების ერთი ტიპი — ობლომოვი — ნიადაგ ლოგინში იწვა და გეგმებს ადგენდა. დილმა დრომ განვლო მას შემდეგ, რუსეთმა სამი რევოლუცია მოახდინა, ობლომოვები კი მაინც დარჩენ, ვინაიდან ობლომოვი არა მარტო მემამულეა, არამედ გლეხიც, არა გლეხი მხოლოდ, არამედ ინტილიგენტიც, არა ინტელიგენტი მხოლოდ, არამედ მუშა და კომუნისტიც. საკმარის ერთი თვალი გადავაკლოთ და ნახოთ რანი ვართ სხდომებზე, როგორ მუშაობთ კომისიებში, რომ თქვან, ძველი ობლომოვი კიდევ დარჩენილა და საჭიროა დიდხანს რეცხვა, წმენდა, ხეხვა და ბერტყვა, რომ შისგან რაიმე ხეირი გამოვიდეს. ამ მხრივ ჩვენს მდგომარეობას უნდა ვუცქიროთ ყოველგვარი ილიუზიის გარეშე“ (ლენინი ტ. XVIII ნაშ. II გვ. 14).

რამოდენიმე ათეული წელი ვავიდა მას შემდეგ, რაც გონჩაროვმა გამოხატა ობლომოვი მაგრამ იგი ჯერ არ მოქვდარა, არ გამქრალა ჩვენს ხსოვნიდან დააღმატ ჯერ არც გაქრება. ობლომოვის მსგავსი ტიპები ჩვენ გვყავს, რომლებიც ზარმაცობენ, გაურბიან სამუშევარს, პარტიულ დატვირთვებს და არ მუშაობენ ისე, როგორც რიგი და წესია, ობლომოვშინა ჩვენი მტერია და მის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლის წარმოებაა საჭირო.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენთვის ცხადია და გარკვეულია ის ამოცანები, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას რეკონსტრუქციის პერიოდში ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეში. კომუნიზმა უნდა უზრუნველჰყოს ამ საკითხში მის წინაშე მდგარ ამოცანების გადაჭრა, რადგან „ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი უნდა წარმოადგენდეს დამრტყელ ჯგუფს“

რომელიც ყოველგვარ მუშაობაში ეხმარება  
პარტიას, იჩენსთავისინიციატივას. კავშირი  
უნდა იყოს ისეთი, რომ ყოველი მუშა ხელა-  
ვდეს მასში ადამიანებს, რომელთა მოძღვრე-  
ბა შესაძლებელია მისთვის გაუგებარი იყოს,  
რომელთა მოძღვრებას შეიძლება ერთბაშად  
მან არ დაუჯეროს, მაგრამ მათი ცოცხალი  
მუშაობა და მათი მოღვაწეობა უნდა არწმუ-  
ნებდეს მას იმაში, რომ ისინი არიან ნამდვი-  
ლად ისადამიანები, რომელნიც აჩვენებენ მას  
სწორ გზას“.

ასე ამბობდ ამხ. ლენინი კომკავშირის შესახებ. ჩვენ  
პარტიასთან ერთად უნდა ვაწარმოვოთ სისტემატიური  
გეგმიანი შეტევა ძველი ყოფაზე. ჩვენ უნდა მოვაწყოთ  
შეტევა უკულტურობის წინააღმდეგ, რომელიც სავსებით  
უზრუნველჰყოფს ახალ კომუნისტურ ყოფაცხოვრების შე-  
ქმნას.

ყოფაცხოვრების საკითხში ჩვენს წინაშე მთელი სიძ-  
ლიერით დგება საკითხი ოჯახის, სიყვარულის და საერ-  
თოდ ქალთან დამოკიდებულების საკითხი. ჩვენ ძირფე-  
სვიანად უნდა შევცვალოთ დღევანდელ ბურჟუაზიული  
ეროვნების ყოველგვარი ფორმები. დღევანდელმა ჩვენმა  
ოჯახმა კომუნისტური შინაარსი უნდა მიიღოს. ჩვენ კო-  
მუნისტებს ოჯახშიც, პირად ყოფაცხოვრე-  
ბაშიც ნამდვილი კომუნისტობა უნდა მოვ-  
თხოვოთ. ბევრი ამხანგიც ამ აზრზე ხელს ჩააქნეს და  
იტყვის — „ეჲ, მოგცლია, რა მოხელე ხართ ჩემს  
პირად საქმეში, რომ ერევით, თქვენ თქვენი  
საქმე აკეთეთ, თქვენ რაც გინდათ დამავა-  
ლეთ საზოგადოებრივი საქმე, და თუ არ

გაგიკეთოთ მაშინ მომთხოვეთ პასუხი. ოჯახური საქმეები კი ჩემი პირადა საქმეა. აქ თქვენ უფლება არ გაქვთ და ნუ ჩამერევით თუ „ღმერთი“ გწამთ დამაცადეთ მე როგორც მინდა ისე მოვექცევი ჩემ ცოლს და შვილს“. ეგ ნამდვილი კომუნისტების ენა და ხმა არაა. გმაღლობთ ასეთ კომუნისტობისათვის. ჩვენ ჩვენი ამხანაგების პირად ოჯახურ საქმეებში ჩავერევით იმდენად, რამდენადაც ეს პირადი ოჯახური საქმეები ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივ საქმიანობაზე და კომუნისტ ამხანაგების ავტორიტეტს სცემს. გვაქვს თუ არა ჩვენი უფლება ჩავერიოთ ისეთ კომუნისტის ან კომკავშირელის ოჯახურ საქმეებში, რომელიც თავის ცოლს სცემს, ლოთობს, თვეში სამ ცოლს იცვლის, ეწევა ყოფითი გარუცნილებას და სხვა. ჩვენ ასეთ საქმეებში ჩარევის უფლება ყოველმხრივ გაქვს, რაღაც კომუნისტი ოჯახშიაც კარგი კომუნისტი უნდა იყოს და კრუპსკაიას თქმის არ იყოს, „კომუნისტების და კომკავშირლების ოჯახი პარტიის დამხმარე უჯრედს უნდა წარმოადგენდეს“. ჩვენ კი ამ მდგომარეობამდე ვერ მიგვიღლწევია. ქალი ჯერ კიდევ არაა განთავისუფლებული სავსებით ოჯახის წვრილმან საქმეებისგან, მთელ რესპუბლიკის ბავშებს ჯერ-ჯერობით ისევ ქალები ზრდიან. ქალების შრომა ოჯახში კიდევ არ არის შემსუბუქებული. ისევ კერია, ისევ ნაცარი, ისევ გობი, საცერი და ისევ აკვანი ბავშით. ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს, ქალის ამ მძიმე შრომისაგან გასანთავისუფლებლად ნიადაგს ამზადებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია: ქალი საბოლოვოდ წვრილმან, ოჯახურ საქმეებისგან მხოლოდ სოციალის-

ტური ქალაქებისა და სოციალისტური სოფლების შექმნის შემდეგ განთავისუფლდება, რადგან აღზრდის პრობლემა დაკავშირებული იქნება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ სისტემასთან.

ოჯახურ საქმეებისაგან ქალთა განთავისუფლების ერთ-ერთ ფორმას საყოფაცხოვრებო არტელების შექმნა წარმოადგენს. ჩვენ უნდა ვეცადოთ შევქმნათ საყოფაცხოვრებო არტელები და არა კომუნები, როგორც ამას შეცვლომით ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ფიქრობს. საყოფაცხოვრებო არტელების პრაქტიკამ მეტად დადებითი შედეგები მოიტანა, ამის მაჩვენებელია ლენინგრადის და მოსკოვის გამოცდილებანი.

რეკონსტრუქციის პერიოდში ყოფა-ცხოვრების საკითხი სულ სხვა სიბრტყეზე ისმება. მიმდინარე პერიოდში გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლა თავისებურ გამოვლინებას პოულობს ყოფაცხოვრებაშიაც. კლასიური მტრები რელიგიას, ხალხის უკულტურობას, წ/კ. უცოდინარობას, ჩამორჩენილობას ჩვენდა საწინააღმდეგოთ იყენებს გაშლილ სოციალისტურ შეტევის პერიოდში ყოფაცხოვრების ფრონტზედაც კლასობრივი მტერი გამძაფრებით იბრძვის, ჩვენ ამ ფრონტიდან ჯერ კიდევ არ გვყავს განდევნილი იგი. ერთმანეთს ეჯახება ორი წარმავალ და აღმოჩავალ კლასის კულტურა; ან ჩვენ, ან ისინი,— ასე დგას საკითხი რეკონსტრუქციის პერიოდში. ყოფა-ცხოვრების ფრონტი კლასობრივი ბრძოლის ფრონტია და ჩვენი ამოცანა ამ კლასობრივ ბრძოლის პროცესში მხოლოდ მასში მდგომარეობს, რომ კულტურულ რევოლუციურის მოხდენის გზით მედგრად შევუტიოთ. კლასობრივ მტერს, გავანადგუროთ იგი, რადგან თავის პოზიციებს უბრძოლოდ არ ტოვებს; კლასიურ მტერს უნდა ჩვენი უკუ-

ლტურობა ისევ ჩვენს საწინააღმდეგოთ გამოიყენოს, მაგრამ ისინი ამას ვერ შესძლებენ რაღვან „ჩვენ ლარიბი და უკულტურო ხალხი ვართ, მაგრამ ეს არაა უბედურება, ოღონდაც იყოს შეგნება იმისა, რომ სწავლა საჭიროა. იყოს ნათელი გაგება, იმისა, რომ მუშა და გლეხი სწავლას საჭიროების სათვის „სარგებლობის“ და მოგების მოსატანად, არამედ თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ეს ყოველივე კი ჩვენ გვაჲ გვაჲ და ამიტომ ჩვენ ვისწავლით და დავისწავლით კიდეც“. — ასე ამბობდა ლენინი. ჩვენ არ გვეშინია ჩვენი უკულტურობის, რაღვან ჩვენ გვაჲ ინტერესი საქმისა „ჩვენ, ვისწავლით და დავისწავლით კიდეც“ (ლენინი).

ჩვენში პროლეტარული კლასიური კულტურა დღითი დღე მტკიცდება და იზრდება. მართალია ლევ. ტროცკი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ „პროლეტარიატს არ შეძლია შექმნას თავის კულტურაო“, მაგრამ ისტორიულმა სინამდვილეში ტროცკიზმის კონტრ-რევოლიუციონურ ბუნებას კარგა ხანია რაც ნიღაბი ახარა. პროლეტარიატი ქმნის თავის კულტურას, რომელიც განსხვავდება ბურჟუაზიულ კულტურისაგან. ჩვენი კულტურა ემსახურება პროლეტარიატს; ბურჟუაზიული კი ერთი მუჭა ბურჟუების წრეს. ჩვენი კლასიური კულტურა ყოველ დღიურად იზრდება და მტკიცდება ახლი პროლეტარული კულტურა ძველთან ბრძოლაში იბადება. ბრძოლა წარმავალ კლასის ნარჩენებსა და აღმომავალ კლასებს შორის ჯერ არ დამთავრებულა. ეს ჭიდილი, ეს ბრძოლა კულტურისა და იდეოლოგის სფეროშიაც გრძელდება. შეტუვა ძვე-

ლი კულტურის ციხე-სიმაგრეზე დიდიხანია დაწყებულია. ჩვენი გამარჯვება უზრუნელყოფილია. ბურუუაზიული კულტურა ჩვენთან ბრძოლაში სუსტი და უძლურია ისე, როგორც სუსტი და უძლურია ჩვენს წინააღმდეგ ბურუუაზიული კლასის ნარჩენები ამ ბრძოლაში პროლეტარული კულტურა ყოველ დღიურად იზრდება, იგი დღეს სუსტია, ეს ბუნებრივად აუცილებელიცაა, რადგან:

„როდესაც ახალი ეს-ესაა წარმოშობილია, ძველი განაგრძობს კვლავ არსებობას, ეს უკანასკნელი რა-მოდენიმე ხნის განმავლობაში პირველზე უფრო მძლავრია, ასეთია წესი, როგორც ბუნებისა, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების. ახალ ყლორტების სისუსტის ყბად აღებდ იაფ-ფასიანი ინტელიგენტური სკეპტიკიზმი და სხვა ამის მაგვარი, ყველა ეს, არ-სებითად, პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურუუაზის კლასიური ბრძოლის ხერხია, კაპიტალიზმის დაცვა სოციალიზმის წინააღმდეგ. ახალი ყლორტები ჩვენ გულმოდგინეთ უნდა შევისწავლოთ, დიდი სიფრთხილით მოვეპყრათ მათ, ყოველმხრივ შევუწყოთ ხე-ლი ზრდას და არ მოვაკლოთ ამ სუსტ ყლორტებს სათანადო მოვლა-პატრონობა (ლენინი, ტ. XVI გვ. 248).

ჩვენი კულტურა სუსტია, მაგრამ თავისი შინაარსით მძლავრია. და მტკიცე, რომელიც მედგრათ უტევს ძველ ბურუუაზიულს ყოფას.

ჩვენ უნდა შევძლოთ რეკონსტრუქციის მოხდენა ყოფაცხოვრების საკითხში. ჩვენ ამოცანად ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქცია ხდება, რომელიც უზრუნველყოფს კომუნისტური ყოფაცხოვრების შექმნას.

ყოფაცხოვრების გარდაქმნა, მისი რეკონსტრუქცია, როგორც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მეტად

რთულ პირობებში მოგვიხდება. კლასობრივი მტერი უბრძოლოდ არ ტოვებს თავის პოზიციებს. წინ გვხდება აუარებელი სიძნელეები.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა ან ერთი წუთითაც კი დაგვეშვა უკან დახევა სიძნელის წინაშე. უკან დახევა ბოლშევიკების საქმე არაა. კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია სიძნელეთა დაძლევისა და გამარჯვებისისტორიაა. მიუხედავათ დაბრკოლებისა და სიძნელეებისა ჩვენ ჩქარი ნაბიჯით მივდივართ წინ, რადგან „ჩვენი წინსვლა მიმდინარეობს ბრძოლის სახით, წინააღმდეგობათა განვითარების სახით, ამ წინააღმდეგობათა გამოკვლევისა და ლიკვიდაციის სახით“ (სტალინი).

ჩვენ სიძნელეებს დავძლევთ, ჩვენ გავიმარჯვებთ ყველა ფრონტზე, რადგან „არარსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლისალებაც ბოლშევიკებს ვერ შეეძლოს“.

1933 24/12

დდ. ა. იმპერატორი დეკანი  
ქადაგი ბ. ა. (ც.)  
ქ. სამართლი

## ო ჯ ა ხ ი

საერთოდ, ყოფაცხოვრების საკითხში ოჯახის საკითხი პრობლემატიური ამოცანათაგანია. საკითხი ოჯახის შესახებ, ჯერ კიდევ თითქმის გადაუჭრელია. ბევრი ამხანაგი დღესაც იცავს იმ უხეირო აზრს, რომ ვითომდა კომუნისტურ საზოგადოებაში ოჯახი უნდა მოისპოს! ამ აზრს დღესაც აქვს მოქალაქობრივი უფლება. ამ რამოდენიმე თვის წინ მე ერთერთ სკოლაში შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი დისპუტს ახალი ყოფაცხოვრების შესახებ. მომხსენებელი ტრიბუნიდან დიდი რიხით ამტკიცებდა ოჯახის მოსპობას და დასძნდა „ის ამხანაგი, რომ ელიც იცავს ოჯახის საკითხს, ძალზე ცდება და არა ფერი არ გავეგება“. დებულება ძირშივე შემცდარია. კომუნისტური საზოგადოება ოჯახს არ სპობს, მაგრამ ბურუუაზიულ ოჯახს,— ოჯახს, რომელიც აღმოცენებულია ეკონომიურ უთანასწორობის ნიადაგზე, სადაც მამაკაცს და დედაკაცს შორის ბატონყმური დამოკიდებულებაა, კომუნისტური საზოგადოება გააუქმებს და სამუდამო ლოდს დაადებს. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ კომუნისტურ საზოგადოებაში არ გვექნება ოჯახი? არა, არ ნიშნავს! დღეს სოფელი სოციალისტურ განვითარების გზით მიდის. თუ ეკონომიკის სფეროში იმარჯვებს სოციალისტური სექტორი კაპიტალისტურზე, მაშინ, ცხადია, რომ უნდა შეიქმნეს ზედნაშენი ახალ სოციალისტურ ეკონომიკასთან დაკავშირებით.

სოციალისტური ეკონომიკა შექმნის სოციალისტურ ზედნაშენს, რომელიც ეკონომიურ უთანასწორობაზე კი

არ იქნება აღმოცენებული, არამედ თანასწორობაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ყოვლად მიუღებელია მტკიცება იმის შესახებ, თითქოს კომუნისტური საზოგადოება მოსპობდეს ოჯახს! მარქსიზმის უდიდეს კლასიკოსებს — მარქსს, ენგელსს, ლენინს და სხვ. არასაღროს არ დაუმტკიცებით ის ამბავი, რომ ოჯახი სამუდამოდ უნდა მოისპოს კომუნისტურ საზოგადოებაში. დღეს ჩვენ ვიბრძვით ბურუუაზიულ ოჯახის წინააღმდეგ. არ ვჩემალავთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ოჯახი ჯერ კიდევ საკმაოდაა დამძიმებული ძველი ბურუუაზიული ჩვეულებებით, მაგრამ ეს მდგომარეობა არ ნიშნავს იმას, რომ ოჯახს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გავუმართოთ. ჩვენ მუდამ ვიბრძოლებთ ბურუუაზიულ, მეშჩანურ, თბივატელურ ოჯახის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბრძოლის დროს არ დავივიწყებთ იმ ამბავსაც, რომ ძველ ოჯახთან ბრძოლაში ჩვენ უნდა შევქნათ ახალი — კომუნისტური ოჯახი, რომელიც პარტიის დამხმარე უჯრედი იქნება. კომუნისტურ ოჯახისათვის პირველ რიგში უნდა იტრძოლოს ყოველმა პარტიულმა, კომუნისტიულმა და პიონერმა. „კომუნისტის და კომკავშირელის ოჯახი პარტიის დამხმარე უჯრედი უნდა იყოს“ (კრუპსკაია).

კომუნისტური ოჯახი ზოლოს ულებს სქესობრივ ანარქიას, დამონების ყოველგვარ კონკრეტ მოვლენებს, პროსტიტუციას; იგი იბრძვის ჯანსაღ მოდგმისათვის. ბურუუაზიულ ოჯახს არ შეუძლია შექმნას ჯანსაღი მომავალი თაობა, რაღვანაც მათი სხეულის ყოველ ნასვრეტიდან წვეთ-წვეთად მომდინარეობს სიბინძურის და გარყვნილების სისხლი. ბურუუაზიული ოჯახი პროსტიტუციის წუმპეშია ჩაფლული. კომუნისტური ოჯახი კი სამკვდრო-სა-

იცოცხლო ამს უცხადებს ასეთ განწყობილებებს. ბევრი „ჭკუა-ღამჯდარი“ ფიქრობს, რომ არ შეიძლება შეიქმნას კომუნისტური ოჯახი, რადგან თჯახი ისეთი ცნებაა, რომელიც ვერასდროს თავს ვერ დააღწევს ბურუუაზიულ ვეულებებს. ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ თუ შეიქმნა კომუნისტური ოჯახი, კომუნისტურ საზოგადოებაში ყვე-კაფერი განსაზოგადოებული იქნება. აქედან, მათი აზრით, მოხდება მეულლების განსაზოგადოებაც, ე. ი., მათივე აზრით, კომუნისტური საზოგადოება და კომუნისტური ოჯახი ხელს უწყობს გარყვნილებას და პროსტიტუციას.

მარქს-ენგელსის „კომუნისტური მანიფეს-ტი“-ს პირველ პროექტში, სხვათა-შორის, გვხვდება ასე-თი კითხვა: რა გავლენას იქონიებს ოჯახზე კო-მუნისტური საზოგადოება? — აღნიშნულ კითხვას „კომუნისტური მანიფესტი“-ს ავტორები იქვე პასუხობენ:

„ადამიანთა შორის სქესობრივ დამოკიდებულე-ბას ის იცნობს მათ კერძო საქმედ, რომელიც შე-ეხება მხოლოდ ამ საქმეში მონაწილე პირებს და არა საზოგადოებას. ის ამას შესძლებს მით, რომ მოსპო-ბს კერძო საკუთრებას, დააკანონებს ბავშების სა-ზოგადო აღრჩდას და მასთან ერთად მოსპობს თანა-მედროვე ქორწინების ორსავე საფუძვლებს — დედა-კაცის მამაკაცისაგან დამოკიდებულებას და ბავშე-ბის მშობლებისაგან დამოკიდებულებას, რაც გამო-წვეულია კერძო საკუთრებით.

ეს არის პასუხი მდაბიო მოქალაქეთა წუწუნზე კომუნისტურ საზოგადოებაში ცოლების განსაზოგა-დოებრივობაზე. ცოლების განსაზოგადოებრივობა არის ისეთი დამოკიდებულება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბურუუაზიულ საზოგადოების კუთვნი-

ლებას შეადგენს და რომელიც დღეს არსებობს პროსტატულიის სახით. პროსტიტულია ეყრდნობა კერძო საკუთრებაზე და გაქრება მასთან ერთად.

ამრიგად, კომუნისტური საზოგადოება კი არ აწესებს ცოლების განსაზოგადოებრივობას, არამედ, პირიქით, სპობს მას<sup>1)</sup>).

როგორც ვხედავთ, კომუნისტური ოჯახი უოველგვარ ძალმომრეობის, გარყვნილების და სქესობრივ ანარქიის ნორმებს აუქმებს.

### ოჯახის კლასიური ჟინაარსის შესახებ

ოჯახის ცნებაში უაღრესად კლასიური შისაარსია ჩაქსოვილი: ისტორიის მთელ მანძილზე ოჯახი გაბატონებულ კლასის იარაღს წარმოადგენდა. ბურუუაზიული ოჯახი თავისი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა. გარყვნილება, პროსტიტულია, ოჯახური ძალმომრეობა, ეჭვიანობა, — აი, ბურუუაზიული ოჯახის სპეციფიური მხარე.

„ბურუუაზია ბევრს ლაპარაკობს ოჯახურ ურთიერთობათა სიწმინდის შესახებ, სინამდვილის უხეში სურათის დასამალაყად მიმართავენ ფარისევლურ ფრაზეოლოგიას. ბურუუაზიული ქორწინება უკვე დიდი ხანია გადაიქცა სავაჭრო საქმედ. ოჯახურმა ურთიერთობამ უკვე დიდი ხანია დაკარგა ინტიმობისა და გულახდილობის ხასიათი, რომელზედაც სჯა-ბაასი ეგზომ უყვარს ოფიციალურ ბურუუაზიულ იდეოლოგიას“<sup>1)</sup>.

ბურუუაზიული ოჯახი ძალმომრეობისა და გარყვნილების საბუღარია; ბურუუაზიულ ოჯახს დაკარგული აქვს სა-

<sup>1)</sup> „კომუნისტური მანიფესტი“, გვერდი 83—84.

<sup>2)</sup> კომუნისტური მანიფესტი გვერდი 170.

ზოგადოებრივი აქტივობის ყოველგვარი ხასიათი. ბურ-  
უაზიული ოჯახი ეკონომიურ უთანასწორობის შედეგია,  
სადაც ქალსა და მამაკაცს შორის ძველი ბატონ-ყმური და-  
მოკიდებულება არსებობს. ქალის ცხოვრება ბურუუა-  
ზიულ ოჯახში საკუჭნაოში იწყება და მისი სიცოცხლეც  
იქვე თავდება. მამაკაცი ბატონია! ცოლს არ შეუძლია  
„გადააჭრას“ მას. ეს ხომ მამაკაცის დამკირება იქნება?!  
ქალი ყურმოჭრილი მონაა მამაკაცის და მის უკანონო მოქ-  
მედების წინააღმდეგ ხმის ამოღებასაც ვერ ბედავს. ოჯა-  
ხურ ურთიერთობის ეს სახეობა და შინაარსი ბურუუაზიას  
ესაჭიროება თავისი არსებობისათვის და სხვისი დამონავე-  
ბისათვის.

„ახალგაზრდა ბურუუაზიას სურს იყოს დამოუკი-  
დებელი თავისი საკუთარი ოჯახიდან და პრაქტიკუ-  
ლად არღვევს ოჯახს თავის სასარგებლოდ; მაგრამ  
ქორწინება კერძო საკუთრებაა. ოჯახი თეორიულად  
ხელუხლებელი რჩება, ვინაიდან ის წარმოადგენს იმ  
პრაქტიკულ საფუძველს, რომელზედაც ბურუუაზიამ  
ააშენა თავისი ბატონობა...“

ბურუუაზია ის ტორიული ად აძლევს ოჯახს  
ბურუუაზიულ ოჯახის ხასიათს, რომლის  
შემაკავშირებელ ელემენტსც წარმოადგენს  
მოწყენილობა და ფული, რომელთანაც აგ-  
რეთვე, დაკავშირებულია ოჯახის ბურუუა-  
ზიული გახწნა, როცა თვით ეს ოჯახი კვლავ  
განაგრძობს არსებობას, მის ბინძურ არსე-  
ბობას შეუფერება მისი უწმინდესი შემეც-  
ნება, რომელსაც ადგილი აქვს ოფიციალურ  
ფრაზეოლოგიასა და საერთო პირმოთნეო-

ბაში“<sup>1)</sup> ყოველივე ამაში, გარკვეული კლასიული შინა არსი იმალება. ბურუუაზიამ დღემდე შესძლო ოჯახის თავის ყაიდაზე მოწყობა. ქალის დაბეჩავება-დამონავებას განა კლასიური შინაარსი არ ქონდა, რომელსაც ბორკილები მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ დაულეწა? ბურუუაზიული ოჯახი და მისი მავნე ჩვეულებები კაცობრიობას ეზიდებიან გარყვინილებისა და გაღაგვარებისაკენ. მილიონი პროსტიტუტები, რომლებიც დღეს ქუჩებში დაწანწალებენ და ვაჭრობენ სხეულით—განა ბურუუაზიული უკულმართ ყოფის შედეგი არა? „პროსტიტუცია, მაჭანკლობა, ცოცხალი საქონლით (თეთრი მონებით) ვაჭრობა, რომელიც მე-19 საუკუნეში გადაიქცა ვაჭრობის განსაკუთრებულ დარგად მთელ ქვეყანაზე მოფენილი ორგანიზაციებით, ვენერიულ ავადმყოფობათა ეპიდემიური გავრცელება, აი, შედეგები ბურუუაზიულ ოჯახის და ქორწინებისა“<sup>2)</sup>.

ბურუუაზიული ოჯახის და ქორწინების სურათი ჩვენთვის ნათელია. სქეკობრივი ანარქიზმი და პროსტიტუცია კაცობრიობის განვითარების უდიდესი მტერია. მოისპობა რა ძველი ექონომური წყობამისი ზედნა-შენებით, მოისპობა და განადგურდება, როგორც ეკონომიური უთანასწორობის კატეგორია პროსტიტუცია და გარყვნილების ყოველგვარი ფორმები.

ფრ. ენგელსი თავის წიგნში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ წერდა: „როდესაც ადამიანი

<sup>1)</sup> „კომ. მანიფესტი“ გვერდი 171

<sup>2)</sup> იქვე გვერდი 172

ჩაყენებულია ისეთი პირობებში, რომელსაც  
მხოლოდ ცხოველი შეუძლია დააკმაყოფი-  
ლოს, იგი ან უნდა აღაშფოთოს ასეთმა ცხოვ-  
რებამ, ანდა თვით გადაიქცეს ასეთ ცხოველ-  
ად. და ბურუუაზიას ყველაზე უფრო ნაკლე-  
ბად, ვიდრე სხვას აქვს უფლება დააჭვედროს  
მუშებს მათი სქესობრივი თავაშვებულობა,  
ვინაიდან თვით იგი უწევს დახშარებას პრო-  
სტიტუციის ზრდას. რამდენს არჩენს ბურ-  
უაზია იმ 40.000 მეტავი ქალიდან, რომელნიც  
ყველა სალამობით ავსებენ ლონდონის ქუ-  
ჩებს (თანამედროვე ლონდონში ისინი არა თუ ამსო-  
ლუტურად, არამედ შედარებითაც კი ნაკლები არ არიან) რამდენი მათგანი არის იძულებული იმისა-  
თვის, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს, მიყი-  
დოს თავისი სხეული პირველსავე შემთხვე-  
ვით გამვლელს, ვინაიდან იგი შეაცდინა ბუ-  
რუუა მ“. აი, ნამდვილ სურათი ბურუუაზიული ოჯახის და  
ქორწინებისა. განა დღვევანდელი ბურუუაზიული ქვეყნები  
გადავვარებისა და გახრწილების გზაზე არ არიან დამ-  
დგარი? განა დღესაც პარიზის კაფე-შანტანებში ათასო-  
ბით არ დახეტიალობს მეძავები? ჰო და ყოველივე ეს ხომ  
ბურუუაზიულმა ყოფამა და ოჯახმა შექმნა? ბურუუაზიული  
ოჯახი ქალს მიწასთან ასწორებს და ბორკავს ოჯახის  
ბორკილებით.

ძველი ბურუუაზიული ოჯახი დღეს ექანება, დაშლის  
გზაზეა დამდგარი; იგი უნდა გადაშენდეს, აღმოიფხვრას,  
მოკვდეს თავისი მავნე ჩვევებით, — ესაა კარნახი ისტორი-  
ული აუცილებლობისა.

ჯერ კიდევ აღრე, თითქმის რამდენიმე საუკუნის წინ  
ბურუუაზიული ოჯახის დაშლა ნათლად იყო დასურათებუ-  
ლი დიდი უტოპისტების, განსაკუთრებით ფურიეს თხ-  
ზულებებში. ამ უკანასკნელის „ქორწინების ოსტატურ და-  
ხასიათებაზე“ მიუთითებს მარქსი თავის „Святое се-  
мейство“ — „ში და მის მიერ მოყვანილი ციტატებში  
ჩვენ შევხდებით იმავე აზრებს, რომელიც გამოთქმულია  
„მანიფესტში“.

„ცოლქმრული სიწმინდის დარღვევა, ქალ-  
წულის შეცდენა მაცდურს ლირსებას და პა-  
ტივს მატებს და, კარგ ქცევად ითვლება, მაგ-  
რამსაცოდავიქალწულის ბავშის მკვლელობა  
როგორი დანაშაულია, თუ მას არ უნდა გაიტ-  
ეხოს სახელი, მან უნდა მოსპოს კვალი თავის  
დანაშაულისა; ხოლო თუ იგი სწირავს ამას  
თავის ბავშს ამქვეყნიური ცრუმორწმუნეობის  
წყალობით, მას ამით უფრო მეტი სირცხვილი  
ედება და იგი ხდება მსხვერპლი კანონის  
ცრუმორწმუნეობისა... არავის იმაზე უფრო  
დაბლა არამცირებს ის დანაშაული როგორც  
ქალის მონობაში ყოფნაა, როგორც თვით მა-  
მაკცეს“. ყოველივე ესა ბურუუაზიულ ოჯახის პირმშო  
შვილია. ბურუუაზიულ ოჯახის დანგრევასთან და გაქრობას-  
თან ერთად გაქრება ოჯახურ ძალმომრეობის ყოველგვა-  
რი სახე.

დღეს ჩვენ სოციალისტურ მშენებლობის პერიოდში  
ვცხოვრობთ, როდესაც ჩეარი ტემპით მივდივართ წინ.  
ჩვენ უახდენთ ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქციას, მაგრამ  
გარდატეხა და რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ არ მომხდარა  
ყოფა-ცხოვრების საჭიროები, ძველი ოჯახის ფორმები ჯერ

კიდევ საკმაოდაა ჩვენში. დღევანდელი ოჯახი არაა კომუნისტური, იგი ნახევრად წვრილბურუჟუაზიულია. ოჯახის ეს კათეგორია უნდა დაინგრეს. ამ საკითხის პრაქტიკული გადაჭრა დგას დღის წესრიგში.

ბურუჟუაზიულმა ოჯახმა მემკვიდრეობით გვიანდერ ძა ოჯახური ძალმომრეობა, ბატონ-ყმური დამოკიდებულბა ქალისდმი, იჭვიანობა, ცემატყეპ, მკვლელობა და სხვა. აი, ის ძირითადი რამ, რაც ხელს უწყობს ბურუჟუაზიულ ოჯახის განმტკიცებას.

## ძალმომრეობა და ეჭვიანობა ბურუჟუაზიულ ოჯახის ნაშთია

ხშირია ჩვენი ოჯახის ყოველდღიურ პრაქტიკაში ძალმომრეობისა და ეჭვიანობის ნიადაგზე აღმოცენებული უბედური შემთხვევა. ეჭვიანობა ეს ისეთი ფორმაა ბურუჟუაზიულ ოჯახისა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია.

ეჭვიანობის საფუძველზე წარმომდგარი ინციდენტები მრავალია, განა ცოტაოდენია ოჯახში ცოლ-ქმარს შორის ეჭვიანობის ნიადაგზე გამოწვევულ დაუსრულებელი ჩხუბი და ოჯახური დრამები. ზოგჯერ ეს ოჯახური დრამები მკვლელობით და თვითმკვლელობით მთავრდება.

ასე, მაგალითად, ამ რამოდენიმე თვის წინ ქ. ხონში ცოლმა ეჭვიანობის ნიადაგზე რევოლვერით მოკლა კომკავშირელი ქმარი და თვითონაც მოიკლა თავი. ს. ხუნწში ცოლმა მძინარე ქმარი დანით მოკლა. რას გვეუბნება ყოველივე ეს თუ არა იმას, რომ ეჭვიანობა ბურუჟუაზიული ოჯახის ველური ფორმაა. არა ნაკლები ზიანი მოაქვს ადამიანთა მოდგმის განვითარებაში ძალმომრეობას. ისტორიულად კაცი ბატონობს ქალზე; ცოლი მონაა ქმრის;

იგი მიჯაჭვულია ოჯახს. ბურუუაზიულ ქვეყნებში დღესაც განსაკუთრებული კანონებია შეძოლებული. ქმარს უფლება აქვს, მეუღლეს მოეპყროს ისე, როგორც სურს, რადგან თავის კერძო საკუთრებად მიაჩნია. იურიდიულად ეს შოქმედება გამართლებულია. იგი კიდეც მოკლავს, კიდეც გალახავს და სხვა. ქალს არა აქვს უფლება ამოიღოს ხმა ამ სოციალურ უკულმართობის წინააღმდევ. მისი გზები ყოველმხრივ შეკრულია — დაწყებული ოჯახიდან დამთავრებული სასამართლოთი. მაგრამ არის ბევრი ისეთი ქალი, თუ კაცი რომლებიც იცავს ოჯახური ძალმომრეობას, ბატონ-ყმურ დამოკიდებულებას ცოლსა და ქმარს შორის, მათი აზრით, „შიში შეიქმნი სიყვარულსა“, ქალს უნდა ეშინოდეს მამაკაცის, — ქმრის; ასე მსჯელობენ ისინი. ეს არაა მართალი. ეჭვიანობა და ოჯახური ძალმომრეობა ბურუუაზიულ ოჯახის განუყრელი ფორმებია. ამ ფორმების წინააღმდევ ბრძოლა ჩვენთვის გადაუდებელი ამოცანაა, რადგან ოჯახური ძალმომრეობა და იჭვიანობა ანადგურებს დღიურისა დღიურისა მოდგმას<sup>1)</sup>.

## კომუნისტურ ოჯახისათვის

ოქტომბრის რევოლიუციის საფუძველი გამოაცალა და ძირთესვიანად გაანადგურა ძველი მმართველი კლასები. ჩვენ გავიმარჯვეთ და საბჭოთა კავშირმა ახალი გზებით დაიწყო განვითარება. რევოლიუცია მოხდა არა მარტო დენ პოლიტიკაში, არამედ ყველა სფეროში. ოქტომბრის რევოლიუციამ გააუქმა ყველა კანონები ბურუუაზიულ კლასისა.

1) ამ საკითხის შესახებ არსებობს საინტერესო წიგნი შოთორი-ს „ძალმომრეობა ოჯახურ ყოფაცხოვრებაში.“

ძველი ქვეყნის ნანგრევებზე უნდა აშენებულიყო ახალი ქვეყანა, თავისი კულტურით. ჩვენ უნდა გაგვეწყვიტა კაფშირი ძველ ქვეყანასთნ, რადგან „კომუნისტური რევოლუცია არის კავშირის რადიკალურად გაწყვეტა არსებული ქონებრივ ურთიერთობასთან, დარა გასაკვირია, რომ ის რადიკალურად სწავეტის ჭავშირს ტრადიცული იდებთან“. <sup>1)</sup>

ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია მონობის ყოველგვარი ფორმები. ოქტომბრის რევოლუციამ საფუძველი გამოაცალა ბურჟუაზიულ ოჯახს, როგორც ეკონომიურ უთანასწორობის შედეგს.

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენში ფართო გზა მიეცა ახალი კულტურის განვითარებას. დაიწყო რღვევა ძველმა ოჯახმა, მაგრამ რღვევის პროცესი კიდევ არ დამთავრებულა.

ძველი ბურჟუაზიული ოჯახის ტრადიციები და ჩვევები ჯერ კიდევ საკმაოდაა ფეხმოდგმული დღევანდელ ოჯახში.

ზღეს ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი კომუნისტური ოჯახი, იგი მომავალში უნდა შეიქმნეს, ჩამოყალიბდეს. ოქტომბრის რევოლუციამ შესძლო ოჯახურ ბორკილების დამსხრევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ქალი სამუდამოდ გავანთავისუფლეთ ოჯახურ ყოფა-ცხოვრების ტყვეობისაგან.

ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შევძელით ამ მხრივ, „დედამიწაზე არცერთ მოწინავე ბურჟუაზიულ რესპბლიკში, არც ერთ დემოკრატიულ პარტიას მრავალი ათეული წლების განმავლობაში არ გაუკეთებიას, რაც ჩვენი ხელის

1) მარქს-ენგელსი „კომ. მანიფესტი“ს წინასიტყვაობიდან.

უფლების პირველ წლებში გავაკეთეთ (ეს  
იყო თქმული 1919 წ.). ჩვენ, ჭეშმარიტად, ქვა-  
ქვაზე არ დაგვიტოვებია იმ საზიზლარი კა-  
ნონებიდან, რომლებიც ეხებოდენ ქალთა  
არათანასწორუფლებიანობას, განკორწინე-  
ბის სიძნელეს, მის საზიზლარ ფორმალობას,  
ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშთა  
არცნობას, მათი მამების ძებნას და სხვას,  
და რომელთა ნაშთებიც, ბურუუაზირს და კა-  
პიტალიზმის სამარცხვინოდ, მრავლად მოი-  
პოვებიან ყველა „განათლებულ“ ქვეყანაში.  
ჩვენ ათასჯერ მეტი უფლება გვაქვს ვიამა-  
ყოთ იმით, რაც გავაკეთეთ ამ სფეროში.  
მაგრამ რაც უფრო კარგად გავწმინდეთ ნი-  
ადაგი ძველი ბურუუაზიული კანონებისა და  
დაწესებულებების ნანგრევებისაგან, მით  
უფრო ნათელი გახდაჩვენთვის, რომ ეს მხო-  
ლოდ ნიადაგის მომზადება შენობის ასა-  
გებდ და არა თვით შენობის აგება“ (ლენინი).  
ამხ. ლენინი რა თქმა უნდა მართებულად სვამს  
საკითხს. ნიადაგი გაწმენდილია, საჭიროა შენობის აგება.  
როგორ უნდა შევძლოთ ჩვენ შენობის აგება? ან ვინ  
უნდა იბრძოდეს პირველ რიგში ამისათვის? ამ საგანზე  
სიტყვა მივცეთ ამხ. ლენინს: „მილიონ მშენებელთა  
შორის (მიმართავდა ლენინი კომკავშირ-  
ლებს) თქვენ უნდა იყოთ პირველი მშენებელ-  
ნი კომუნისტური საზოგადოებისა. ასეთი  
მშენებელი უნდა გახდეს ყოველი ახალგაზ-  
რდავი უნდა თუ ქალი“<sup>1)</sup> როგორ მოვახდერხოთ ყოველივე

<sup>1)</sup> ლენინი, ტომი XVI-ტე გვ. 320

ეს? როგორ შევასრულოთ ბელადის სიტყვები. ვალაპარაკოთ ისევ ლენინი, რომელიც გვისახავდა იმ გზებს, რომლითაც შეიძლება კომუნისტურ საზოგადოების აშენება:

„ნიდაგი გაწმენდილი და ამნიდაგზე  
ახალგაზრდა კომუნისტური თაობა უნდა  
აგებდეს კომუნისტურ ცხოვრებას. . . . თუ  
თქვენ კომუნისტური აღმშენებლობის საქმე-  
ში მუშებისა და გლეხების მთელი მასას არ  
ჩააბამთ, კომუნისტურ საზოგადოებას ვერ  
ააგებთ“<sup>1)</sup>), თუ ჩვენმა მამებმა შესძლეს ნიადაგის გაწ-  
მენდა, ჩვენი ვალია შენობის აგება. ჩვენს წინაშე დგას  
ამოცანა ახალი კომუნისტური ოჯახის შექმნისა; ჩვენ უნდა  
შევძლოთ ქალის ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლე-  
ბი ბურუუაზიულ ოჯახის ტრადიციებისაგან. ქალი ჯერ  
კიდევ მიჯაჭვულია ოჯახზე. პირველყოვლისა ქალი უნდა  
მოვაცილოთ აკვანს, კერიას და ნაცარს; ქალმა ჯერ კიდევ  
ამ მდგომარეობას თავი ვერ დააღწია, მიუხედავად იმისა  
რომ ოქტომბრის რევოლუციამ სამუდამოდ დალეწა ძველი  
ოჯახური წყობის ბორკილები.

მართალი იყო ამხ. ლენინი, როცა ამბობდა: „დედა-  
ქაცი, მიუხედავად ყოველგვარი განმათავი-  
სუფლებელი კანონისა, კვლავ რჩება ოჯახის  
მონად, რადგან მას ტვირთად აწევს, აღრ-  
ჩობს, აჩლუნგებს, ამ ცირებს ოჯახის წვრილ-  
მანისაქმე, რომლის გამოცივი მიჯაჭვულია  
სამზარეულოზე, საბავშო ოთახზე, რომელიც  
ნთქავს მის შრომას ველურ-უნაყოფო წვ-  
რილმან, ნერვიულ დამაჩლუნგებელ, დამა-  
უძლურებელი სამუშაოთი.“

1) ლენინის ტომი XVII 320.

ჩვენი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ შევძლოთ  
ქალის მოშორება ოჯახის წვრილმან საქმეზე. ბოლოსდა  
შოლოს ქალის საქმიანობა მარტოოდენ ბავშების მოვლით  
არ უნდა ამოიწუროს. ბოლოსდაბოლოს ქალი არ უნდა იყოს  
ნაცარ-ტუტის და კერის „ორგანიზატორი“. მამაკაციც ქა-  
ლთან ერთად უნდა იღებდეს მონაწილობას ოჯახურ საქ-  
მიანობაში. ქალი უნდა მოშორდეს ნაცარს და მტვერს. ჩვენ  
უნდა შევძლოთ ძველი ბურუუაზიულ ოჯახის ჩვევების საბო-  
ლოოდ განადგურება. როგორ შევძლებთ ჩვენ ყოველივე  
ამას, ან როგორ მივალწევთ მას?

ქალს, პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერ-  
თად, ოჯახურ წვრილმან საქმეებისაგან გან-  
თავისუფლება ელირსება მხოლოდ სოფლის  
მეურნეობის მთლიან კოლექტივზაციის სა-  
ფუძველზე, სოციალისტურ ქალაქების შექ-  
მნის დროსდა საყოფაცხოვრებო არტელე-  
ბის ჩამოყალიბებაში. აი, სადაა გამოსავა-  
ლი; გამოსავალი მაშასადამე მხოლოდ ჩვენი  
ყოფაცხოვრების სოციალისტურად მოწყო-  
ბის სისტემაშია.

რომ ახალი კომუნისტური საზოგადოების და ახალი  
ოჯახის შექმნის საქმეში უმთავრესად აქტიურ მონაწი-  
ლეობას კომკავშირელი ახალგაზრდობა უნდა ღებულო-  
ბდეს, ამას ჩვენ ზოგჯერ ვერ ვხედავთ. ეს გარემოება უთუოდ  
იწვევს ყოფითი მოვლენების დამახინჯებას. ახალი ოჯახი  
კომკავშირელებმა, პირნერებმა უნდა შექმნან. ახალი ოჯახი  
უნდა შექმნან ახალმა ადამიანებმა. მაგრამ ბევრს ეს არ  
ესმის და ჩვენს რიგებში არიან ისეთები, რომლებიც აც-  
ხადებენ: „მეოჯახეობისათვის არა მცალია!

ვინც მასიამოვნებს, ჩემი ცოლიც ის არის!“  
და სხვა. 1930 წლის პრილში ყოფილი უნივერსიტეტთან არსებულ ქ. ქ. ბიურო-კოლექტივმა ჩაატარა  
ანკეტების შევსება ყოფა-ცხოვრებაზე, რომლებშიც მთელ  
რიგ გასაოცარ და არა-კორქავშირულ პასუხებს ვაწყდებით,  
განსაკუთრებით ოჯახისა და სიყვარულის საკითხის გარ-  
შემო. ოჯახის შესახებ პასუხთა შორის უმეტესობა ასეთია:  
„ოჯახი არ მწამს და არც ვიზრუნებ მისი შესა-  
ქმნელად. მომავალი თაობისათვის არ ვზრ-  
უნავ და რათ მინდა ოჯახი?“ ზოგიერთი ასეთ უხე-  
ირო აზრსაც გამოთქვამდა: „კომუნისტურ საზოგა-  
დოებაში ყველაფერი განზოგადოებული იქ-  
ნება, ოჯახი იქ იქნება საზოგადოებრივი  
დაწესებულების მაგვარი რამ, სადაც კარები  
ნახევრად ღია იქნება და როგორც მინდა,  
ისე ვიცხოვორებ“. აღნიშნულ ამხანაგების აზრით, კო-  
მუნისტურ საზოგადოებაში კარები ღია იქნება და ვისთა-  
ნაც გინდა იმასთან იცხოვორებ! ეს ბომ ბურუუზიული ოჯა-  
ხის ჩვეულებაა. გამოდის, რომ კომუნისტური საზოგადოება  
ხელს შეუწყობს პროსტიტუციას და გარყვნილებას. ეს არ-  
სებითი ხასიათის შეცდომაა. კომუნისტური საზოგადოება  
სპობს პროსტიტუციას და გარყვნილების ყოველგვარ ფო-  
რმებს,—სამაგიეროთ აწესებს ოჯახს—აგებულსნებაყოფლო-  
ბის პრინციპზე, ოჯახს— შემდგარს წყვილისაგან, სადაც გა-  
რყვნილობის ყოველგვარი ფორმები აღაგმულია. ზემო-ოთ-  
ყვანილი პასუხები (ამონაშერები ანკეტებიდან) არაა კომ-  
კავშირული: გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ისინი, რომ-  
ლებიც ასე მსჯელობენ და რომლებიც არ ზრუნავენ მომა-  
ვალ თაობაზე, დაღუპვისა და გადაგვარებისკენ მიექანებიან,  
ჩვენი ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ არ ვიზ-

რუნოთ მომავალ თაობისათვის, არამედ პირიქით, ჩვენ  
უნდა შევსძლოთ ჯანსაღი მომავალი თაობის აღრწდა, რო-  
მელიც შესძლებს მამების მიერ დაწყებულ საქმის დაგვი-  
რგვინებას. როგორც ვხედავთ, კომკავშირის წინაშე ახალი  
ოჯახის შექმნის საკითხში მეტად საპასუხისმგებლო ამო-  
ცანები დგას.

კომკავშირელის ოჯახი სანიმუშო უნდა იყოს, მაგრამ  
ზოგჯერ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. ხშირია კომკავშირელ  
ცოლ-ქმარს შორის ჩხუბი, ძალმომრეობა, ეჭვიანობა, ცე-  
მატყეპა და სხვა, რომელიც ბურუუაზიული ოჯახის დამა-  
ხასიათებელი თვისებაა, რომლის წინააღმდეგაც კომკავში-  
რმა გამანადგურებელი იერიშები უნდა მიიტანოს.

## ქალთან ამხანაგურ დამო კიდევაულები- სათვის

ყოფა-ცხოვრების პრობლემის ძირითადი და არსებითი  
შემცველობის შემცველი საკითხია ქალთან დამოკიდე-  
ბულებისა და ამხანაგური ურთიერთობის მომენტი. ჩვენ  
ამ მხრივ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ სახარბიელო მდგო-  
მარეობას. კომკავშირელ ვაჟსა და გათხოვილ კომკავში-  
რელ ქალს შორის ამხანაგური დამოკიდებულების ფორ-  
მები ჯერ კიდევ არ შოგვიპოვებია. გათხოვილ კომკავში-  
რელ ქალისაღმი არა - ამხანაგური, არა - კოლეგიარული  
დამოკიდებულება -- ძველი ბურუუაზიული ოჯახის ნაშთია.  
არის შემთხვევები, როდესაც კომკავშირელი ქმარი თავის  
ცოლს სცემს, დასდევს მოსაკლავად და სისტემატიურად  
ეჭვიანობს მასზე, ასეთი ტენდენციები დღესაც პოულობს  
გამოვლინებას ამა თუ იმ კომკავშირელის პრაქტიკულ საქ-  
მიანობაში. ამ მხრივ, აუცილებლად სათანადო გარდატე-  
ხა უნდა მოხდეს, — უნდა გაირლვეს არა - ამხანაგური

დამოკიდებულება ვაჟსა და ქალს შორის. ხშირად ჩვენი ამხანაგები მის გვერდით მომუშავე კომკავშირელ ქალს უცქერის არა როგორც ამხანაგი, არამედ სქესობრივ უინის მომკვლელ არსებას. ეს კი ყველაზე ცუდი მოვლენაა. ასეთი შემთხვევები არა ერთი და ორია. ჩვენ მრავალი მაგალითების მოყვანა შეგვიძლია იმის შესახებ, თუ როგორი არა - ამხანაგური დამოკიდებულება არსებობს ზოგჯერ კ. კ. უჯრედის მღივანსა და კ. კ. ქალებს შორის, ანდა, როგორი ურთიერთობაა რომელიმე დაწესებულებებში მომუშავე ქალსა და ვაჟს შორის:

ამ შემთხვევაში აღნიშნული ამხანაგები უდავოდ ჯერ კიდევ არ არიან განთავისუფლებული ბურუუაზიული ოჯახის მავნე ჩვევებისაგან. სამწუხარო მდგომარეობაა, მაგრამ უთუოდ აღსანიშნავი, რომ ტრადიციული ტყვეობის რკალი ჯერ კიდევ არაა გარღვეული.

ხშირად ჩვენი კომკავშირელების საქციელი ცილდება ყოველგვარ ეთიკას და ხულიგნობის იერს იღებს. ისინი ქალებს აყენებენ არანორმალურ პირობებში და ყოველმხრივ ელობებიან წინ. ამ მხრივ, მეტად სანტერესო მასალას წარმოადგენს კ. კ. ქალის — ოლია ჩიტაძის წერილი. აი, რას წერდა ჩიტაძე „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტიას:

— „ორი წლის წინად მე მიმიღეს ჭ. ტფილისის ერთერთ ქარხანაში, საღაც შევედი კომკავშირის უჯრედში. მაშინ ამ უჯრედის მღივანი იყო მოდებაძე. თუმც მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ მაინც ვეწეოდი საზოგადოებრივ მუშაობას. არ ვიცი, როგორ ვასრულებლი მას, — კარგად თუ ავად — მაგრამ ცხადია ის, რომ მე ვიიგლებოდი აქტიურ წევრად ჩვენს უჯრედში. ანგარიშის ჩაბარების დროს ჩემი მუშაობა ბიურომ არა - დამაკმაყოფი-

ლებლად სცნო, რადგან მე უფრო დამნაშავე გამოვედი, ვიდრე უჯრედის ბიუროს სხვა წევრები, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის არავის არ მიუთითებია ჩემი მუშაობის გამოსწორებაზე.

ბიურომ საყვედური გამომიცხადა. ამან ჩემზე უარყოფითად იმოქმედა, რადგან მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბრალი არ მიმიძლოდა არაფერში. გავიდა ერთი წელი. გული მაინც არ გავიტეხე, დავიწყე სიარული პოლიტსკოლაში და ამავე დროს ვეწეოდი მუშაობას ქალთა შორის. გამოცხადდა კომკავშირული სამხედრო ლაშქრობა. მე მონაწილე იპა ვერ მივიღე მასში. ბიუროს სხდომაზე დაისვა საკითხი, თუ რატომ არ წავედი ლაშქრობაზე. მე წამოვაყენე საპატიო მიზეზი, მაგრამ ბიურომ, რომლის შესახებ მე მინდა ქვემოთ ვილაპარაკო, საჭიროდ სცნო ჩემი ბიუროდან გამოყვანა. მე არასდროს არ ჩავარდნილვარ ასეთ მდგომარეობაში და არ ვიცოდი ვისთვის მიმემართა. ბიუროს წევრებად იყვნენ: მოდებაძე, — უჯრედის მდივანი, გიულიმიანი — აგიტპროპი, კრავჩენკო — ჯგუფორგანიზატორი. აი, ის სამი პიროვნება, რომელიც ხელმძღვანელობდა უჯრედის მუშაობას, როდესაც რაიმე საკითხი ირჩეოდა ბიუროს სხდომაზე ეს სამება წინასწარ მოილაპარაკებდა და ბიუროზე შეხმატკბილებული გამოდიოდა.

ახლა თქვენ აგიწერთ იმას, თუ რატომ ვატარებ მე „პასივის“ სამარცხვინო სახელწოდებას.

როდესაც უჯრედში პირველად შევედი, მე ყურადღება მომაქცია უჯრედის მდივანმა; ის ჩემთან კარგ დამოკიდებულებაში იყო და მუშაობის დროს რჩევა-დარიგებით მეხმარებოდა. ერთხელ მან წინადადება მომცა — წავსულიყვავი მასთან სასეირნოდ. მე უარი განვუცხადვ მან

ჩემზე უეცრივ შეიცვალა შეხედულება. მოტებაძემ გამომაცხადა „პასიურ“ წევრად და „მეშჩანკად“. ყველაფერი ეს გამოიწვია იმან, რომ მე მას არ მივეცი კოცნის და მოხვევის უფლება.

ბოლო ხანებში მეტად გამწვავდა დამოკიდებულება ჩემსა და ბიუროს შორის. ბიურომ გადაწყვიტა ჩემი გაგდება კომკავშირიდან.

ერთხელ მე შევნიშნე ჩვენი აგიტპროპი გიულმიანი ბნელ ქუჩაში როსკიპ ქალთან ერთად. მეორე დღეს ამის შესახებ ვუამბე მოდებაძეს, როგორც უჯრედის მდივანს. მან განმიცხადა: „მეტი რაღა დაგვრჩენია ჩვენ, როდესაც ჩვენი კომკავშირელი ქალები მეშჩანებია და შეუგნებლები, — ძალა უნებურად უნდა წახვიდე როსკიპ ქალებთანო“.

ეს ამბავი გაიგო გიულიმიანმა და განიზრახა სამაგიეროს გადახდა. როდესაც ის მარტო შემისწრებდა სადმე, ყოველთვის საკოცნელად მოიწევდა; ხოლო როდესაც ძალადობას გავუწევდი, და არ მივცემდი ამის უფლებას, ის გაცხარდებოდა:

— „შენ, ოლია, არა ხარ ჩემი ამხანავი, შენ ნამდვილი მეშჩანკა ხარ, რა იქნებოდა იმით, რომ მე შენ გადაგეხვიო და გაკოცოო“.

ზაფხულში, როდესაც უჯრედი ექსკურსიაზე მიღიოდა, მოდებაძე უყურადლებოდ სტოვებდა თავის უჯრედს; მას უკვე აღარ აინტერესებდა თავის უჯრედი, ის დროს დაკარგვათ სთვლიდა თავის უჯრედის კომკავშირელ ქალებთან საუბარს, რაღვან ისინი კოცნის ნებას არ აძლევდენ მას; ამაში მოდებაძე ბრალს მღებდა მე, იმის გამო, რომ მე ვიყავი აგიტატორი კომკავშირელ ქალთა შორის ამ უმსგავსოების წინააღმდეგ; ამიტომ გადასწყვიტეს ჩემი გარიცხვა კომკავშირიდან, როგორც „ნაგავისა, კომკავ-

შირის ორგანიზაციაში.“ „დილხანს ეძებეს საამისო“ მასა-  
ლა ჩემი კომკავშირიდან გასაძევებლად და იპოვეს კადეც.

ამ რამდენიმე წნის წინად შედგა ბიუროს სხდომა,  
„წმინდა სამება“ კვლავ შეხმატკბილებულად გამოვიდა ამ  
საკითხზე, მთავარ კითხვად იდგა ჩემი კომკავშირიდან გა-  
ძევების საკითხი. ჩემს წინააღმდეგ შემდეგ ბრალდებებს აყე-  
ნებდენ: ვითომ მე წარმოებაში მუშაობის დროს ვისვენებ-  
დი და სიმულიანტობას ვეწეოდი, რომ მე ჰედმეტი ბარ-  
გი ვარ კომკავშირისათვის. ყველაფერი ეს იმიტომ მოჩ-  
მახეს, რომ მე არ დავნებდი ამ ყმაწვილებს და არ შევას-  
რულე როსკიპის მოვალეობა.

მათ ჩემზე სასტიკი იერიში მოიტანეს, აუტანელი შე-  
ურაცყოფა მომაყენეს. ვინ იცის, რა არ მიწოდეს: რომ მე  
გარევნილი დედაკაცი ვარ, რომ წარმოებაში მეძინა რო-  
გორც მთვრალ ადამიანს, – კაბა -ახდილი, ჩულქებ -ჩავარ-  
დნილი, ვითომ მე ვცხოვრობ ვიღაცა ხანშესულ კაცთან  
და სხვა. ეს შეურაცყოფა მე უხმოდ გადავიტანე, რადგან  
ასეთი თავდასხმა ჩემთვის მოულოდნელი იყო.

ყოველივე ამან მაიძულა გაფყოლ დი ცოლად ერთ  
კომკავშირელს იმ მიზნით რომ შემდეგ მაინც ამხა-  
ნაგები თავაზიანად მომეპყრობიან-მეთქი, როგორც გაოხო-  
ვილ კომკავშირელ ქალს, მაგრამ აქაც მეორე უბეღურებაში  
ჩავვარდი, ჩემი ქმარი, რომელიც მპირდებოდა ყოველგვარ  
თავისუფლებას კომკავშირში მუშაობისას, ახლა ეჭვიანო-  
ბის ნიადაგზე მიკრძალავს უჯრედში სიარულს და საკავშირო  
მუშაობაში მონაწილეობის მიღებას.

მე თვითონ დაბალი განათლება მაქვს, წარმოებას ახლა-  
ხან გავეცანი, კომკავშირში ვირიცხები 1926 წლიდან.  
ამ წნის განხავლობაში უკანასკნელ დრომდე ერთი საყვე-  
დური და შენიშვნა არ მიმიღია. მე მივმართავ რედაქციის:

გაარჩიოს ყოველივე ზემო-თქმული, რომ ისეთ კომქავში-რლებს, რომელნიც პირადი ანგარიშების გამო გზას უხშო-ბენ კომქავშირელ ქალს, პასუხი მოეთხოვოს.

მე პირადად ვერ დავრჩები ამ უჯრედში; მინდა სხვა უჯრედში გადასვლა და იქ დავამტკიცებ, რომ მე არა ვარ „ნაგავი“ და „პასივი“ კომქავშირისათვის.

როდესაც დადგა საკითხი კომქავშირიდან ჩემი გაძევე-ბის შესახებ, მეუკვე მოთმინებიდან გამოვედი, რადგან თავს ოდნავადაც არ ვცნობ დამნაშავედ. მეტი დუმილი არ შე-მიძლია, ვინაიდან კომქავშირი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. მე მინდა კომქავშირში დარჩენა და ამიტომ ვითხოვ ამხა-ნაგების დახმარებას, მათ გამოხმაურებას, მათ ამხანაგურ დამოკიდებულებას. დამიცავით უსაფუძვლო შეურაცყოფი-საგან და დევნისაგან. ალბათ ასეთ ბედს სხვებიც განიც-დიან».

წერილი აქ თავდება. აღნიშნული ფაქტი მეტად დამა-ფიქრებელია. ასეთი მოვლენები მრავალი გვხვდება ჩვენში მუშაობის პრაქტიკაში.

ოლია ჩიტაძის მდგომარეობაში არა ერთი და ორი კომქავშირელი ქალი ყოფილი. და არის ჩაყენებული. ასე-თების ჩამდენი ხალხი, მოკლედ რომ ვთქვათ, ხულიგნებია, რომლებსაც შეცდომით უდევთ ჯიბეში ლენინური კომ-კავშირის მანდატი. აქტიურ კ. კ. ქალს, ოლია ჩიტაძეს, გზას უბორკავენ ყოველ მხრივ. იგი პასივად და მეშჩანკად ალიარეს და მონათლეს რადგან ურჯედის მდივანს, უჯრედის აგიტპროპს და სხვებს არ აკოცინა, უჯრე-დში შექმნილმა ამ არანორმალურმა პირობებმა აიძულა კ. კ. ოლია ჩიტაძე გაყოლოდა ცოლად კომქავში-რელს. მაგრამ რას ვხედავთ. კ. კ. ქმარმა ჩიტაძეს საზ-ღვარი დაუდო და მაგრად გამოუკეტა მას ურდულით

ოჯახური კარები — „კრებეწე არ გნახო. ქ. ქ. რა ქალის  
საქმეა“! აი, რას პასუხობდა იგი ამხ. ჩიტაძეს. განა ამაზე  
მეტი დამახინჯება ყოფა-ცხოვრების საკითხისა შეიძლება? ბოლოს აღნიშნული კომკავშირლები ისეც კი გათამამებუ-  
ლან, რომ უჯრედის წინაში დაუყენებიათ საკითხი ჩიტა-  
ძის ქ. ქ. გამორიცხვის შესახებ. ასეთი ფაქტები რამდენიც  
გინდათ, იმდენია. ჩიტაძის მდგომარეობაში არა ერთი და  
ორი ქ. ქ. ქალი დგას. ასეთ მოვლენების წინააღმდეგ მთა-  
ვარი გამანალებულებელი ცეცხლი ქ. ქ. უჯრედმა უნდა  
მიიტანოს, მაგრამ აქ ზოგჯერ წინააღმდეგი ხდება. უჯრედ-  
მა დროზე უნდა ჩაერიოს ასეთ არანორმალურ მოვლენებში  
და მდგომარეობა დროზე გამოასწოროს, მაგრამ ჩვენი  
კომკავშირლები ვერ იჩენენ სათანადო სიმახვილეს და  
ისინიც გზას უბორეკავან გათხოვილ კომკავშირელ ქალს  
ყოველმხრივ. ჩვენი დამოკიდებულება ქ. ქ. ქალისადმი  
ყოველმხრივ უნდა შეიცვალოს.

გათხოვილი ქ. ქ. ქალი საზოგადოებრივი თვალსაზრისით  
ჩვენთვის იგივე უნდა იყოს, რაც გათხოვებამდე. — ქალი  
გათხოვების შემდეგ ფართოდ ებმება ოჯახურ საქმიანო-  
ბაში. ჩვენი პირველი და მთავარი ამოცანა სწორედ იმაში  
მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ გათხოვილ ქ. ქ. ქალს,  
რათა იგი არ მოწყდეს ორგანიზაციას და ისევ აქტიური  
მონაწილე იყოს საზოგადოებრივი საქმიანობის. ბევრ ქ. ქ.  
ქმარს ეს არ ესმის და იგი ქ. ქ. ცოლს ძველი ბურჟუა-  
ზიული ოჯახის სალტეებს და საზღვრებს უდებს. „იყავი  
სახლში. კრება რა შენი საქმეა. მოუარე ოჯახს. გააკეთე  
სადილი. გამირეცხე ტანისამოსი. მომიარე კარგად. — აი,  
შენი საზოგადოებრივი ვალდებულება და საქმიანობა“. ასე პასუხობს ზოგიერთი ქ. ქ. ქმარი ქ. ქ. ცოლს, როდე-  
საც ეს უკანასკნელი ქ. ქ. კრებაზე დასწრების ნებართვას

მოსთხოვს. ჩვენ გათხოვილი კ. კ. ქალი არ უნდა მოვწყვიტოთ კ. კ. ორგანიზაციის საქმიანობას; ისინი უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ მუშაობაში და დაცეხმაროთ ყოველმხრივ. მაგრამ ეს ასე როდი ხდება. გათხოვდება თუ არა რომელიმე კ. კ. ქალი, ჩვენ მას უკვე სხვანაირ თვალებით დაგუწყებთ ცძერას. ეს კი ძველი ბურუუაზიული ოჯახის მიერ ნაანდერძევი ინსტიქტია, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს.

კ. კ. უჯრედმა ამ მხრივ განსაკუთრებული მუშაობა უნდა აწარმოოს. იმათ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ კ. კ. ქალების შევიწროვების ყოველგვარ შემთხვევებს; იმათ დროზე უნდა აღმოფხვრან უარყოფითი დამოკიდებულება კ. კ. ქალისადმი; მათ კ. კ. ქალებს უნდა აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება. იმათ კ. კ. ლაგამი უნდა ამოდვან გათავხედებულ კ. კ. ქმრებს, რომელებსაც ცოლები მარტოოდენ ოჯახურ მონად უნდათ გაიხადონ. მაგრამ ზოგჯერ ყოველივე ეს როდი ხდება.

ჩვენი ზოგიერთი კ. კ. უჯრედები ამ მხრივ ძალზე ჩამორჩებიან. ისინი კ. კ. უჯრედებში ვერ უშვრებიან ლიკვიდაციას მახინჯ მოვლენებს ყოფის საკითხში. კ. კ. უჯრედები თავის დროზე უნდა ჩაერიონ ისეთ საქმეში, როდესაც კ. კ. ქმარი ყოველმხრივ უხშობს გზას კ. კ. ცოლს, მაგრამ ზოგჯერ ისინი ვერ იჩენენ სათანადო სიმახვილეს. და ვერ ერევიან საქმეში თავის დროზე. თუ ერევიან ზოგჯერ, ძალზე ცუდად. ასეთი მოვლენები კ. კ. უჯრედების მუშაობაში არაა მასიური, მაგრამ თუ არის, მის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად საჭიროა. საჭიროა, თუ არა ბრძოლა ისეთ დადგენილების წინააღმდეგ, როგორიცაა დადგენილება გათხოვილ კომკავშირელ ქალის შესახებ გა-

მოტანილი ქ. კ. ახალბედისოულის (ხონის რაიონი) უჯ-  
რედის მიერ. აი, მათ რა და დაადგინეს:

ოქმი № 16 (ვიცავთ ოქმის სტილს და წერის მანე-  
რას ქ. მ.) 1930 წლის 20 აპრილს ს. ახალბედისოულში  
შესდგა ა. ლ. კ. კ. უჯრედის მორიგი კრება. კრებას  
დაესწრო წევრთა უმრავლესობა.

დღის წესრიგი: 1 ამხანაგებზე მსჯელობა და  
2 მიმდინარე საკითხები.

### მოსმინება:

ახალბედისოულის უჯრედის კრებაზე განაცხადა ამხ.  
ვ. ძ-მიამ, რომ იგი გათხოვდა და არ ექნება საშვა-  
ლება სისტემატიურად იაროს კ. კ. უჯრედის კრე-  
ბებზე, ამიტომ იქონიონ ეს მხედველობაში. ამის  
შესახებ უჯრედმა იქონია მსჯელობა.

### დადგინდება:

რომ ამხ. ვ. ძ-მია იქნას გარიცხული მექანიკუ-  
რად ახალბედისოულის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციიდან,  
როგორც გათხოვილი.

კრების თავმჯდომირე . . . . . (ხელს აწერს).

მდ. ვანი : . . . . . (ხელს აწერს).

დადგენილება მეტად დამატიქრებელია. ნუთუ ორგა-  
ნიზაციიდან უნდა გავრიცხოთ კომკავშირელი ქალები იმ-  
ისათვის, რომ ისინი გათხოვდენ. ნაცვლად იმისა, რომ  
უჯრედი დახმარებოდა ამხ. ძ-მიას, რომ ის არ დაკ-  
ლებოდა უჯრედის კრებებს, ის ორგანიზაციიდან გა-  
რიცხეს. რას ნიშნავს ყოველივე ეს, ან რის შესახებ ლა-  
პარაკობს დადგენილება, თუ არა იმის შესახებ, რომ ჩვენს  
ბევრ კომკავშირელ ამხანაგებს მახინჯად ესმით ყოფა-ცხოვ-

რების სიკითხი. მათ არ ესმით ახალი ოჯახის პრობლემა და არც უნდათ გაიგონ. ასეთი მაგალითების დამოწმება მრავლად შეიძლება.

კომკავშირელთა ოჯახში, გარდა ამისა, მრავალ მახ-ინჯ მოვლენებს აქვს ადგილი. ასე, მაგალითად, კომკავ-შირელი ქალი ა-ა ხ-ი წერს შემდეგ წერილს:

„დამიხსენით, მომეხმარეთ, მე 20 წლის ქალი ვარ. ამ ერთი წლის წინად მე სიყვარულით წავყევი №-ს (კომკა-ვშირელია). როდესაც ჩემმა ქმარმა დაიკმაყოფილა თავისი უნი, მიმატოვა და მოეწყო ტფილისში, აბრეშუმის ქარხა-ნაში. ჩემი ოცი წლის სინდისი და პატიოსნება მას ჩავა-ბარე, მან ყელაფერი მიწასთან გაასწორა, გამთელდ. მე-ყოლა ბავშვი. სახლში არ მიშვებს, მცემს. ისეთ ოთახში მომათავსა, სადაც კედლებიდან განუწყვეტლივ წყალი უონავდა. ბავშმა ვერ აიტანა ნესტიანი ოთახი და მოკვდა. რა ვქნა. ჩემი ერთად-ერთი იმედი ხელიდან გამომეცალა, ბავშის სიკვდილის შემდეგ იძულებული შევიქენი გადავსუ-ლიყავი ჩემი ქმრის ოთახში. მას იმ მიზნით, რომ ოთახიდან გავესახლებინე, შუა ღამისას მოყავდა ამხანაგები და მართავდა ქეიფს. ერთ საღამოს რევოლვერით გარედ გამომაგდო. მთელი ღამე სახლის სახურავზე გავათენე. იგი დღეს კომკავშირის რიგებშია და ზეიმობს ჩემზე გა-მარჯვებას. ასეთების ადგილი კომკავშირის ორგანიზაციაში არაა. დღეს არც დედ-მამა, არც ძმა სახლში არ მიშვებს, რადგან ჩემს ძმას გონია, რომ მას საქვეყნოდ თავი მოვ-ჰერი. სად წავიდე, მიჩვენეთ გზა. ა-ა ხ-ლი კომკავში-რელი მუშა-ქალი 1925 წლიდან“. ასეთ მდგომარეობაში არა ერთი და ორი კ. კ. ქალია ჩაყენებული. კ. კ. ქმრისაგან მიწაზე გასწორებულმა და გათელილმა ყოველ მხრივ, რა ქნას არ იცის. სად იყო იმ დროს კ. კ. უჯრედი, რომ

აღნიშნული მდგომარეობა გამოესწორებინა, მაგრამ ძმაბი-  
ჭობით საქმე დაითარა და კ. კ. ქალი ა-ა ხ-ლი კი დედ-  
მამისაგან, ძმისაგან, ქმრისაგან დევნილი დაღიოდა ქუჩა-ქუჩა  
და ვისაც კი შეხვდებოდა, ყველას უზიარებდა თავის ოჯა-  
ხურ ტრაგედიას. კ. კ. ქმარი კი, როგორც ხ-ლი სწერს,  
ზეიმობს მასზე გამარჯვებას, ზეიმობს მის ზნედაცემულობას;  
კომკავშირელი ქალი კი იცრემლება, ტირის და სასიცა-  
რკვეთილებაშია. კ. კ. უჯრედმა ამ გარემოებას დროზე  
ვერ აულო ალლო, ვერ მოაცილა ორგანიზაციას ასეთი გახ-  
რწნილი და გადაგვარებული კომკავშირელი. შეიძლება ასეთ  
მდგომარეობაში ჩაყენებულმა კ. კ. ქალმა თავი მოიკლას. ჩვენ  
თვითშეკვლელობის ფაქტს არ გავამართლებთ, მაგრამ ასეთ  
შემთხვევაში კი იმ პირობების წინააღმდეგ ბრძოლა, რო-  
მელიც იწვევს თვითმკვლელობას, აუცილებლიდ საჭიროა.

კ. კ. ქმარმა გაიმარჯვა კ. კ. ცოლზე. გათელა და გა-  
აუბედურა ის, მიიყვანა ცხოვრების აბსოლუტურ უარყო-  
ფამდე. ქალთან ასეთ არაამხანაგურ დამოკიდებულების  
ფაქტები მრავალია. ეს გახლავთ პატრიარქატის პრინცი-  
პების თანამედროვე გამოხატულება.

ჩვენი კომკავშირლების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის  
სავსებით განთავისუფლებული ბურუუაზიულ ოჯახის ტრა-  
დიციების ტყვეობისაგან, მათში ჯერ კიდევ საკმაოდაა ფესვ-  
გაღგმულიდ ველა ოჯახის ნაშთები, რომელსაც თან სდევს;  
ეჭვიანობა ცოლის შიმართ, ცემა-ტყეპა და სხვა. ასე, მაგ-  
ალითად, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს წარსულ  
წლის ერთერთ ნომერში ერთ მეტად საინტერესო ცნობას  
ვკითხულობთ: „ერთმა კომკავშირელმა აქტივისტმა ითხო-  
ვა კომკავშირელი ქალი. ერთხელ ამ ქალს პიესაში, ცოც-  
ხალი გაზეთის შესრულების დროს მოუხდა სხვა ვაჟის კოცნა  
ქმარი აღშფოთდა. სახლში დაბრუნებისას ლვედით საშინლად

სცემა მან ცოლს, შემდეგ გამოაგდო კარში, თითონვე თავის ჩამოხჩობა განიზრახა და ძლივს გადაარჩინეს ორთავე. უჯრედმა ეს ქალი გამოაგდო კომკავშირიდან, როგორც გარეუვნილი და მავნე ელემენტი“. ეს მეტად უხეში გამომუღავნებაა ეჭვიანობის, მაგრამ რამდენია სხვა წვრილმანი და შეუმჩნეველი ჩვენთვის. ასეთი მდგომარეობა შხამავს და არევ-დარევას ქმნის ჩვენი კომკავშირლების ცხოვრებაში. აღნიშნულ არა-ნორმალურ მოვლენას კ. კ. უჯრედმა თავის დროზე ვერ უქნა ლიკვიდაცია, იგი, პირიქით გაზარდა—სრულიად უდანაშაულო ქალი ორგანიზაციიდან გარიცხეს, „როგორც გარეუვნილი და გადაგვარებული“. რაღა შორს წავიდეთ—დავემყაროთ უფრო ნაცნობ და ახლობელ ფაქტს, რომელიც ამ ერთი წლის წინ მოხდა.

ამბავი ხდება სოფ. ცხუნკურში (ხონის რაიონი) 1930 წელს. ს. ცხუნკურის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში 1928 წ. მასწავლებლად დაინიშნა ძველი კომკავშირელი ქალი ბ-ძე. ბ-ძემ აქტიურად დაიწყო მუშაობა, როგორც სკოლაში, ისე კ. კ. უჯრედში. ამავე დროს, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის გამგედ მსახურებლა პარტიული ტ-ლა. ამ თეთრრწვერა „ჭაბუკოსანს“ თვალში დაუჯდა ბ-ძის ქალი. დაიწყო შეტევა. „ჩვენი რაინდი“ დაათრო „სიყვარულმა“ და დაიწყო სამიჯნურო ლექსებისა და წერილების წერა. ხშირად თვრებოდა და ქუჩაში მიღილინებდა: „მხოლოდ შენ ერთს, ამ ჭვეუნად განაცვალებ ჩემს სულს, ჩემ გულს“ და სხვა..., „ძნელი“ რამაა სიყვარული. ისედაც გაგრუებული ტ-ლი, მთლად ჭკუიდან გადაიყვანა ბ-ის ქალის მოტყუების წყურვილმა. მაგრამ დახეთ სიმუხთლეს: ქალთან არაფერი გამოდის. ეს „ლოველასი“ ლებულობს მტკიცე უარს მის შეკვეთაზე.

„ვილაც კომპავშირელისაგან“. „შერცხვა ჩემი ვაჟკაცობა თუ შენ ფასად არ დაგიჯინე ყოველივე“ — დაიკვეხა ტ-მა და ერთ მშვენიერ (თუ უმშვენიერო — კ. მ.) დილას —, როდესაც სკოლის სამასწავლებლოში არავინ იყო, გარდა ბ-ძის ქალის, ტ-ლმა იღროვა და გაქანდა ქალისაკენ, მაგრამ ტრფობის ცეცხლით დამწვარ მიჯნურს კოვჭი ნაცარში უვარდება. ბ-ძის ქალმა მორთო კივილი, და სამასწავლებლოს ფანჯრიდან გადახტა. ვწებათა ლელვით ატორტმანებულს „უმანქო“ „რაინდს“ უმტყუნა „ვაჟკაცობამ“ მაგრამ მის წინაშე ისმება კითხვა: „ვაი თუ ბ-ძემ უჯრედს მიაშურა ამ ამბის გამოსააშკარავებლად. ეს კი ვერაფერი სასიამოვნოა. რომ მოსალოდნელი პროცედურა აიცდინოს, ამიტომ „რაინდი“ ტაქტიკურ გამოსავალს მიმართავს, კომბინაციების ნაჭიერებითაა დაჯილდოვებული „ჩვენი გმირი“; იგი მიაშურებს უჯრედის ზოგიერთ წევრებს, რომლებთანაც „ძმაბიჭური“ დამოკიდებულება აქვს მას. სამიკიტნო აქვეა. მაშასადამე, თავის დაღწევა ნუნუათია მოსახერხებული, საკუთარი ამქარი რას არ შეაძლებინებს, კომბინატორს. ამგვარად გეგმიანი და თავდაჭერილი ფრთხილ თავდაცვისათვის ემზადება „ჭაბუკი“ სიყვარულის ბრძმედში მოხვედრილი. მისი ამქარი ავრცელებს ხმას, რომ ბ-ძე გარუცნილია, გათახსირებული და სხვა. არც აცია არც აცხელა და ერთ მშვენიერ დოსტ ტ-მა სასწრაფოდ შეჰყარა თავისი ძმაბიჭები, მოაწვევინა კ. კ. უჯრედის ბიურო და ბ-ძის ქალი, „როგორც გარუცნილი“ გარიცხეს ორგანიზაციიდან. ბიუროს დადგენილება კ. კ. უჯრედმაც დაადასტურა. ამის შემდეგ ტ-მა აცნობა ეს ამბავი ხონის განათლების განყოფვლებას. ბ-ძის ქალი მას-წავლებლობიდანაც იქნა მოხსნილი. ზეიმობს გამარჯვება ტ-შვილი. კ. კ. უჯრედის მდივანი ამაყობს იმით, რომ

მან ერთი „გარყვნილი“ ქალი მოაცილა ორგანიზაციის. დაილია სადღეგრძელობი. ადლეურძელეს უჯრედის მდი-  
ვანი, როგორც მტკიცე დამცველი პარტიის გენერალური  
ხაზისა. მხურვალე გრძნობებით, გამარჯვებულის კილოთი,  
სისპეტაკისა და სათნოების პოზით სიტყვას ამბობს იუბი-  
ლიარი ტ-ი, რომელიც ასე ასრულებს თავის ალაგ-ალაგ  
ლირიკულ, მაგრამ „იდეოლოგიურად ასი პროცენტით  
გამართლებულ“ „რეჩს“: „გისურვებდით კვლავ მტკიცედ  
მდგარიყოთ პარტიის გენერალურ ხაზის საგარაჯოზე და  
ბ-ძისთანა გარყვნილი ქალები აღარ დაგენდოთ“. დაილია  
სამადლობელი, დაიცალა რევოლვერები, კვარტი-კვარტზე  
გადაჭის. ადლეგრძელეს ტ-შვილიც, როგორც ძალზეს ფხი-  
ზელი კაცი და კ. კ. ორგანიზაციის საჭკეოესო დამხმარე.  
ასე მიღიოდა დღეები. ბ-ძის ქალი სიმართლეს ეძიებდა.  
საქმე კ. კ. ხონის რაიკომამდე მივიდა. რაიკომის პირადი  
ხელმძღვანელობით გამორკვეულ იქნა ტ-ლისა და ბ-ძის  
საქმე დაწვრილებით. პ-ძის ქალს აღმოაჩნდა ტ-ლის აუა-  
რებელი წერილები, სადაც იგი ქალს წინადადებას აძლევ-  
და, რომ წაყოლოდა, თორემ გააუბედურებდა. სიმარ-  
თლემ გაიმარჯვა. ბ-ძის ქალის მიმართ წაყენებული ბრალ-  
დებები ტ-ლის და მისი ძმაბიჭების მიერ შეთხშული ჭორი  
აღმოჩდა. რაიკომის ფხიზელმა ხელმძღვანელობამ შექმნილ  
მდგომარეობის ირგვლივ სათანადო განაჩენი გამოიტანა.  
ბ-ძის ქალი დაუბრუნდა კ. კ. ორგანიზაციის, ტ-ლმა და  
კ. კ. უჯრედის მდივანმა სათანადო პასუხი მიიღეს. ადგი-  
ლებზე ასეთი შემთხვევები მრავალია. ბ-ძის ქალი „გარყვ-  
ნილი“ და „გადაგვარებული“ მხრლოდ მიტომ იყო, რომ  
არ დანებდა ტ-შვილს და კ. კ. უჯრედის მდივანს. ტ-შვილი  
კ. კ. მასწავლებელ ქალის მიმართ ხმარობდა ყოფელგვარ  
საშუალებებს, ასე, მაგალითად, იგი კვალდაკვალ დასდევდა

ბ-ძის ქალს და ბლოკნოტში ინიშნავდა თუ სად და ვის  
დაელაპარაკა. დლისით უმიზნო რბენით დალლილი ტ-შვი-  
ლი ღამით დარაჯებს აგზავნის მასწავლებელ ბ-ძის ბინაზე,  
მაგრამ ყოველგვარმა შრომაშ ამაოდ ჩაუარა. ყველაფერი  
გამოირკვა. იგი ვერაფერს გახდა ბ-ძის ქალის მიმართ.  
გამარჯვება იზეიმა არა სიცალბემ, არამედ სიმართლემ.  
აქ ჩვენ აღნიშნულ ფაქტზე მკითხველის ყურადღება  
მიტომ შევაჩერეთ, რომ ასეთი შემთხვევები არა ერთი და  
ორი ხდება, ტ-შვილები ჯერ კიდევ იმყოფებიან ჩვენს  
რიგებში, კ. კ. ცხუნკურის უჯრედის მდივნებისთანა ხალ-  
ხისგან ჯერ კიდევ არაა მთლიანად გაწმენდილი ჩვენი  
ორგანიზაცია.

ინტრიგა, ჭორი, კინკლაობა, კომკავშირელ ქალის  
დამცირება ყოველ მხრივ,— აი, რა აქვთ ყოველდღიურ  
საქმიანობად გახდილი აღგილებზე მომუშავე ზოგიერთ  
კომკავშირლებს. ასე, მაგალითად, ამ რამოდენიმე ხნის  
წინ სამტრედიაში გასამრთლებულ იქნა რამოდენიმე კომ-  
კავშირელი, რომელთაც ბრალად ედებოდათ მთელი რიგი  
არა ჭომკავშირული მოქმედებებისა, როგორიცაა დევნა  
და შევიწროვება კომკავშირელ ქალისა და სხვა. ისინი  
დასდევდენ კ. კ. ქალს ი-ა ბ-ძეს და ათასგვარ ჭორს თხ-  
ზავდენ მის ირგვლივ. ქალს არ აძლევდენ გასაქანს და  
ყოველმხრივ ავიწროვებდენ; ასეთი საქციელი მხოლოდ  
ხულიგნური მოქმედებაა, რომლის წინააღმდეგ ჩვენ უნდა  
ავამოძრაოდ მთელი საზოგადოებრივი აზრი.

გარდა ამისა, ჩვენს ზოგიერთ კომკავშირელს ჯერ კი-  
დევ შერჩენია ძველი რაინდული გამბედაობა და ისინი „ვაჟ-  
კაცურად“ იქცევიან ქალის საკითხში. ძალდატანების ყვე-  
ლაზე საზიზღარი და ველურ ფორმსა ქალის მოტაცება  
წარმოადგენს. ჩვენ ვიცით ძველი განთქმული „რაინდები“,

რომლებიც სპეციალურად სახელისათვის იტაცებიდენ ქალებს. ეს ტენდენციები ჩვენ ზოგიერთ კ კ. დღეს ახასიათებს. ასე, მაგალითად 1928 წელს სამმა ვანელმა კომქავშირელმა დვალიშვილების თემში გაემგზავრენ ქალის მოსატაცებლად. როგორც იქნა მიადგნენ „საპატარძლოს“ ეზოს კარებს, მაგრამ შესვლას ვერავინ ბედავს; ზოგი უკანიხევს, ზოგი წინ მიიწევს, კარებთან ჩოჩქოლი ასტყდა ჩოჩქოლიარ გამოეპარა ყურადღებიდან დედა—ქალს. თავისი შვილი ღამით ააყენა და მეზობლისას გაგზავნა. ჩვენმა „რაინდებმა“ ჯერ მოციქული გაგზავნეს, მაგრამ როდესაც არაფერი გამოვიდა თვით სასიძო შევიდა ეზოში. ეძებენ ქალს, გაშინჯეს ლოგინი, მაგრამ იქ მუთაჭის და საბან-ლეიბის გარდა სხვა არაფერი აღმოჩენილა. დაბრუნდენ „რაინდები“ ვანში პირში ჩალაგამოვლებული. ასე უშედეგოდ გადაიარეს „მრავალი მთანი ტყიანი“. ეს ამბავი არ დარჩა დაუფარავი და აღუნიშნავი: სამივე „რაინდს“ კ.კ. ორგანიზაცია დაატოვებინეს. ასეთ მაგალითების მოყვანა აუარებელი შეიძლებოდა. ჩვენს ხელში ძალზე ბევრი მასალა არსებობს, მაგრამ ჩვენ ეს რამდენიმე ფაქტი მოვიყვანეთ, როგორც ტიპიური დამახასიათებელი ნიმუშები.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები დგება. სრულის სიმწვავით იჭრება კომუნისტური ოჯახის შექმნის ამოცანა, ამოცანა გათხოვილ და საერთოდ, კ.კ. ქალთან ამხანაგურ დამოკიდებულებისა, ამოცანა ახალი ადამიანის შექმნისა.

კ.კ. უჯრედმა უნდა უზრუნველყოს ბრძოლა ახალ ყოფა-ცხოვრებისათვის, ბრძოლა მავნე და მახინჯ მოვლენების წინააღმდეგ ყოფა-ცხოვრების საკითხში, რადგან მახინჯ მოვლენების და გადახრების ლიკვიდაციის გარეშე ჩვენ ვერ შევქმნით ვერც ახალ ოჯახს და ვერც ახალ ადამიანს.

ზემო მოყვანულ მაგალითებში დასახელებული კომკავშირლები ვერ შექმნიან ახალ ოჯახს და არც შეიძლება იყვნენ ახალი ადამიანები. ისინი სახელს უტეხენ კომკავშირის ორგანიზაციის. ჩვენ უნდა შევსძლოთ ამ მავნე ბურუუაზიულ ჩვეულებების ლიკვიდაცია, უნდა უზრუნველვყოთ ბრძოლა ძველი ყოფის წინააღმდეგ, რადგან ახალი ყოველთვის ძველთან ბრძოლაში იბადება.

ამ ბრძოლაში პარტიას და კომკავშირს უნდა დაეხმაროს პროლეტარული. ლიტერატურა. პროლეტარულმა მწერლობამ უნდა შესძლოს ჯანსაღი კლასობრივი ხედვით მავნე ჩვეულებების გამომზეურება. პროლეტარულმა მწერლობამ არ უნდა შესძლოს მარტოლდენ მავნე ყოფითი გადახრების ყალბად შემჩნევა კომკავშირის რიგებში, არამედ მათ უნდა გვიჩვენონ ბრძოლის ის პროცესები, რომლითაც ჩვენ ვიბრძვით ძველი, მავნე ჩვეულებების წინააღმდეგ. პროლეტარულმა მწერლობამ კი დღემდე ეს ვერ შესძლო. მათ ვერ გვიჩვენეს მხატვრულ ტილოებზე კომკავშირის ბრძოლა ახალ ოჯახისათვის, ბრძოლა მახინჯ მოვლენების წინააღმდეგ.

კ. კ. ორგანიზაციის კომუნისტურ ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლაში აქვს უდიდესა მიღწევები, ეს მიღწევები პროლეტარულ ლიტერატურაში არაა გამოვლენილი და მოცემული. კითხულობ ქართველ პროლეტარულ მწერლების ნაწერებს კომკავშირის ირგვლივ, და ყოველგვარ უარყოფითს ნახავთ იქ. ჩვენს მწერლებს უნდა მოეხსენებოდეთ, რომ კ. კ. ორგანიზაცია უარყოფით მოვლენათა სამზარეული არაა.

მოგვეცით. ა. კ. კომკავშირელთა ყოფა-ცხოვრება მხატვრულ ტილოებზე, მოგვეცით ბრძოლა ახალ ადამიანისა-

თვის,— ასეთია ჩვენი მოთხოვნა დღეს. პროლ. მწერლები ყალბად ესმით ახალი ოჯახის და ახალი ადამიანის საკითხი.

აქედან გამომდინარე, როგორც ჩვენს წინაშე, ისე პროლეტარულ ლიტერატურის წინაშე, მთელი რიგი საპასუხისმგებლო ამოცანებისა დგას.

კომკავშირმა პირველ რიგში უნდა იბრძოლოს, პარტიასთან ერთად, ახალ კომუნისტურ ოჯახისათვის—ახალ ადამიანისათვის, კომკავშირელ ქალებისადმი ამხანაგურ დამოკიდებულებისათვის, ძველი ბურჟუაზიულ ტენდენციების ლიკვიდაციისათვის და საერთოდ კი, ახალ ჯანსაღ კომუნისტური უოფა-ცხოვრებისათვის, რაღაც „სწორედ ახალგაზრდობის წინაშე დგას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა.“

(ლენინი)

## სიყვარული და ახალგაზრდობა

სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია კომინისტური საზოგადოება, ასე ლაპარაკობდენ მარქსიზმის უდიდესი კლასიკოსები (მრქსი, ენგელსი, ლენინი), მაგრამ ჩვენს ზოგიერთ ამხანაგს ეს როდი წამს, ეს ამხანაგები ამბობენ: „ჩვენ ყველაფერი არა-ბურჟუაზიული უნდა გვქონდეს. ბურჟუაზიის კუთვნილებაა სიყვარული, არშიყობა, ყოველგვარი რომანტიკა, ოჯახის ათასი უმსგავსოება, ერთგულება ურთიერთისადმი, ბავშები; ჩვენ კი ახალ თვალსაზრისხე ვდგებით. ჩვენ უარვყოფთ სიყვარულის რომანტიულ ლირებულებას, ჩვენ უარვყოფთ ამ მძიმე ბორკილებს. სიყვარული უბრალო რამაა, ფიზიოლოგიური საგანი—ბუნებისაგან ნაკარნახევი და ჩვენ ისევე ადვილად შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ სიყვარულისაგან გამოწვეული სურვილები, როგორც წყურვილი ჭიქა წყლის დალევით“. ამ შოსაზრებას არაფერი

აერთებს ნამდვილ კომუნისტურ აზროვნებასთან. უდაოა ის ფაქტი, რომ ვიბრძვით ბურუუაზიული ჩვეულებების წინა-აღმდეგ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთი ხელის მოსმით უარვყოთ ყველაფერი. ჩვენ სიყვარულის საკითხი გვესმის კომუნისტური შინაარსათ. სიყვარული ჩვენ გვე-სმის, როგორც გარკვეულ მიზნისა და ფუნქციის მატარე-ბელი. კომუნისტებს არ ესაჭიროებათ სიყვარულის გაცვე-თილი რომანტიკა. ის ამხანაგები, რომელთაც არ წამო სიყვარული და იცავენ ჭიქა წყლის თეორიის აეორიას „ღრმა ექვლოატატორულ მამაკაცის სივაგლახის თეორიას, თავისთავად ცხადია, რომ რევო-ლუცია ვერ შეურიგდება ვერავითარ სივა-გლახეს და, მაშასადამე, ვერც მამკაცის სი-ვაგლახეს“.

### (ლუნაჩარსკი)

ასეთ თეორიას ჩვენ ვერ შევურიგდებით. იმავე „მემა-რცხენე“ ამხანაგების აზრით, კომუნისტური საზოგადოება მოსპობს სიყვარულს და ოჯახს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კომუნისტური საზოგადოება სიყვარულს კი არ მოსპობს, არამედ, იგი „უნდა განსპეციკდეს“ (ენგელსი). ასე რომ: მომავალი კომუნისტური საზოგადოება წარმო-უდგენელია სიყვარულის გარეშე. კომუნისტური ოჯახი მხოლოდ და მხოლოდ იარსებებს წყვილისაგან. შემდგარ სიყვარულით. როგორც ოჯახის, ისე სიყვარულის საკით-ხშიც უნდა ვიბრძოლოთ ბურუუაზიულ ჩვეულებების წი-ნააღმდეგ. ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუწადოთ, ისეთ სიყვარულს, რომელიც მარტოოდენ თენთავს ადამი-ანს და იტაცებს მისტიურ ფიქრთა ბურანში.

ჩვენ სიყვარულის ცნება უნდა გვესმოდის არა რო-გორც რომანტიული თავდაფიწყება, არამედ როგორც გა-

რკვეული კლასის ფუნქციის შემცველი ცნება. ბურუუაზიამ საუკუნეების განმავლობაში თავისი კლასიური შინაარსის მოთავსება შესძლო სიყვარულის ცნებაში; ბურუუაზიული ოჯახი ემსახურება ბურუუაზიული კლასის მიზნებსა და ინტერესებს. ჩვენი ოჯახი, ჩვენი სიყვარული — ძირეულად განსხვავდება ბურუუაზიის ოჯახისა და სიყვარულისაგან.

ისეთ კარდინალური მნიშვნელობის საკითხებისათვის, როგორიცაა ოჯახისა და სიყვარულის პრობლემა ჩვენ გვმართებს ენერგიული და სერიოზული ბრძოლის წარმოება. საქმის მთელი მტკივნეულობა და სიმძიმე იმაშია, რომ ოჯახისა და სიყვარულის საკითხში ყველაზე მკვეთრად და ორგანიულადაა გამოვლენილი ტრადიციული ყოფის, ბურუუაზიული ჩვევების სპეციფიკა. ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვუცხადებთ „ჭიქა-წყლის“ თეორიის მომხრეებს, რადგან აღნიშნულ თეორიას არავითარი საერთო არ აქვს კომუნისტური სიყვარულის პრინციპებთან. ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვუცხადებთ სქესობრივ ანარქიზმს; უპირველეს ყოფისა, კომუნისტური ოჯახი და სიყვარული ასეთი ტენდენციების წინააღმდეგ იქნება მიმართული. ჭიქა-წყლის თეორია კი აცოცხლებს ძველი ბურუუაზიულ ჩვეულებებს და ხელს უწყობს გარყვნილობას და პროსტიტუციას. რაში მდგომარეობს კონკრეტულად ჭიქა-წყლის თეორიის სოციალურ ბუნება? მრავალი კომუნისტი ფიქრობს რომ კომუნისტურ საზოგადოებაში სქესობრივი ლტოლვის, სიყვარულის მოთხოვნილებისა, ვნებათა-ლელვის დაკმაყოფილება ისევე აღვილი და უბრალო იქნება, როგორც ჭიქა-წყლის დალევა. შემდეგ: „ჭიქა-წყლის“ თეორია ღრმა ექსპლოატატორული თეორიაა... მაგაცი ტანჯვას არ განიცდის სქესობრივი აქ-

ტის პროცესში. მისთვის ეს მართლაც „ჭიქა-წყლის დალევაა“. დედაკაცს ჭიქა-წყლის დალევით არა დაუშავდება რა, მაგრამ სქესობრივი აქტის შედეგად მას ბავში უჩნდება აი, სწორედ ის ბავშია მთელი საკითხის მთავარი და ცენტრალური ადგილი. მამაკაცის უხეში—ექსპლოატატორული უფანო თვალსაზრისით, მამაკაცი, „დალევს რა ჭიქა წყალს-“ უცდის, თუ როდის მოუნდება კიდევ დალევა; დედაკაცმა კი უნდა აღზარდოს მთელი რესპუბლიკის ბავშები“ (ლუნაჩარსკი).

ამხ. ლუნჩარსკი აქ არ სვამს წერტილს და განაგრძობს: „ამ ჭიქა-წყლის“ თეორიამ მთლად გადარიც ჩვენი ახალგაზრდობა და მრავალი ვაჟკაცი-სათვის და ქალისათვის იგი საბედისწერო გახდა. მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ ეს მარქსისტული თეორია არისო. გმადლობთ ასეთი მარქსიზმისათვის... მე კი „ჭიქა-წყლის“ „შესანიშნავი“ თეორია ანტი-მარქსისტულ, ანტი-საზოგადოდებრივ თეორიად მიმაჩნია“. ამხ. ლუნჩარსკი სახსავსებით მართალია. „ჭიქა-წყლის“ თეორია, ესაა—გარეუნილების თეორია, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენში პროტუციის ზრდას,—თეორია, რომელიც იწვევს სქესობრივ ანარქიზმს, რომელიც ძველი ბურჟუაზიული ოჯახის ნაშთია და რომლის წინააღმდეგ ჩვენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გვაქვს გამოცხადებული. სწორედ „ჭიქა-წყლის“ თეორია ქონდა მხედველობაში ამხ. ლენინს, როდესაც ამბობდა: „თუმცა ჩემი თავი უველა-ზენაკლებად მიმაჩნია გულჩახვეულ ასკე-

ტად, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობის და ზოგჯერ, დიდების ეგრედწოდებული ახალი სქესობრივი დამოკიდებულება ხშირად მეჩვენება წმინდა ბურუუაზიულ სქესობრივ დამოკიდებულებად, მეჩვენება კეთილ ბურუუაზიულ მეძავთა სახლის სხვა სახეობად.“

არა „ჭიქა-წყლის“ თეორიები, არამედ ჯანსაღი თეორიები, რომელიც მოგვცემს ბრძოლის ხალისს ახალ კომუნისტურ საზოგადოების შენებისათვის. ჩვენ სქესობრივი ანარქიზმისა და აღრევის ნაცვლად ვიბრძვით კომუნისტური ოჯახისათვის, შექმნილს წყვილისაგან. კომუნისტური საზოგადოება აუქმებს ბურუუაზიული ქორწინების ყველა ნორშებსა და კანონებს. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის რომ „სქესობრივი სიყვარული განვითარდეს და განსპერაკდეს (ენგელსი). რას ნიშნავს „განვითარდეს და განსპერაკდეს“? ამხ. ლუნაჩარსკი აღნიშნულ საკითხს ასე უპასუხებს „რას ნიშნავს „განვითარდეს“? ეგების იმას, რომ უფრო მეტად მივყოთ ხელი სქესობრივ სიყვარულს? როგორც იქვენ თითონ ხედავთ, ლენინი გადაჭრით უარყოფს ამას. რას ნიშნავს „განსპერაკდეს? ეგების იმას, რომ გარუვნილ ფრანგ ბურუუებისაგან გადმოვილოთ ყოველგვარი სქესობრივი სიყვარულის სიმახინჯე? ამაზე ლაპარაკიც კი სირცხვილია. ეს ნიშნავს იმას, რომ სიყვარული არ უნდა წარმოადგენდეს ყოველდღიურ მოვლენას, „ჭიქა-წყალს“. იგი ამაღლებული უნდა იქნეს უაღრესად, წარმოადგენდეს არაჩვეულებრივად თვალსაჩინო რამეს. ასეთ სიყვარულს სთვლის ენგელსი გან-

სპეტაკებულად, როცა ამაზე წერს თავის შინაგანში სახელმწიფოსა და ოჯახის შესახებ. „აი, რას ნიშნავს სიყვარული უნდა „განსპეტაკდესო“, როდესაც ამბობდა ენგელსი და ხშირად მოგვაგონებდა ლენინი.

კომუნისტური საზოგადოება იქნება თავისუფალი სიყვარულის სამყარო, რომელიც დაუპირისპირდება ყოველგვარ გარყვნილებასა და მრუშობას. მას, ვინც ცუავს და იზიარებს „ჭიქა-წყლის“ თეორიას, არავითარი წარმოდგენა არა აქვს კომუნისტურ ოჯახზე და სიყვარულზე. ჩვენ ვიბრძვით ოჯახისათვის, ჩვენ ვიბრძვით ჯანსაღ სიყვარულისათვის. „მე აზრადაც არ მომივა ვიქადაგო ასკეტიზმი, — ამბობდა ლენინი, — კომუნისტური საზოგადოება არ ქადაგობსასკეტიზმს, არამედ, კომუნიზმა უნდა მოიტანოს არა ასკეტიზმი, არამედ ცხოველ-მყოფელობა და სიმხენევე, რომელიც სიყვარულით აღსავს ცხოვრებამ უნდა გამოიწვიოს“ (ლენინი).

მრავალი ჩვენი ამხანაგი იმასაც კი ფიქრობს, რომ კომუნიზმი მოსპობს სიყვარულს. ეს შემცდარი აზრია, ვინაიდან „კომუნიზმი წარმოუდგენელია სიყვარულით აღსავს ცხოვრების გარეშე, რომელიც ჭეშმარიტ ცხოველ-მყოფელობას ქმნის. მაგრამ ხშირად სქესობრივი გრძნობის უმსგავსო სიჭარბეს არ მოაქვს არავითარი ცხოველ-მყოფელობა და სიმხენევე; პირიქით ამცირებს მათ“ (ლენინი).

ასე რომ: კომუნიზმი აუქმებს ძალმომრეობის ყოველგვარ ფორმებს; ჩვენ ვიბრძვით ბურუუაზიული გაცვეთის რომანტიკის წინააღმდეგ კომუნისტური სიყვარულისათ-

ვის, რომელიც იქნება ხალისისა და ენტუზიაზმის მოშცემი და არა რომანტიულ მოთენთვის სიმბოლო.

## მოწაფეთა ალბომებიდან

მოთენთილობა, დაცემულობა, სულიერი სიმშვიდის დაკარგვა, რომანტიული აცრემლება,—აი ბურუუაზიული ყოფა-ცხოვრების და სიყვარულის დამახასიათებელი თვისება. ჩვენ არ გვინდა დაცემულობა, ჩვენ ვიბრძვით ყოველგვარ მავნე ბურუუაზიული ჩვევების წინააღმდეგ, რათა ამით გავამტკიცოთ ჯანსაღი სიყვარულის ნიაღაგი. ალბომები—აი ამ ძეელი ბურუუაზიული ყოფის მიერ ნაანდერძევი განძია. მოწაფეთა ალბომები „მეშჩანისა“ და „ობივატელშჩინი“—ს. თავშესაფარია.

ალბომებში მჟღავნდება ბურუუაზიული ყოფის ზეგავლენა. მასში მოთავსებული ლექსები მკითხველს მოუთხრობს „უწყალო სიყვარულზე“, თვითმკვლელობაზე, სამშობლოზე, ამ ცხოვრების ამაოებაზე, ცრემლებზე და სხვა.

დღევანდელი საბჭოთა სკოლის მოწაფე უნდა ალვზარდოთ კომუნისტურ იდეოლოგიის საფუძველზე. აქ მასწავლებლების წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები დგება, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი თვითონ უწერს ლექს მოწაფეებს ალბომში და ესაუბრება „საყვარელ, ტურფა, კეკლუც“ საქართველოზე. არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც მასწავლებელს სქესობრივი კავშირი აჭვს თავის მოწაფესთან, ეს კი გარყვნილობისა და სულიერი დაცემის უდიდესი მწვერვალია. ჩვენ უნდა ვიბრძოს მოწაფეთა ალბომების წინააღმდეგ. ამით ჩვენ ბრძოლას გამოვუცხადებთ წვრილ-ბურუუაზიულ სტიქიას და მეშჩან-ობივატელს, რომელიც შეფარებულია და მოკალათე

ბული ამ ალბომებში. აქ დაცემულობის გარდა არაფერი არ წერია. მოწაფეები ჯანსაღ მოტივების ნაცვლად მოგვითხრობენ „სიყვარულის სისასტიკეზე და „დაცემულ“ სამშობლოზე.

ასე, მაგალითად, ყოფ. მე-14 შრომის სკოლის ერთერთ მოწაფის ალბომში ასეთ „მარგალიტებს“ ვკითხულობთ:

„1. ნუ გავიწყდება შენი სამშობლო,  
შენი ივერი გაოხრებული,  
ნურც შენი ენა აღმზრდელი,  
ნურც დედა-მამა დალონებული.  
გახსოვდეს, რომ ჯერ პატარა ხარ და  
დიდი არის სამშობლოს ვალი,  
იგი მოელის შენგან დახსნასა,  
შენსკენ უჭირავს ვედრების თვალი.“

2. მთლათ ქვეყანა მოიარო,  
გადალახო მთა და ბარი,  
სამშობლოზე უკეთესი  
იცოდე, რომ არსად არი.

3. ბნელა, გარშემო არსად ჩანს მთვარე,  
დამჭერა ნაზი ლამაზი მდელო,  
ეხ, საქართველოც დალონებულა,  
შენ რაღას ფიქრობ აწ საყვარელო?!

რა დაემართა „საწყალ“ საქართველოს? ვინ ლაპარაკობს, ან ვისი განწყობილებაა „გაღმოლვრილი“ აღნიშნულ ლექსში, თუ არა პატარა ობივატელის, რომელიც ზრდის პროცესშია? ასეთი განწყობილები შემთხვევითი არაა. მოწაფეთა ალბომები მხოლოდ და მხოლოდ წვრილ-ბურუუაზიული ყოფის სოციალურ დაკვეთებს ემსახურება.

იმავე სკოლის მოწაფის ალბომში შემდეგს უცნაურ ლექსსაც ვხვდებით:

## 1. ზოგი რუსულს წერს.

და ზოგი ქართულს,  
სჩანს ტალანტი ყველას ჰქონია,  
მაგრამ ქართველმა ქართვლის ალბომში  
რუსულად წეროს გამიგონია?

## 2. არ დაივიწყო საქართველო, და სხვა.

ლექსს ხელს ვინმე ციალა აწერს: რატომ მიაჩნია პატარა ახალგაზრდა ობივატელ ციალას ქართულ ალბომში დაუშვებლად რუსული ლექსების წერა? ეს ხომ აღვილობრივი ნაციონალიზმის ზარის ხმაა. ახლა ვიკითხოთ, თუ ვინაა ყოველივე ამაში დამნაშავე? ამაში ბრალი უდავოდ მასწავლებელსაც მიუძლვის. ზოგჯერ სკოლაში მასწავლებლები ნაციონალისტური სულისკვეთებით ხსნიან გაკვეთილებს. ზოგჯერ ისინი ასწავლიან ისეთ რამეებს, რის სწავლებაც ყოვლად დაუშვინებელია. ხშირია შემთხვევები, როდესაც დღეს სკოლის მომღერალთა გუნდებში ამღერებენ ისეთ სიმღერებს, როგორიცა „სამშობლო“ „მერიანი“ „სამშობლო ხევსურისა“, „თავო ჩემო“ და სხვა ნაციონალისტურ-მისტიფიკატორულ ელფერით შეზავებული მოტივები. განა ყოველივე ეს არ ახდენს მოსწავლე ახალგაზრდობაზე ზეგავლენას? უთუოდ ახდენს, რის წინააღმეგაც ბრძოლა აუცილებელია!

იმავე მოწაფეთა ალბომებიდან მოისმის ხმა დაცემულობისა და თვითმკვლელობის აპოლოგიისა, ერთი მოწაფის ალბომში შემდეგს ვკითხულობთ:

„გული მიწუბს, სული მიშვოოს,  
ბედი მაქადის სხვა და ხსვაობას,  
სიცოცხლე არ მსურს ამ ქვეყანაზე,  
აქ ნათლად ვხედავ არარაობას.  
ყველგან შური, ყველგან ლალატი,  
თვით მუგობრებმაც არ გამიტანა,

მსურს რომ მე გული გადავუშალო.  
 მათ კი მზადა აქვთ მახვილი დანა.  
 სიწამდვილე და ნდობა სიმკვიდრე  
 ვით ნიალვარი გადარებულა,  
 და ამის ნაცვლად ამ ქვეყანაზე  
 დღეს ბოროტება დამყარებულა.“

ასე ლილინებს ეს პატარა მეშჩანი, ასე მოთქვამს მსოფლიო კაერნის კილოზე. ეს ახალგაზრდა „ბაირონისტი“ ამ ქვეყნათ მხოლოდ ბოროტებას ხედავს, ეს გარკვევით კლასობრივი მტრის ენაა. ამგვარად მოწაფეთა ალბომები აკეთებენ კლასიურ მტრის საქმეებს. უფრო საინტერესო ლექსები გვხვდება სიყვარულის შესახებ, რომელიც გაგებულია ბურუუზიულად. აი როგორ კალმოსნობენ ტრფობაზე მოწაფეები:

1. ნუ გებრალება წყალში დამხრჩვალი,  
 ნუ გებრალება ცეცხლში დამწვარი,  
 გებრალებოდეს მხოლოდ მარტო ის,  
 გინც სიყვარულში არის დამხრჩვალი.

2. სად წახვედი, როგორ ფიქრობ,  
 ამგვარ გრძნობას ვერ გამიქრობ,  
 თუ გინდ მძულდე, გიჩნდე არად,  
 მე შენ გეტრფი, გეტრფი მარად.  
 შენზე ფიქრით გსტირი გზაში,  
 როს მარტო ვარ გავცერ ცაში,  
 თან შევყურებ ოხვრით მთვარეს  
 და ვეძლევი ფიქრებს მწარეს.

3. რა ლამაზი ვარდი ხარ,  
 14 მაისს გაშლილხარ,  
 მაგრამ რა ვქნა, რომ მე შენ.  
 არაფრად არ მარგიხარ.

ობივატელური განწყობილებები შეუძლებელია ამაზე მკვეთრად და ნათლად გაღმოიშალოს. ასეთი ლექსების მოყვანა ჩვენ მრავლად შეგვეძლო, მაგრამ ესეც კმარა

იმის დასამტკიცებლად, თუ ვის, ან რა ამოცანებს ემსახურება მოწაფეთა აღბომები. ზოგი რჩეულიშვილის „ახ მთვარე მთვარეს მოტივზე მღერის, ზოგი ცას გაცქერის და რომანტიკოსობს, ზოგი კი ვარდ-ყვავილებზე ფიქრობს და სხვა. ყოველივე ეს უცხო კლასის იდეოლოგიის ზეგავლენის შედეგია.

გიმნაზიისტური, წვრილ-ბურუუაზიული ჩვევების აღბომები სკოლებიდან უმაღლესი ტიპის სასწავლებელშიც სარგებლობს მოქალაქობრივობის უფლებით. ახალგაზრდები, რომლებიც რამდენიმე თვის შემდეგ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდიან, რომელნიც უნდა იქნენ ახალთაობის ხელმძღვანელნი, მოწიწებით დაატარებენ ხელიხელ „საგოგმანებ“ აღბომებს. ხშირად მოგაჩეჩებენ ისინი ხელში და გთხოვენ ექსპონმტად ამლერდეთ პოეტური (თუ ობივატელური? კ.მ.) აღმაფრენით. „გიმნაზიისტურ აღბომებსა“ და ამ უფრო „განსწავლილ“ ინტელიგენტების აღბომებს შორის ის განსხვავებაა, რომ ეს უკანასკნელი უფრო „ფილოსოფიურად“ და „მაღალი სტილით“ ამარგალიტებს დაცემულობისა და გამოფიტულობის მძივებს.

ერთი სტუდენტი აი როგორ შეტრაფიალებს სტუდენტებს აღბომში:

„აგროფაკის სამდივნოსთან გნახე,  
გეცვა პალტო თვალებივით შავი;  
ბეატრიჩეს მომხიბლავი სახე  
წარბ-წამწამი ბალად სჩანდა. რწყავის.—  
რუსთაველზე სეირნობა გიყვარს,  
ელისო ხარ ასროლილი ტ-ნით,  
მაჯადოებს მომხიბლავი მზერა.  
მზად ვარ გავზდე მსხვერპლი შენი დანის.  
შევეჩვიე შენს ქიმიურ დარბაზს,

ბრიყვ ჭოტივით ფანჯარაზედ ვჯდები,  
როცა თვალებს თრთოლვით ესვრი დაფას  
ნაადრევი თოვლისავით ვდნები.

შექმაპირივით ყურსაკიდი გშვენის,  
უფრო მეტად თმები ალე გარსონ,  
თუ ისურვებ ყმა ვიქნები შენი—  
დაწოლის წინ წაგიკითხავ ნადსონს,  
გრიშაშვილის გეტყვი ძვირფას ლექსებს  
უდაბნოში უნდა დაგასახლო,  
კარავისთვის დავდგამ რითმის სვეტებს,  
ბუზი რაა, ის ვერ მოვა ახლო,  
შევუკვეთავ ასს რადიო-სადგურს—  
ტრფობის მითი მთელ მსოფლიოს მოდოს,  
თანახმა ხარ—იქნება სხვა გიყვარს—  
მიპასუხე ორში ერთი დოდო“.

აი „პოეტური ნიჭის“ (თუ უნიჭობის კ. მ.) ნიმუში  
ეს დოდო როგორც ხედავთ ყველაფერი ყოფილა: ბეატ-  
რიჩე, ელისო და სხვა. შეყვარებული „რაინდი“ ნადსონისა  
და გრიშაშვილის „ძვირფას“ ლექსების წაკითხვას პირ-  
დება. შესანიშნავადაა შერჩეული ჟუტორები, რომელთა.  
პოეზია გარყვნილებისა და ყოველგვარი სიბინძურის შემ-  
ცველია!

იგი ტრფობის მითის (sic)გადაცემას რადიო-სადგუ-  
რებით პირდება. ტყუილად გონია ტრფობის ამ დონ-კი-  
ხოტს, რომ რადიო-სადგურები მისთვის მოუკლიან (თუმცა  
ფანტაზიაც აქმაყოფილებს აღამიანს).

ნუთუ ასეთი ხალხი აღზრდის ჩვენს მომავალ თაობას?  
აღნიშნული ლექსი კონკრეტიულად დაცემულობასა და  
თვითმკვლელობის შინაარს გამოხატავს—„მზად ვარ გავ-  
ხდე მსხვერპლი შენი დანის!“ რა ვქნათ, როგორ მოვიქ-  
ცეთ, როგორ ვეძრძოლოთ ასეთ განწყობილებებს? იკით-  
ხავს ყოველი მკითხველი, მერე და ვინაა ყოველივე ამაში

დამნაშავე? დამნაშავე, ჩემო მკითხველო, ძველი ბურუუა-ზიული ყოფის ნარჩენებია, უცხო იდეოლოგიის, მომაკვ-დავ კლასის ზეგავლენაა. აქ ბრალი მიუძღვის ჩვენს მწერ-ლობასაც რომელიც ზოგჯერ გარყვნილებასა და სიბინ-ძურეს თესავს მოზარდ ახალგაზრდობაში.

## ობივატელი ისევ ხითხითებს.

ჩვენში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარე-იბს კაპიტალისტურ და სოციალისტურ სექტორს შორის. ჩვენ ვიბრძვით კაპიტალისტურ კლასის ფესვების საბოლოო განადგურებისათვის. მთელი სიმწვავით დგას ჩვენს წინა-შე ლენინის ცნობილი ფორმულა „ვინ-ვის?“

მომაკვდავი კლასი მთელ ენერგიას იკრეფს ჩვენს წინა-აღმდეგ. კლასობრივ ბრძოლა ჩვენი ცხოვრების ყველა სფე-როში მიმდინარეობს. გამწვავებული კლასიური ბრძოლაა იდეოლოგიის სფეროშიც, კერძოდ ლიტერატურაში. უცხო კლასის წარმომადგენლები თავიანთ იდეოლოგიის გავრცე-ლებას ცდილობენ მოზარდ ახალგაზრდობაზე. მათი ყოველი შემოქმედებითი ფაქტი თავის კლასის მიზნებსა და ამო-ცანებს ემსახურება. ბურუუაზიულ კლასთან ერთად უნდა მოკვდეს მისი მწერლობაც! — ასე დგასა პრაქტიკულად სა-კითხი ჩვენს ქვეყანაში.

დღეს არავისათვის არაა დასამალავი ის ფაქტი, რომ ჩვენს, წინააღმდეგ ყოველგვარი იდეოლოგიური სახის კო-ნტრ-რევოლუცია ხმალ-ამოღებული კი არ მოემართება, არამედ მოიპარება მეშჩანობისა და ობივატელობის სახით.

ქართველ მწერლების მნიშნელოვანი ნაწილი, თავიანთ რეაქციონურ ბუნებით მომაკვდავ კლასის ინტერესებს ემსახურება. ისინი თავიანთ შემოქმედებაში თავისი კლა-სის მოწინავე იდეებს იძლევიან. მათი შემოქმედება იტევს

პორნოგრაფიას და ყოველგვარ სისაძაგლეს — ნაციონალისტური მოტივები, სექსუალიზმი, დაცემულობა, ამ ქვეყნის აბსოლუტური უარყოფა, დღევანდლობაზე ცინიკური სიცილი, წუწუნი თანამედროვეობაზე, ობივატელური ხითხითი — აი, ლეიტ-მოტივი მათი შემოქმედებისა. მათი დღევანდელი საქმიანობა სრულიად უტყუარი და გარკვეული კლასობრივი მტრის საქმიანობაა. ისინი მკითხველ საზოგადოებას აწვდიან პორნოგრაფიულ, ხალტურულ-მხატვრულ ფაქტებს, კერძოდ, ამ მხრივ, სახელგანთქმულია ცნობილი რეაქციონერი მწერალი კონსტანტინე გამსახურდი, რომლის შემოქმედების შინაარსი თავიდან ბოლომდე ხალტურული მასალაა, მოზარდი თაობის გამრყვნელი და გამათახსირებელი. კ. გამსახურდიას უნდა მოეხსენებოდეს ის ჭეშმარიტებით გამართლებული ამბავი, რომ პორნოგრაფიული ხასიათის მწერლობა, სიტიტვლის აპოლოგია, ვნებათა ლელვის უკიდურესი საზღვარი, ქვენა განცდების შავბნელი განწყობილებების, ვნებიერი გახელების ობიექტივაცია, პირველად ყოვლისა როგორც მხატვრული ხერხი, სტილი არაა, სანოვატორო აქ არაფერია და, მეორე მხრით, ამით გამომულავნებულია დაქანებული კლასის, მომაკვდავი და გამოფიტული ფენის უნიადაგო რეფლექსები. მართლაც და მწერლის ეს, პორნოგრაფიული ტენდეცია შეიცავს თუ არა ვინმესთვის, ან რაიმესთვის სასარგებლოს, შედეგიანს? ეგების მხატვრობით და ხელოვანობით დაიტრაბახოს ამ ჯურის კალმოსანმა? გამსახურდა და „ძმანი მისნი“. მთელი შემოქმედებითი ავლადიდება მომდინარეობს. ქველ სამიჯნურო, სარაინდო, ფეოდალური სტილის წიალიდან, რომელიც შემდეგ გადატყდა ბურეუაზიული ესთეტიზმის პრიზმაში. ესაა დაღეჭილის რესტავრაცია ადგილობრივი ქართული უბადრუეჭი ნაციონალიზმის (მე-

ტიც — შევინიზმის) ლოკალობაში, სპეციფიურ სიბრტყეზე  
მაშასადამე აქ ნოვატორობა მარტოოდენ ლოკალიზაციაში  
მდგომარეობს. ეს კი დიდ შემოქმედებით ნიჭს და „ღვთა-  
ებრივ“ დაჯილდოვებას არ საჭიროებს. ამგვარად ვერც ნი-  
ჭით და ვერც მხატვრულობით გაგვაკვირვებს ვამსახურ-  
დია. ფაქტების დასახელება ხომ მრავლად შეიძლება გამ-  
სახურდიას პორნოგრაფიული სალაროდან, რომლიდანაც  
იწამლება ახალთაობა. აი ადგილი მოთხრობიდან „ლილ.“ —  
.... რაღაც იდუმალი ნელ სურნელებაა ამ სახელში, რამ-  
დენი ხოტბა თქმულა ხორციელ მშვენიერებაზე, მაგრამ  
არც კალმით არც წალმით, არც ყალმით ხორციელის  
სილამაზის გადმოცემა სავსებით ჯერ არავის შესძლებია.  
— ახ, სილამაზე ... მისი საუნჯე შეუცნობლობის შვიდ  
ბეჭდიანი წიგნია ჯერეც...

ლილ მთლად შიშველი იდგა... ელვის სისწრაფით  
შემოევლო მის სხეულს ჩემი ხარბი თვალი“. ასეთიც კ.  
გამსახურდიას ლექსიკონი და განცდა. მისი აზრით, სი-  
შიშვლის სილამაზე ყველაფერია; მისი გაგებით სიტიტვლის  
გარეშე არაფერი არ არსებობს.

განა ასეთ ლიტერატურულ ფაქტს მავნებლობის გარდა  
სხვა რაიმე სასარგებლოს მოტანა შეუძლია?

კ. გემსახურდია აღნიშნულ პორნოგრაფიულ გზას დღე-  
საც ადგას და თავის ერთ-ერთ უკანასკნელ მოთხრობა  
„ქალის რძე“-ში წერს: „შემოვაბრუნე, ძლიერ მჭიდროთ  
მივიკარი მკერდზე მისი გათქვირული, ჩაქვირითებული  
გულმკერდი და შემომენთო მისი გომირივით მკვრივი ძუ-  
ძუ-მკერდის ცხუნვარება, თავი განზე გადააგდო, თავშალი  
ძირს დაუგარდა... მკლავებზე წელი შეუშვი, ცალი მკლავი  
წელზე მოვხვიუ, ცალიც შეხსნილ საკინძებში ჩაუყავი და  
ძუძუზე შევავლე, იჩქაუან მილულა თვალები, თითქმის ნეტა-

რების ელდამ შეიპყრო და მომენდო. იწვა ჩემს მკლავზე, დიდრონ შავ წამტამებიან ხვლიკისფერ თვალებით მათვალი-ერბდა, იგრ უკვე, აღარ მშეყვლიდა, ძუძუ-მკერდზე ხელს რომ შევავლებდი ნაზად ნაბავდა თვალებს და მე ვხედავდი ისევ ჩემს საყვარელ ცისფერ ძრღვებს მისი თვალების გუგუნებზე.

გახელებული ვკოცნიდი ლოყაზე, თვალებში, ძუძუ-მკერდზე „მაგრამ ტუჩებზე არ შაკო ჭნინა: რამდენჯერაც ვაკოცე, სახელოთი მოიწმინდა, ბავშვისავით მოუხიჩინე იღლიაში და მაშინ გაიცინა, და არ ნახულმა ელვარებამ შემომანათა მისი საღაფივით თეთრი და მწყობრი კბილ-ების რიალში“. აი კ. გამსახურდიას ინტიმური მოქმედ-ების ობიექტივაცია. გამსახურდია ყოველი ფაქტის პო-რნოგრაფიულ სამოსელში გახვევას ფიქრობს, რადგან მან იცის რომ ამით იგი თავის კლასის საქმეს ვაკეთებს. ყვე-ლაფერი ფიზიოლოგიურ „ესთეტიზმის“, სათვალებითაა დანახული, მწერლის ცნობიერებაში პორნოგრაფიის უსი-ცოცხლო შინაარსია ჩასახული; სქესი ამოძრავებს აღა-მიანს, ასეთია კ. გამსახურდიას დევიზი.

კ. გამსახურდია არაა უცალო; მას ზურგს უმაგრებს მიხეილ ჯავახიშვილიც; ის პორნოგრაფიის სახელოვანი ოსტატია. ვის არ წაუკითხავს მისი „ოქროს კბილი“ და სხვა, რომელთაც დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისათვის არ-ავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სექსუალიზმისა და პორ-ნოგრაფიის გზებით ვითარდება გ. რობაქიძის შემოქმ-ედებაც. ეს სქესით ატორტმანებული „ფილოსოფოსი“ მარ-ჯვედ ცურავს სექსუალიზმისა და პორნოგრაფიის დამყაყ-ებულ ჭაობში. ყველა ამ მწერლების ნაწერები მხოლოდ ობივატელურ წვრილ ბურუუაზიულ საზოგადოების ვიწრო წრის სოციალურ დაკვეთას ემსახურება. მათ გვერდს

უმშვენებს პოეტი ი. გრიშაშვილი, ქალების ლამაზი ფეხების, ათქვირებული ძუძუ-კოკობის ენტუზიასტი. კოცნის წყურვილით გახელებული პოეტი სქესობრივი გრძნობის გარდა ვერაფერს ხედავს ამ ქვეყნად:

წავიდა ის დრო როდესაც მწერლები მარტორდენ ქალის ფეხებსა და ქოშებზე მღეროდენ, გრიშაშვილმა ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი ასეთ განწყობილებებს, იგი ის-ევ ობივატელებისა და მეშჩანების მწერლად რჩება რომელთაც ისლა დარჩენიათ სანუგეშოდ, რომ ოქროს ფეხებზე და გიშრისფერ თვალუბზე იოცნებონ.

გრიშაშვილი მოზარდ და მოსწავლე ახალგაზრდობას რყვნის. ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალს ახალგაზრდა მოსწავლე გოგოს ხელთ უპყრია გრიშაშვილის ლექსები, როგორც ტიბეტის დალაილამას ლოცვის პოზაში სალოცავი წივნი და „საჭიროებისამებრ“ თუ სთხოვ ზეპირათაც გეტყვით, გრიშაშვილი მწერალია ობივატელების. გრიშაშვილს, როგორც კოცნის მწერალს ბურანში და ვნებათა ღელვის თავდავიწყებაში შეუძლია შეიყვანოს ახალგაზრდობა იგი კოცნის მესიტყვეა, ამას თითონვე ამბობს:

„ყვავილთ ტბაში დავიბადე მეოცნებე, მოლივლივე, ჰაეროვან კოცნამ მშობა, კოცნამ მომცა ყოველივე.“

კოცნა კუბოს ნაგლეჯია — შიგ მარხია მუზათ კვნესა, თვით სატანაც კოცნას ეძებს კოცნა ეძებს სიცოცხლესა.

კოცნის სუნთქვაშ გამომზარდა, კოცნამ მომცა ყოველივე, კოცნამ მშობა, კოცნა ჩამკლავს, კოცნას ჩემი ბედი მივე“. გრიშაშვილი დღესაც აგრძელებს ამ ხაზს. მან უკანასკნელად დაწერა ლექსი: „შენ ვაირყვნები“, სადაც იმ, როგორ მესიტყვეობს:

„მაგრამ თუ შემხვდი, ო, სულის მეფავ,  
სადმე აკრული ქუჩის ბნელ კუთხეს,—  
მოვალ და ჩემის კოცნით ავკრეფავ  
მაგ შიშველ ტანზე დაყრილ ნაფურთხებს.  
არც ჩამოკრული: არც საყვედური,  
მკერდში ჩაგიკრავ, ვულს დაგპირდები,  
მე ბედნიერი და უბედური.  
წარბებს ჩამოვშლი და ავტირდები.  
გეტყვი, რომ, რა ვქნა, მიყვარხარ ისევ,  
მომიახლოვდი . . . მომეცი ხელი . . .  
თუ პირველობა მე არ მაღირსე,  
ვიქნები მაინც უკანასკნელი.“

მეძაობა-მრუშობისადმი ტრუიალისა და ლტოლვის ამა-  
ზეუკეთეს გამოსახულებას იშვიათად შეხვდებით საღმე. ამ  
მხრივ მას თვით საპფოც ვერ შეეტოლება. ეს გახლავთ  
სიყვარულის „ავლაბრული სტილიზაცია“. შეუძლებელია  
კინტო-ყარაჩოლელთა აპოლოგეტი ასეთ კვალიფიკაციას  
ასცდეს.

უცხო კლასის იდეოლოგია ზოგჯერ გამოხატულებას  
პოულობს ჩვენი მწერლების მერყევ ნაწილზე. ისინი  
ცილდებიან საკუთარ კლასის იდეებს და უცხო იდეოლო-  
გიის ტყვეობის ქვეშ ექცევიან. ასეთი შემთხვევები ხშირია.  
გადახრების სათავეც სწორედ აქ იწყება. ზოგიერთი  
პროლეტარული მწერალი დღეს უდავოდ ჩამოცილდა  
თავისი კლასს და ფაქტიურად თავისი შემოქმედებით  
კლასობრივ მტრის საქმეს აკეთებს. ამ რიგის მწერლები  
(თუმცა მცირეოდენი) უცხო კლასის წისქვილზე ასხამენ  
წყალს თავის შემოქმედებითი მასალით. ეს გახლავთ სა-  
კუთარი ალოს დაჩლუნგება და შეუკნობელი ლტოლვა  
მტრის ბანაკისაკენ.

მიღდინარე კლასობრივი ბრძოლა ყოველი პროლეტა-  
რული მწერლისაგან კლასობრივ ალოს უაღრესად გა-

მახვილებას მოითხოვს. პროლეტარული მწერალი, რომელიც დაკარგავს პროლეტარულ კლასის ბრივ თვალთახედვას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება პროლეტარული მწერლობის რიგში იდგეს. პროლეტარულ მწერალს დღეს მხატვრულ ტილოებზე უნდა გადაკონდეს ბრძალის ის პროცესში, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენსა და ძველს შორის ბოძოლის დროს. პროლეტარულმა მწერლობამ თავისი შემოქმედება ძირითადში უნდა დაუპირისპიროს მოწინააღმდეგე კლასის მწერლობას.

დღეს პროლეტარულმა მწერალმა უნდა შესძლოს მეშჩანურ-ობივატელურ რკალების გარღვევა და ახალი აღამიანის მოცემა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ ამას ვერ ვხედავთ. ზოგიერთი პროლეტარული მწერალი ჩამოსცილდა თავის საკუთარ კლასს და უცხო კლასის იდეოლოგიის ტყვეობის ქვეშაა მოქცეული. კერძოდ ისეთი პროლეტარული მწერალი, როგორც იონა ვაკელი (უფრო სწორად რომ ვსოდეთ: იყო) დღეს თავის შემოქმედების ნაწილით არაფრით არ განსხვავდება გრიშაშვილის ბარაშვაჯანის სტილიზაციის ფუქსაგატურ შემოქმედებისაგან.

პროლეტარულმა მწერალმა დიალექტურ მატერიალიზმის წეთოდის მომარჯვებით უნდა შესძლოს მოვლენებისა და საკითხების ბოლშევიკურად გადაჭრა, მარქსისტულად ათვისება: იონა ვაკელი ყოველივე ამას მოკლებულია. თავისი შემოქმედების დიდი დოზით ეს მწერალი თანდათან ემიჯნება პროლეტარულ-ბოლშევიკურ განწყობილებებს და ნაციონალიზმის გუბეში ეფლობა. ვაკელმა 1929 წელს გამოსცა ლექსების წიგნი, რომელ შიაც დაცემულობისა და პესიმიზმის გარდა საბოლოო ანგარიშში სხვა არაფერია გამომულავნებული. ვაკელი აღნიშნულ წიგნით და განსაკუთრებით, შიგ მოთავსებული ერთი

განყოფილებით „ეროტიკით“ ბურუუაზიულ საზოგადოების ვიწრო წრის სოციალურ დაკვეთას ასრულებს. „ეროტიკაში“ მოთავსებული ლექსები არაფრით არ განსხვავდება მიჯნურისა და მოთენთილობის აპოლეგიტ გრიშაშვილის ობივატელურ ლექსებისაგან, იონა ვაკელი აღნიშნულ ლექსებში მდერის არა როგორც პროლეტარული მწერალი, არამედ როგორც უცხო კლასის მწერალი. მაგალითად რაა საერთო პროლეტარულ იდეოლოგიისა და იმ აზრს შორის, რომელითაც ვაკელი მიმართას ლამაზ ქალს:

„სუსველაფერი რომ მივატოვო,  
შენს დავიწყებას ვერ შესძლებს გული,  
შენგან ნასროლი ტკბილი ღიმილი,  
დღესაც ჩემს გრძნობებს მტრედივით უვლის.“

როგორც ვხედავთ, ვაკელი ყველაფერს დატოვებს, გაუმიჯნება თავის კლასსაც, პროლეტარულ იდეოლოგიასაც, მაგრამ ვერ უღალატებს ლამაზ ქალს. ნუ თუ ესაა კლასობრივი სიმტკიცე? ნუ თუ ესაა პროლეტარული მწერლის მოვალეობა? მაშინ როდესაც შეუნელებელ ბრძოლას ვაწარმოებთ პროლეტარულ მწერლობაში ყოველგვარი დაცემულობის წინააღმდეგ—ვაკელი სრულიად უორიენტაციონდ ობივატელურად ღიღინებს:

„უთოვნია მთა და ბარი,  
ეხლაც ქარი ებრძვის არეს,  
მე რომ გული მოგაბარე  
რად დამიჭერ ტურფავ მწარედ.  
ვბერდები და ეს დროც გარდის,  
სევდის დღენი უკან მოგვდევს;  
თუ რომ მართლა არ გიყვარდი,  
სად იყავი აქამომდე?  
ცა განრისხდა, მიწა გრგვინავს,  
ეს ქარიც რამ გადარია?  
მას შემდეგ რაც ჩვენ დავშორდით

გულში ცეცხლის ღადარია  
ეს რა აგი ქარბუქია  
ქარი გზაზე ნამჯერს სტოვებს,  
და მწვარ გულზე რად მიმატებ  
წვალებას და სიმარტოვეს.

• • • • •  
უთოვნია მთა და ბარი,  
ეხლაც თოვს და ეხლაც ბარდნის,  
ტყვილად სცდილობ, ვერ უშველი  
ღრმა უფსკრულში გადავარდნილს“.

საინტერესოა აგვიხსნას იონა ვაკელმა, თუ რომ  
დაუწვა გული მას ან რამ გადააგდო ღრმა უფსკრულში?  
ასეთი განწყობილებებით ხასიათდება უკანასკნელ წლებში  
იონა ვაკელის შემოქმედება. უფრო საოცარია, როდესაც  
იონა ვაკელი ქალის და სიყვარულის სავითხში სავსებით  
დადის გრიშაშვილის გაგებამდე და ემთხვევა მას, იონა  
ვაკელი სწერს ლექსს „ნეტავ ბეჭვი იყო“ და მაღალი ხშირ  
იწყებს:

„ნეტავ ბეჭვი იყო ჩემ ყურთ ბალიშის,  
ან მიხაკი მაინც, რომ გყნოსავდე მარად,  
შენი გულის პირი და თვალები გიშრის  
სულში მეშლებოდეს მსუბუქ ყალამქარად.  
იცი, რომ მიყვარხარ და ყელს მიჭერ ულოს,  
განა ეგ წამება არაფერი არი?  
თუ, რომ გული გულობს ჩემო თაიგულო,  
მაინც გეყვარები, რომ მიხილო მკვდარი,  
როგორ არ მიყვარდეს წამწამები გიშრის,  
როცა, მასში გრძნობა სუყველაფერს ჰპოებს,  
ვფიქრობ, ძლიერ გინდა, მაგრამ ვიღაც გიშლის;  
თორემ არ მოკლავდი შენ საყვარელ პოეტს.  
შენ ვით დარი დარობ, მზესთან შესადარო,  
ხშირად იყავ შირადა ყოველთვის-მაზა  
ფართე გულის არე, აკოკრული თარო  
სატერვსავით ვშვენის ტანის მოსახაზად“.

ამხ. მკითხველო! არ გეგონოთ ობივატელების საყვა-  
რელი მწერალი გრიშაშვილი წერდეს ყოველივე ზემო-მო-  
ყვანილს, არა! არა მოტყვილდეთ. ყოველივე ამას სამა-  
რცხვინოდ „პროლეტარული“ მწერალი იონა ვაკელი წერს,  
რომელიც დაცემულობის მთელი „ფილოსოფიას“ გვიშლის  
შინ.

ვაკელი აგრძელებს იმავე ლექსს, წერს:

„ოან გიხდება ფარჩის ლურჯი საბეჭური  
ექცევა ჯეირანის და ყოველი მხარე  
ეს ქვეყანა ოხრად დასამტვრევი ჭური  
არც შენ მოგწონს ძლიერ და არც მე მახარებს.  
მაშ რად იცდი, მოდი შუქ-მოფინარე ბროლო,  
ნუ დააჭინობ სიყრმეს, ამ ცხოვრების ბოლო:  
ყველასათვის არი—სამარე და კუბო“.

ობივატელებს და მეშჩანებს არ მოსწონთ ჩვენი ცხოვ-  
რება. ეს ვაკელშა ძალიან კარგად იცის. მას ქალის სახით  
გარკვეულ ობივატელთან აქვს საქმე და ისიც მის ზე-  
გავლენის ქვეშ ექცევა. ვაკელს იმდენი გამბედაობა ყო-  
ვნის, რომ ობივატელ მეშჩან ქალს ასეთი სიტყვებით მი-  
მართოს: „ეს ქვეყანა ოხრად დასამტვრევი ჭური  
არც შენ მოგწონს ძლიერ და არც მე მახარებს.

რას ქვია, ვაკელო, „ეს ქვეყანა—ოხრად დასამტვრევი  
ჭური?“ ნუთუ ვერ ხედავთ ჩვენს ქვეყანაში იმ დიდ მშენე-  
ბლობას, რომელიც თქვენს თვალწინ მიდის; ეგების ყო-  
ველივე ამას ვერ გრძნობთ იმიტომ, რომ ეს ობივატელ  
ქალს არ მოსწონს? ამას წომ თვითონ თქვენც ამბობთ:  
„არც შენ მოგწონს ძლიერ და არც მე მახა-  
რებს.“ მაშ რა გახარებთ იონა! მაშ რა გინდათ ან რას მო-  
ითხოვთ თქვენ? ნუ თუ ამ ქვეყნად მარტო საბოლოვო ან-  
გარიში სიკვდილი დი კუბოა? მაშ რისთვის ვიბრძვით  
ჩვენ? ვაკელის აზრით, ჩვენი ბრძოლა უმიხნოა; ამიტომ

იგი ყურებზე ქუდჩამოწეული ობივატელ ქალთან ერთად ხელს გვიქნევს, გვაძლევს წინასწარ „გამაფრთხილებელ“ სიგნალს ჩვენი ბრძოლის უმიზნობის შესახებ. ასეთია იონა-ვაკელის შემოქმედებითი მთავარი ხაზები. იგი ამ ბოლო დროს თავის შემოქმედებაში იძლევა და ფართოდ შლის ორნოგრაფიულ სურათებს, იგი გაღაიხარა ვნება-აშლილ სექსუალიზმისაკენ. ასე, მაგალითად, პოემა „მე წის ქვილე“-ში ვაკელი სწერს:

მზია მუდაყარს მოუჯდა გვერდიც  
რომ ვაჟის გული მოინადიროს.  
ხან ტლანქ მკლავებზე ესმება ვნებით,  
ხან კი სწევს კაბის კალთებსაც ზევით.  
სიდდანაც მოსჩანს ლორთქო წვივები  
და ბარძაყები თავბრუ დამხვევი.

შემდეგ ქალი ეუბნება ვაჟს:

ჩემი მკლავები, თეძოვები რას გეუბნება  
ნუღარ იჭერთ, ამოუშვით მხურვალე ვნება.“

როგორც ზემომოყვანილ ლექსებიდან დაინახეთ, იონა ვაკელი მოწყდა თავის საკუთარ კლასს.

ვაკელი ჩამოსცილდა პროლეტარიატის საერთო ინტერესებს, იგი დღეს გარკვევით კლასობრივი მტრის ინტერესებს ემსახურება. ვაკელის შემოქმედებაში, გარდა ამისა მძლავრად სცემს ნაციონალიზმის და დაცემულობის ზარი, რომელიც ვაკელს უდავოდ მემარჯვენეთა ბანაკში აქცევს. ყოველივე ეს გამოწვეულია უცხო კლასის იდეოლოგიის ზეგავლენით. თუ პროლეტარული მწერალი ჯანსაღია და დგას მტკიცედ თავის კლასის კლასიურ პრინციპებზე, მაშინ მასზე ზეგავლენას მოპირდაპირე კლასი ვერ მოადენს, ამისათვის საჭიროა ნებისყოფა და საკუთარ კლასისადმი რწმენა:

ვაკელმა ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ გამოიჩინა,

დაცემულობა, თავის კლასისადმი ჩამოცილება და გადახრები ბევრ პროლეტარულ მწერალს ახასიათებს. თუ ჩვენ ერთხ წუთითაც მაინც შევანელებთ ბრძოლას, მათ წინააღმდეგ, ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ მემარჯვენე რეაქციონურ ლიტერატურის ზრდას. საჭიროა ბრძოლა როგორც მემარჯვენე რეაქციონერ მწერლების მავნე მხატვრულ ფაქტების, ისევე ჩვენს რიგებში მყოფთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ უცხო კლასის მწერლობის იდეოლოგიის ტყვეობის ქვეშ არიან მოქცეული.

ჩვენ მწერლობაზე შევჩერდით ამდენხანს, რათა ნათელ-გვეყო, რომ მოსწავლე ახალგაზრდობაზე მათი მხატვრული ფაქტები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ. ლიტერატურას ემოციონალურ ზედმოქმედების უნარი აქვს. მოსწავლე ახალგაზრდობაში მეშჩანურ ობივატელურგანწყობილების ზრდას ნაწილობრივ ჩვენში მწერლობაც უწყობს ხელს.

საჭიროა ბრძოლა ლიტერატურაში, ნაციონალიზმის, პორნოგრაფიის, სექსუალიზმის, დაცემულობისწინააღმდეგ, რითაც ჩვეგან ვწმენ და ნიადაგსახალ განწყობილებების შექმნისათვის. ჯერჯერობით კი მწერლობაში ობივატელი ხითხითებს, მეშჩანუნი იცინის.

## იგი დადლელია, დაისვენოს

ბევრი „დაილალა“ გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლაში, ჩვენთან თანამშრომლებზე უარს აცხადებს, მეტი არ შეუძლია. უნდა ვადროვოთ. ბრძოლების რომანტიკის გარდა (რომ კითხოთ მათ), საჭირო ყოფილა თურმე ქალის ტრფობა და მასთან მთვარიან ღამეში საუბარი. ჩვენი ეპოქა ძალზე ჩქარი და ქარიშხლიანია, — ასე მსჯელობენ.

ისინი,—ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მოგყვეთ თქვენ! — უმა-  
ტებენ ისევ ისინი. ასეთი დაცემულობის განწყობილება  
ჩვენს რიგებში ბევრმა ამხანავებმა გამოამულავნა. . . ეს  
ნაკადი პროლეტარულ ლიტერატურაშიც შეიჭრა და ცნო-  
ბილი რუსი პროლეტარული მწერალი ივ. მოლჩანოვი  
ასე მიმართავ თავის „გულის ვარდს“:

„მე, მშვენიერო, ახლა სხვა მიყვარს,  
ის ლამაზია, კდემამოსილი..  
მას მკერდი მოაქვს სავსე სიცოცხლით,  
რაგინდ რაფერი ფარჩით არი ტანშემოსილი.  
მას ძლივსლა უდგას  
სახეში სისხლი,  
ხელი წვრილი აქვს,  
თითები კი თითქოს გამხმარი.  
მაგრამ—  
გაუვალ წამწამთა ქვემოთ  
სწრაფათ გადარბის ორი მდინარე,  
ის კეკლუცობით ვერ იამაყებს,  
მაგრამ ქალური უხვი ალერსით  
არი მდიდარი  
და შემკობილი . . .  
აელვებული დაისის ცეცხლში.  
ულამაზესათ არის შობილი.  
მე ამ მეტყველი მდინარის პირად  
ახალ სიმღერით გულსა ვახარებ,  
და ამ მდიდრულად  
მორთულ-მოჩითულს.  
წინანდელ გზნებას ისევ ვაბარებ.  
ჩვენ დრომ გაგვყარა,  
ჩვენ შორის გაჩნდა სულ სხვა საზღვარი.  
მე შემაყვარე  
ვიღაც უცხო, უახლოესი კი  
ჩემთვის გახდა შორეული და უჩინარი.  
ალბათ მეტყვიან:

—დგახარ წავრალზე,

საცაა უფასკრულს სულ მიჰბარდები.

იქნებ, შენც კარგო, გადაგვარებად

ვაი თუ მართლაც

მოგეჩვენოს ჩემი განცდები!

დე, ასე იყოს!

რა გაეწყობა,

დღე არის მშვიდი.

ეს მზე მე მაინც უცნაურად რად მომეჩვენა!

ვინც დაიღალა—მას აქვს უფლებაც

მდინარის პირად რომ მოისვენოს.

მრველ წაკატთან . . .

მივალ ჭლდეებზე

სიმაღლეებით სივრცეებს რომ გასცდა.

ვისვრი მაღლა მკერდში დამარხულს

ფიქრებს და განცდას.

წელთა ჭრილობის,

უკულმართობის მოსაგონებლად

რისთვის დამქონდეს იარებით მკერდი დახრული.

მე ამ მშვიდს, და ელვარე ცის ქვეშ

მინდა სიცილი

და სიყვარული.“

ამ სტრიქონებში „პროლეტარული პოეტი“ მოლ-ჩანოვი აწეული. ხმით ანვითარებს რევოლუციონურ ამბებით დაჩრდილულ ფილოსოფიას, რომელიც ახლა აცოცხლებს მეშჩანს. დააკვირდით იმას, თუ როგორ თვალსაჩინოთ აშენებს და ხაზს უსვამს ეს „პროლეტარული პოეტი“ ჩვენთვის სრულიად უკხო ჰანგებს თავის პოეზიაში.

მეშჩანი „დაიქანცა“, ამიტომ მას „უფლება აქვს დაისვენოს“, მაგრამ სხვაგან კი არა, თუ არა უთუ-ოდ „მშვიდ მდინარესთან“. ეს ლექსი უცრად ამოხეთქილი „სულის ძახილი“ კი არ არის, არამედ

ეს გახლავთ განსაზღვრულ სოციალურ ფენათა და-  
კვეთის ნიმუში. როგორც ჩანს, საბჭოთა მეშჩანობას  
შეუძლია მისცეს „დაკვეთები“ და ისიც არა სხვა  
ვინმეს, არამედ აუცილებლად „პროლეტპოეტს“ (კო-  
სტროვი).

მე ვფიქრობ, რომ ამხ. კოსტროვი აქ სავსებით მარ-  
თალია. მოლჩანოვა მისახურება. იგი „დაიქანცა“, მას მოე-  
ნატრა მეშჩანინთან დასვენება, მთვარიან ლამეში მასიან  
საუბარი. როგორც კოსტროვი ამბობს, ასეთი განწყობი-  
ლება შემთხვევით არაა. ასეთმა ტენდენციებმა ჩვენშიაც  
იჩინა თავი და ზოგიერთმა პროლეტარულმა მწერალმა  
დაიწყო დაცემულობის ფილოსოფიის გადმოშლა. საბჭო-  
თა საზოგადოებრიობის წინაშე. კერძოთ პროლეტპოეტი  
კალე ბობოხიძე მოლჩანოვის მსგავსად ამღერდა.  
იგი დაილალა, მას დასვენება უნდა, მას რალაც აწუხებს,  
ვილაცას ეძახის, ვილაცას დაეძებს, ბუზლუნებს, წუწუნებს  
და აცინძს მეშჩანს. სიტყვა თვით პოეტს მივსცეთ:

„მე გურს ქეუმაგარი კალმით ვისარკავებ,  
მჯერა არასოდეს ალარ გაცივდება  
თუმცა გამარტამებს მე ის საკანი,  
სალაც სინესტეში სიცივეს განვიცდი.  
ვ' ცი ბევრს სწადია ფრთხები შემრკვეცოს,  
რადგან ქედრიგრისათვის გზები დაზუღლია,  
მე ხომ ვეღარავის თავს ვერ შევაც უდვებ,  
დროშა გულ-მხედრული რომ არ გაიშალოს?.  
როცა საკანში ვარ ან და უბინადრო,  
ამ გზას ვერ გავთელავთ შიშველ კალმით მარტო  
მაინც არ ვღონდები ვეღარც დავლონდები  
•  
ვხედავ ავტომობილს ვილაც მიაქანებს  
მე საკანში ვარ და ამ სტრიქონებს ვიწყებ:

აქ ხომ ფრთებს ვერ გავშლით, როგორც მემანქანე,  
რომ გავფანტო ირგვლივ დაგუბული სითხე.

მე გამობარი წელი თუ არ შემხებია,  
მაინც არ მწყინდება ასეთი ცხოვრება.

მაგრამ დიდ ბრძოლით დღეს ვინც დალლილია  
ველარ გავაგონებ აგზნებულ ძახილს“

კ. ბობოხიძეს ეჩვენება, რომ მის ირგვლივ მყოფი მე-  
ბრძოლები ყველა დალლილა. ამიტომ, მისი აზრით, არა-  
ვის არ ესმის მისი „აქუხებული“ ხმა. კალე ბობოხიძემ  
აღნიშნულ ლექსში უდავოდ მოლჩანოვის მსგავსად ვამო-  
ამჟღავნა დაცემულობა, არა კლასიური სიმტკიცე, უნების-  
უოფობა და მეშჩანთა და ობივატელთა განწობილებები. იგი  
უცხო კლასის იდეოლოგიის ტყვეობის ქვეშ მოექცა.

ბობოხიძე აღნიშნულ გზას ნაწილობრივ დღესაც აგ-  
რძელებს; მისი უკანასკნელი ლექსები „ტკბილი ლირ-  
იკის“ სამოსელშია გახვეული, მოკლებულია ყოველგვ-  
რა მებრძოლ ტენდენციებს და დინამიურობას. იგი დღეს  
ობივატელთათვის საამო სასმენ ლექსებს სწერს. ბობოხი-  
ძეს აწვალებს და აწუხებს პატარა ობივატელი, რომელიც  
მას თავში უზის. აკი ამოიყვირა ამ პატარა ობივატელმა  
ერთხელ:

„აღარ მასვენებს შენზე ფიქრები,  
ნეტავი გულში სანამდე ივლი,  
მეუბნებოდი შენი ვიქნები  
დაუდეგარო ძვირფასო ლილი“

ანდა:

„დღეს ზოგიერთი შაინც  
გრძნობებს ცრემლებით ალბობს  
მოელის ტრფობის მაისს  
ვარდებით ავსებს ალბომს.  
მე სიყვარულის ნაცვლად

ისევ გრიგალის ტყვე ვარ,  
გონებამ გრძნობა დაწვა  
თითქო აქცია მტვეჩად.

და ზოგიერთი მაინც  
გრძხობებს ცრემლებით ალბობს,  
მოელის ტრფობის მაისს  
ლექსებით ავსებს ალბომს“.

მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ ვისი განწყობილ-  
ბაა ეს, ან ვისთვისაა საგანგებოდ დაწერილი აღნიშნული  
ლექსები. კალე ბობოხიძე ობივატელთა ვიწრო წრის სო-  
ციალურ დაკვეთის გზით მიდის. მან უნდა იბრძოლოს  
აღნიშნულ გზიდან თავის დასალწევად. დღევანდელი ჩვე-  
ნი ეპოქა ბოლშევიკური ტემპების ეპოქაა, იმიტომ ყოვ-  
ლად დაუშვებელია რომ პროლეტარული მწერალი ბოლ-  
შევიკურ თემატიკის გვერდით ლექსებს უწერდეს ლამაზ  
ქალს და უმღერდეს დაკარგულ სიყვარულის რომანტიკას. პროლეტარულმა მწერლობამ უნდა შესძლოს სიყვარულის  
საკითხის პროლეტარულად გადაჭრა. ბობოხიძემ ეს ვერ  
შეაძლო და იგი ნაბიჯს ვერ უსწორებს რეკონსტრუქციის  
პერიოდის თემატიკას. იგი საკითხს სიყვარულისა და ქალის  
შესახებ, ჭრის ობივატელურად, თითქმის ასეთივე განწყო-  
ბილებებს იძლევა სიყვარულისა და ქალის საკითხებში  
გ კაჭახიძე. კაჭახიძე კლასიურად უცხო ქალს უწერს  
ლექსს და ეუბნება:

„ვლესავ იარაღს, საკითხია ახლა მხნეობის...“

მიწვევს ზრახვებში სინამდვილის მზემდის მიყვანა,

ვგრძნობ სიძნელეებს, როცა გებრძვი მსოფლმხედველობით,

და როგორც ქალი სილამაზით მაინც მიყვარხარ.“

პროლეტარულ პოეტს კაჭახიძეს არ ყოფნის კლასიუ-  
რი სიმტკიცე, რათა დასძლიოს ობივატელი ქალი, რო-  
გორც სილამაზით, ისე მსოფლმხედველობით. იგი მისი ტყვ-

ეობის ქვეშაა მოქცეული და გაუბედავად ულილინებსა „და როგორც ქალი სილამაზით მაინც მიყვარხარხა“. ეს არ არის კლასიური სიმტკიცე. ჩვენ გვინდა შევძლოთ ქალისა და სიყვარულის საკითხების ბოლშევიკურად გადაჭრა. კაჭახიძის და ბობოხიძის მიერ საკითხის ამგვარი დაყენება არაა ბოლშევიკური. პროლეტარული მწერალი უნდა ემსახურებოდეს თავის კლასს და არ უცხოს; იგი ჩვენთან უნდა იბძოდეს და არა მღინარის პირად ოცნებობდეს რომანტიულად.

ის, ვინც ჩვენთან არ არის გარდამწყვეტ მომენტში, არცაა პროლეტარული მწერალი. ვისაც ჩრდილში ყოფნა გაუტკბება, ვისაც თავი საკანში გონია, ვინც ვერ ძლებს კლასიურად მიუღებელი ქალის გარეშე, ჯობს დაისვენოს, ალბათ, დაღლილია იგი „ბევრი ბრძოლისაგან“. და ლლილები კი ჩვენ ეპოქას, ბოლშვიკურ ტემპების ეპოქას არ ესაჭიროება.

## „ფილოსოფის“ კაპანელის „ფილოსოფიური“ დასკვნები სიზვარულის შესახებ

ჩვენ ზემოთ საუბარი გვქონდა ქართულ მწერლობის ნაწილზე, რომელთა შემოქმედება უარყოფითი გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე. ჯანსაღ ლიტერატურას შეუძლია აღზარდოს ჯანსაღი თაობა. მწერლობას უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია ახალგაზრდობაზე. მავნე ლიტერატურულ ფაქტების გავლენის ქვეშ მოქცეული ახალგაზრდები ზოგჯერ მსხვერპლი ხდებიან მისი. მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინ ვინმე ნატაშვილმა თავი მოიკლა, რის მიზეზიც „ცისფერ ყანწლების“ შემოქმედების იდეურ ტყვეობის ქვეშ მოქცევა იყო. ლენინგრადის ერთერთ სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდამ თავი მოიკლა; გამოირკვა, რომ

იგი მიუღებელ და რეაქციონერ მწერალთა ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ასეთი ფაქტების დასახელება ჩვენ მრავლად შეგვიძლია. ქართველ მწერლობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოქმედება ჩვენს ახალგაზრდობაში მარტოოდენ დაცემულობისა და სასოწარკვეთილების განწყობილებებს ქმნის. ამიტომ, ჩვენი მორიგი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ განვდევნოთ და დაუნდობელი ბოლ შევიკური ბრძოლა ვაწარმოვოთ სოციალურად მავნე იდეოლოგიის წინააღმდეგ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ახაგაზრდება ამათუ იმ მხატვრულ ფაქტის გავლენით ეროტიულ თავდავიწყებამდე მიღის. ჩვენ არა ერთი და ორი შემთხვევა ვიცით იმისა, თუ როგორ აღელვებს ახალგაზრდობას თავგრუდამსხმელი ამერიკული ტრიუკებიანი კინო-სურათები. ასეთივე მაგალითი მეორდება ლიტერატურაშიც. პორნოგრაფიულ ლიტერატურულ ფაქტს ახალგაზრდა ხშირად მიყავს რომანტიულ თავდავიწყებამდე რის შედეგადაც ეძლევა სასოწარკვეთილებას.

მხატვრულ ლიტერატურას რომ თავი დავანებოთ, საქართველოში აღმოჩნდა ისეთი ხალხი, რომლებიც „ფილოსოფიურად“ ცდილობენ დაამტკიცონ სიყვარულის მარადიულობა. ჩვენი მსჯელობის ობიექტი ამჟამად გახლავთ ქართული სიტყვებით და ასოებით დაბეჭდილი უცხოეთის ფილოსოფიის აზროვნებიდან მომდინარე გაცვეთილი „სისტემების“ გასაოცარი კომბინატორის, ცნობილ კ. კაპანელის „მსოფლმხედველობანი“ სიყვარულის საკითხში, რომელიც ორგანიულად გამომდინარეობს საკუთარ „ფილოსოფიურ“ კონცეპციიდანც. ეს უფლება-მოსილი მოაზროვნე გახლავთ ორგანოტროპიზმის „მირონ-ცხებული“ მოციქული, რომელიც თავის მრავალრიცხოვან წიგნებში თავისი საყვარელ დალაილამას ენერგიით გაჰკი-

ვის თავისთავის „მარქსისტობას“ (რაც აჩება „ხმად მლალ-ადებლისა უდაბნოსა შინა“) და ნომდვილად კი ეკლექტიზმის პიედესტალიდან ქადაგებს იდეალისტურ ხმალ-აბჯარით შეიარაღებული ქართულ სინამდვილეში დაცემულობისა და სქოლასტიზმის „ფილოსოფია“.

არ ვიქნებით შემცდარი, თუ ვიტყვით, რომ მისი წიგნი სული და იდეა“ ისეთივე (გიცილებით მეტ კ. მ.) უარყოფითი გავლენას ახდენს საზოგადოების პროლეტ-არული ნაწილზე, როგორც გრიშაშვილი — გამსახურდია-ჯავახი შვილის გამხრწნელი, მხატვრული ფაქტები. ამ რა-მოდენიმე თვის წინად მე შემთხვევით ხელში ჩამივარდა ერთი ახალგაზრდა პირტიტველი „ობივატელის“ წერილი — გაგზავნილი თავის სატრაფოსადმი. აი, რას წერდა იგი: „მგონი ტფილისის ქუჩებს არ სწვავს სიცხე, ისე, როგორც ჩემს გულს და სხეულს შენი სიყვარული სწვავს (წერილი დაწერილი 1930 წ. 27 ივლისს). სიყვარული მწვავეა, ახრჩობს. ადამიანს, უბორკავს გზას. მე შენი სიყვარულისაგან არ ვიცი რა ვქნა, ვის მივმართო, მე რად მინდა ჩემი ოხერი თავი (მართლაც ოხერი! კ. მ.), თუ შენ ჩემი არ იქნება. ის დღე, რომელ დღესაც მე შენ თვალი გესროლე, საბედისწეროდ გადაიქცა ჩემთვის, იმ დღიდგან იწყება ჩემი ტანჯვა-წამების დასაწყისი, იმ დღიდან დავალ გაგიჟებული. ასე მგონია, შენ რამდენი ვინმესთან დაგინახავ, ყველასთან გაქვს საქმე. იცი? გაიგე? იჭვი გახჩობს, იჭვი. იმედია ამაში არ დამცინებ, რადგან „ოტელო ვარ იჭვით სავსე და შენ ჩემი დეზდემონა“.

გული სხვათერ მიცემს, გული შენსკენ მიწევს, ლამის მკერდი გაგლიჯოს. ხომ იცი სიყვარული და მისი ძალა. მოიგონე „ვეფხის ტყაოსანიდან“ სიყვარულისაგან გაგიუ-ებული ტარიელი, ან მოიგონე იმავე „ვეფხის ტყაოსანი“

დან ავთანდილის სიმღერა გულიან ზანზარის ველზე, რომელსაც მთელი ბუნება უსმენდა. რა ამღერებდა ავთანდილს, თუ არა თინათინის სიყვარული?. მოიგონე ალყაზბეგია გმირები-მათიადა სხვები დიახ, სიყვარული აწამებს აღამიანს. მისი ტანჯვა მარადიულია. რომ ეს ასეა, ამასთვით დიდი ფილოსოფოსი, როგორიც არის არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოშიაც ცნობილი კ. კაპანელი წერს თავის, „სული და იდეა“-ში. მოისმინე რას წერს, გვერდსაც დაგისახელებ, ჩემო ძვირფასო მის „სული და იდეა“-დან, რომ არ დამწამო ვითომ მე ვიგონებდი: იხილე „სული და იდეა“, გვერდი 108-109. აი, კაპანელის აზრი: „სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძნელია, ვიდრე სიკვდილი“ სუნთქვა. სტიქია სიკვდილისა ერთდროულია, ვით ლანდი, ვით ფიქრი. სიყვარულს ძალუძს ერთი წუთი მარადობად აქციოს და მარადობა კი წუთად შესცვალოს; სიკვდილი უარყოფს ყოველგვარ მარადობას და გვევლინება მხოლოდ ერთი წუთით. გაზვეული ცისკრის სხივთაგან მოქსოვილი მსოფლიო სიხარულის ხავერდში, სიყვარული თვალწინ გვიშლის ზურმუხტოვან სივრცეს, ლმერთებით და იდეალებით გამშვენიერებულს, ალელვებულსა და უსაზღვრო ზღვაზე ღრუბელთა შსუბუქ ფრთებით მოექანება ჩვენსკენ სიყვარული, რათა მან მძლავრი გრგვინვით თვის ოქროს ზმანებათა ოქროს ნემსებით დასჩვლიტოს სული ჩვენი, რათა მან ოცნების გაზაფხულით ყვავილების ოქროს ქსოვილებით დაატკბოს გული ჩვენი, მარტოდ შთენილი და მოტყუებული. სიკვდილი ჰეთარავს მგზნებარე ვნებას ცრემლთა მღინარისაგან შექმნილი ღრუბლებით და ამის ტყორცნის ხალხთა და სამეფოთ, რომელთაც ელის ცივი დაფიტყება და გახრწნა... სიყვარულს ცეცხლი უკიდია, მაგრამ იგი არ იწვის, ვით არ იწოდა ბიბლიური

ცეცხლ-მოკიდებული ჩირგვი; სიკვდილმა არ უწყის რა არის ლვთიური წვა. სიყვარული ცეცხლში იწრთობა და და კოცნა მისი გვიხსნის მთელს სიღრმეს კოსმიურ ტანჯვა-დაქანცულობისას: იგი აერთებს ოცნების ოკეანეში უსაზღვრო ლურჯ ეთერს და დემონიურ სიცივეს მიწისას; სიკვდილი აშორებს ცასა და დედამიწას ერთმანეთს მსოფლიო სივრცეთა - სივრცით... ბასრი და ბრწყინვალე წვეტით ეჭრება სიყვარული უძრავ, ცივს მარმარილოს და შემოქმედებით აღტაცებაში ამოატივტივებს მისგან სხივოსანს, მკვეთრ სახეს ნათელ მომლიმარე გულის დე-დოფლისას: სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის სუნთქვა... სიყვარული საწამლა-ვია, საწამლავი, -- რომელსაც ამზადებს თვით ბუნება. ყოველი იმედი ფუჭია, წუთისოფლად ცხოვრება უმიზნოა და უაზროა; "კაპანელი მართალია ცამდე. ასეთი ჭეშმარიტება სიყვარულის შესახებ ჯერ არ თქმულა მსოფლიოს მაშტაბით. მეტი რა მოგწერო? მიპასუხე. ყველაფერი, რასაც მე შენ გწერ სიყვარულმა მიკარნახა. გული მგონი საბუდარიდან ამოვარდეს, შენსკენ მოიწევს. ნეტავ ეს ცა, ეს ველი, ეს გორები და ეს მანძილი, რომელიც ჩვენ შორისაა, რომელიც მე მაშორებს შენზე, იყოს გამჭირვალე, რათა დავინახო შენი. სხეულის ყოველი მიმოხვრა... რა ბედნიერი ვარ, ახლა, ამ წუთს, რომ შენ წერილს გწერ, ამ ქვეყანაზე შე შენს გარდა სხვა არავინ არ მწამს. რა ვწნა, მეტი რა მოგწერო. პასუხს ველი მოუთმენლად, რადგან „სიყვარული საწამლავია, საწამლავი, რომელსაც ამზადებს თვით ბუნება“ (კაპანელი).

წერილი აქ თავდება, რომელიც გარკვევით ლაპარაკობს იმ სასოწარკვეთილებაზე, რომელშიც მომწყვდეულა ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი. მართალია წერილის ავ-

ტორი კომკავშირელი არ არის მაგრამ ეს სრულებითაც  
არ გამორიცხავს იმ მიუცილებელ გარემოებას, რომ არ  
ვებრძოლოთ ასეთ განწყობილებებს. აღნიშნულ წერილში ი  
ეკლექტიკოსი კაპანელი დამოწმებულია, როგორც ავტორი-  
ტეტი და, განა ასეთი შემთხვევები ცოტაა? ჩვეგნს ხელში  
კიდევ იმყოფება მეორე ანალოგიური შინაარსის წერილი.  
კაპანელის მოსაზრებები სიყვარულის შესახებ მის იდეალი-  
სტურ კონცეფსიიდან და მსოფლმხედველობიდან მომდინა-  
რეობს. კაპანელი აღნიშნულ წიგში (ასევე სხვაგანაც) გვე-  
ლინება პირწავარდნილ იდეალისტად, რომლის წერილის  
შინაარსი ჩვენ ზევით მოვიყვანეთ, სასოწარკვეთილებაშია  
ჩავარდნილი, მას ლრმად სწამს და დაჯერებულია კ. კაპა-  
ნელის აზრების უტყუარობასა და ჭეშმარიტებაში. კაპა-  
ნელის ეკლექტიკურმა და წაზა დაბნეულმა ფილოსოფიამ  
ახალგაზრდას დაცემულობის ტენდენციები გამოამულავნე-  
ბინა. კ. კაპანელის ეს აზრი სიყვარულზე ორგინალური არაა.  
ამაოდ გონია მოქ. კაპანელს, რომ რაღვანაც ქართულადაა  
გადმოლაგებული მისი ფილოსოფიური „სისტემები“, ვერ-  
ვინ გახსნის რეალს და აღმოაჩენს, რომ ეს „კონცეფსია“, „არ-  
ახალია, ძველია“. კაპანელის მოსაზრება დეგენერატის  
სქესის ქვილია. კ. კაპანელი აღნიშნული წიგნით და მასში  
გაბნეულ „მარგალიტებით“, დაცემულობისა. და სასოწარ-  
კვეთილების გზაზე აყენებს ახალგაზრდობას. ასეთ ეკ-  
ლექტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლათ საჭი-  
როა. იდეალისტი კაპანელი კიდევ მზადაა აშტკიცოს ასეთი  
უვიცობები. იმ დროს, როდესაც ჩვენ ვიბრძვით სოცია-  
ლიზმის კადრებისათვის, კაპანელი ამ ქვეყანად ახალგაზ-  
რდობას ამაოებისა და არარაობის შესახებ ესაუბრება. ეგ  
მისტიკა—დამახსიათებელი კაპანელისათვის. სიყვარული  
არც მარადიულია და არც საწამლავია, ბუნების მიერ შე-

შზადებული, როგორც ეს კაპანელს გონია, არამედ სიყვა-  
რული გარკვეულად კლასობრივ ტენდენციების მატარე-  
ბელია და ის ჩვენ გვჭირდება ახალი ქცევნის შენებისათვის,  
ჩვენ არ უარვყოფთ სიყვარულს, მაგრამ მისი ეკლექტიური  
გაგების წინააღმდეგ მუდამ ვიღაშერებთ: „სიყვარული სა-  
წამლავია, რომელსაც მზადებს თვით ბუნებაო“ — ამბობს  
კაპანელი და ჩვენ ანალოგიურად შეგვიძლია განვაკალოთ,  
რომ ეს პოსაზრებები ჭეშმარიტად საწამლავია, რომელსაც  
ამზადებენ ეკლექტიკოსი კაპანელები!.. ამგვრად გავი-  
ცანით „ფილოსოფოსის“ „ფილოსოფიური“ დასკვნები  
სიყვარულის შესახებ.

## ჩვენი დროის ადამიანისათვის.

ჩვენ სოციალიზმის პერიოდში შევედით. ხუთწლედის  
მესამე გადამწყეტ წელში ჩვენ უნდა შევძლოთ სოციალი-  
ზმის საძირკველის დამთავრება, რაც გულისხმობს იმას,  
რომ ამ საძირკველზე არ იქნეს დაშენებული სხვა შე-  
ნობა, გარდა სოციალიზმისა. ამ პირობათა შესრულე-  
ბისათვის ბოლშვეკიური ბრძოლაა საჭირო, საბჭოთა კავ-  
შირის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის მტკიცე  
ხელმძღვანელობით იბრძვის ხუთწლედის ოთხ წელში შე-  
სრულებისათვის. სოციალიზმის შენების ენტუზიაზმი დღი-  
თიდღე იზრდება. ადამიანთა შეგნებაში ჩნდება და განა-  
დგურების პირზეა მისული კერძო მესაქუთრის განწყობი-  
ლებები, მაგრამ გარდატეხა ხდება თანდათანობით — დია-  
ლექტიურად და არა ერთბაშად.

ჩვენს ეპოქას ესაჭიროება თავისი ადამიანები; თავისი  
სპეციალისტები, თავისი კადრები. დღეს არავისათვის არ  
არის საღავო ის ბრძოლა, რომელსაც ამჟამად კომუნის-  
ტური პარტია აწარმოებს კადრებისათვის, ჩვენ გვინდა

ჩვენი კადრები, რაღან ამ ახალმა კადრებმა უნდა უზ-  
რუნველყონ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ჩვენს  
ქვეყანაში. ჩვენ ვერ ვენდობით ძველ სპეციალისტების  
ნაწილს, რაღან ზოგიერთი მათგანი ყოველ ფეხის ნაბი-  
ჯზე მავნებლურ მუშაობის წარმოებას ცდილობენ. მოვი-  
გონოთ შახტის კონტროლევოლუცია, ან და ლარიჩევის, რამ-  
ზინის და სხვების მაგალითები და ჩვენთვის ყველაფერი  
ნათელი იქნება. ჩვენს ეპოქას ესაჭიროება თავისი ადამი-  
ანები, რაღან ამ ადამიანების გარეშე ყოვლად შეუძლე-  
ბელია სოციალიზმის აშენება. უკანასკნელ ხანებში ჩვენ  
სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე უდიდეს გამარჯ-  
ვებებს მიგალშიეთ, რაც თავ-დადებულ მუშაობას, ბოლ-  
შევიკურ ტემპებს და ენტუზიაზმს უნდა მიეწეროს. ბაქოს  
პროლეტარიატმა ნავთის ხუთწლიანი გეგმა ორი წელი-  
წად-ნახევარში შეასრულა. ისინი გმირულად იბრძოდენ  
ბოლშევიკურ ტემპებისათვის. ასევე გმირულად იბრძვიან  
მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაწარმოო-საფი-  
ნანსო გეგმის შესრულებისათვის. დღითიდღე იზრდება  
ჩვენში სოცეჯიბრება და დამკვრელობა. ქარხანა-ქარხა-  
ნას ეჯიბრება, საწარმო-საწარმოოს, ცეხი-ცეხს, ერთი მუ-  
შა შეორეს და ყოველდღიურად ზრდიან სოცეჯიბრებას  
და დამკვრელობას. პარტიულები და კომკავშირელები  
სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე მოწინავე დამკვ-  
რელები არიან. ისინი მაგალითს აძლევენ უპარტიო ამხა-  
ნაგებს, მაგრამ ესენი ჯერ კიდევ არ არიან სავსებია  
ახალი ადამიანები; მათში ჯერ კიდევ სულდგმულობს ძვე-  
ლი ტრადიციული ყოფის ნარჩენები. საერთოდ, როდესაც  
საუმარი ჩამოვარდება ხოლმე ჩვენს დღევანდელ ყოფაზე;  
ყოველთვის წამოიჭრება საკითხი ახალი ადამიანის შესა-  
ხებ; მე ვფიქრობ, რომ საკითხის დაყენება უთუთ სწო-

რია, მაგრამ მას სწორი ლენინური გადაჭრა ჯერ არ ღირ-  
სებია. რამდენჯერ გაგიგონიათ თქვენ, ამხანაგო მკითხვე-  
ლო, ახალი ადამიანი, მაგრამ იქვე გაგიგონიათ ახსნა  
ოდესმე—თუ არის ან ვინ არის კონკრეტულად ახალი ადა-  
მიანი? მე ვფიქრობ არა! მე გადაჭრით და ხაზგასმით მინ-  
და აღვნიშნო, რომ დღეს ყოველგვარ დასრულებულ რა-  
ლაც ახალ ადამიანზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ასეთი  
ადამიანი დღეს ჩვენ არა გვყავს და არც შეიძლება იყოს.  
საერთოდ, ადამიანის ცნება უალრესად კლასიურია. ჩვენ-  
ში არც ცოცხალი ადამიანი არსებობს და არც მისი სა-  
ჭიროების აუცილებობას ვიზიარებთ. ჩვენ უალრესად გამ-  
ძაფრებულ კლასობრივ ბრძოლის სტადიაში ვცხოვრობთ,  
ამიტომ ცნება ცოცხალი ადამიანისა იცლება პროლეტა-  
რულ კლასიურ იდეებისაგან, რადგან დღეს, როგორც  
სრულიად სამართლიანად ამბობენ, ცოცხალი შეიძლება  
იყოს კულაკი, მენშევიკი, კომუნისტი და სხვა. ცოცხალი  
ადამიანის ლოზუნგი ვერ ამოსწურავს თანამედროვე ადა-  
მიანის მისწრაფებას და შეოფლმხედველობას. აშკარად ცდე-  
ბოდა რასი კრიტიკისი ამხ. ერმილოვი, როცა დაუინე-  
ბით ეხებოდა შხატვრულ ნაწერებში ცოცხალ ადამიანებს  
და კლასიურად უცხო იდეოლოგიის შატარებელი ტიპები  
ცოცხალ ნიმუშებად ევლინებოდა. ამხანავ ერმილოვს და  
სხვებს ავიწყდებათ ის ფაქტი, რომ მომაკვდავი კლასისა  
და ამომავალი კლასის ტიპები და ადამიანები ერთსა და იგი-  
ვე იდეებს არ ატარებს. ერთი ეძებს არსებობის საშუა-  
ლებას, ეძებს ხერელებს თავის გადასარჩენად,—მეორე კი  
თავის კლასთან ერთად ბრძოლით მოდის საზოგადოებრივ  
ასპარეზზე და ბრძოლითვე იკაფავს გზას.

ცოცხალი ადამიანის ლოზუნგი, დროთა სვლაში, თვით  
ამხ. ერმილოვმა მოხსნა დღის წესრიგიდან, ერმილოვი

კოცხალ ადამიანთან ერთად მოითხოვდა ჰარმონიულ ადა-  
მიანის არსებობას. თუ ისტორიული პერსპექტივით და  
ლენინური საფვალეებით გავხედავთ სინამდვილეს, ადვი-  
ლად დავინახავთ, რომ საზოგადოებაში არ შეიძლება არ-  
სებობდეს ჰარმონიული ადამიანები; რადგან ჩვენი საზო-  
გადოება კლასიური ფენებითაა დასერილი და ყოველი  
ადამიანიც კლასიურია. ამხანაგების მნიშვნელოვანმა ნაწილ-  
მა ერთმანეთში ვერ გაარჩია კოცხალი ადამიანის და ახა-  
ლი ადამიანის ცნება. მათ შორის კი დიდი განსხვავებაა.  
ერთი შეცვალს პროლეტარულ კლასობრივ ტენდენციები-  
საგან დაცლილ ადამიანს, ხოლო მეორე კი უაღრესად კლა-  
სიურ ადამიანს. პირველში ჩვენი კლასიური ინტერესები  
გათანაბრებულია უცხო კლასის ინტერესებთან, მეორეში  
კი ჩვენი ინტერესების სხვაობაა მოცემული უცხო კლასის  
იდეოლოგიისაგან. ყოველივე ზემოთქმულიდან ასეთი დასკ-  
ვნა გამომდინარეობს: — როცა ისმება საკითხი ახალი ადამი-  
ანის, გმირის, და მოწინავე ადამიანების შესახებ, ეს შეეხება  
აღმომავალ კლასს და არა მომაკვდავ კლასს, რადგან მომა-  
კვდავ კლასს. არ შეუძლია დღევანდელ პირობებში ახალი,  
მოწინავე ადამიანისა და გმირის შექმნა, ამ რაშდენიმე  
თვის წინ ჩვენი პრესის ფურცლებზე ერთ-ერთ ამხანაგს გედა-  
ვებოდი იმაში, რომ მომაკვდავი კლასი ლიტერატურასთნ  
ერთად, გმირს ვერ შემქნისმეთქი. აჩქარებულმა ამხანაგთა ეს  
დებულება კლასობრივი ბრძოლისა და დანახვად და ოპორ-  
ტუნიზმად მიიჩნია! მე ვფიქრობ, რომ ეს ამხანაგები მაშინ  
უჭირებელად ცდებოდენ. თუ დღეს ნეპის უკანასკნელ პერი-  
ოდში ვცხოვრობთ, თუ ჩვენ დღეს ვიბრძვით არა კაპიტა-  
ლისტური კლასის წინააღმდეგ, არაშედ მისი ფესვების  
გაჩანაგებისათვის, განადგურებისათვის, ამ შემთხვევაში  
გმირის საკითხი ხომ მოგონილია! მე ვამბობ, რომ მომა-

კვდავ კლასს არც ერთ ეპოქაში არ შეუქმნია თავისი გმირი. ვის შეუძლია სთქვას, ანდა დაამტკიცოს, რომ ჩვენში დალუ-პვის და დეგენერაციის დროს, კაპიტალიზმის მეშოჭრის წინ ფეოდალიზმა შექმნა თავისი მებრძოლი გმირები? ვინც ნაწილობრივ მაინც იცნობს ჩვენს სინამდვილეს, ამაში ეჭვი არ შეეპარება. ჩვენ არ ვდაობთ იმის შესახებ, რომ ჩვენში კლასობრივი ბრძოლა ძლიერდება, ჩვენ არც იმას ვდაობთ, რომ რეკონსტრუქციის პერიოდი კლასობრი-ვი ბრძოლის გამძაფრებას გულისხმობს და დასასრულ არც იმას ვდაობთ რომ ეს უცხო კლასის ნარჩენები სამკვდრო-სასიცოცლო ომს გვიცხადებენ, არ გვნებდებიან და ცდი-ლობენ ხელი შეგვიშალონ ფეხის ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი საღლაც ახალ დასრულე-ბულ გმირებით გვებრძვიან. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ყოველივე იმას, რაც ახასიათებს მომაკვდავ კლასს, მაშინ ყოველ ჩვენთაგანისათვის ნათელი იქნება ის ფაქტი, რომ მომაკვდავი კლასის მიერ გმირის შექმნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სოციალისტური სექტორის შეტევა კაპიტალის-ტურის მიმართ მძლავრი და გამანადგურებელია, რადგან ჩვენი შეტევის, ბოლშევიკური შეტევის დედააზრი. მდგო-მარეობს იმაში, რომ „ჩვენი პარტიის ლოზუნგი ბოლშე-ვიკური შეტევა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, ეს იმას ნიშნავს, რომ შეუტიო კლასობრივ მტერს ყველა ფრონტზე და დარტყმას გამანადგურებელი დარტყმით უნდა უპასუხო... ეს იმას ნიშნავს, რომ ამოყარო ობივატელები ყველა იმ კუნძულებიზან, რომლებიც ჩვენი მაღალი და გაშლილი ტემპების გამო ბნელ კუნძულებში და სორობში არიან შემალული“ (სტალინი).

ამის შემდეგ არავისათვის საღავო არ უნდა იყოს ის მომენტი, რომ მომაკვდავი კლასი ეძებს თავშესაფარს,

ლროებით შესვენებას ახალ ენერგიის მოსაკრეფად, ჩვენს წინააღმდეგ შემოსატევად, მას უნდა გადაურჩეს გამანაღ-გურებელ პოლიშევიკურ შეტევას და შეინარჩუნოს სიცოც-ხლე კიდევ რამოდენიმე ხანს. განა ამ გამძაფრებულ კლა-სობრივ ჭიდილში იჭორიის მიერ განწირულ კლასს ექნე-ბა პირობები და საშუალება თავისი გმირის შესაქმნელად? ცხადია, არა! თუ მომაჯვდავ კლასს და მის ლიტერატუ-რას ჩვენს სინამდვილეში შეუძლია შექმნას თავისი გმირი, მაშინ უნდა დაუშვათ ისიც; რომ ჩვენში კაპიტალისტური, ბურჟუაზიული სექტორი იზრდება.

საკითხის ასე დაყენება, ჩემის აზრით, მხოლოდ ნეპის პირველ წლებში შეიძლებოდა, არა რეკონსტრუქციის პერიოდში ნეპის უკანასკნელ პერიოდში. ცხადია, საკითხი ძირითადში არც მაშინ იქნებოდა სწორი, რადგან ნეპი თა-ვისებური პოლიტიკა იყო პროლეტარიატის დიჭიტატურისა.

საკ. ქ. ქ. ცეკას მე-IX ყრილობაზე საკ. ქ. ქ. ცე-კას გენერალური მდივანი ამხ. კოსარევი თავის საანგარი-შო მოხსენებაში ამბობდა:

„როდესაც ისტორია კლასს განწირავს ეს სრუ-ლიად არ ნიშნავს, რომ კლასი ბრძოლის ასპარეზს თავის ნებით, თავის დაკვრით დასტოვებს და უმო-რჩილესად გთხოვთ, ჩვენ ისტორიამ გაგვწირა, ჩვენ ვტოვებთ მის მოედანს, მობრძანდით და დაიკავეთ ჩვენი ადგილი. კლასთა ბრძოლის ისტორიაში ასეთ შემთხვევას არ ქონია ადგილი და არც ექნება: გან-წირული კლასები სიცოცხლეს ებლაუჭებიან, ისინი სიკვდილაშე იკბინებიან, ისინი სიცოცხლის უფ-ლებისათვის იბრძვიან, გინდოდა თუ არა ბრძოლა, სურვილი გაქვს თუ არა ბრძოლა მაინც მოგიხდება..

საზოგადოებრივი ფორმათა განვითარების ისტორიამ საკითხი ამრიგად დასვა, ან ჩვენიმათ, ან ჩვენისინი. წარსულში — ისინი ჩვენ გვირტყამდენ, დღეს კი — ჩვენ ურტყამთ მათ. ვფიქრობთ, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც ჩვენ საბოლოოდ დავასაშარებთ მტრულად განწყობილ კლასებს ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ, პროლეტარიატის ორგანიზაციაშვილი, რომ პარაზიტულ კლასის, ჩვენი მტრების, ექსპლოატატორულ კლასის განადგურება აუცილებელია. ჩვენ ვიცით, რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ კლასთა ბრძოლის პროცესში, მხოლოდ სოციალისტურ შეტევის პროცესში. მაგრამ არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ კლასობრივ ბრძოლის განსაკუთრებულ ხასიათს. ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებულ როლსა და კლასების მდგომარეობას ხერხებულ ბრძოლაში. უნდა გვახსობდეს, რომ ჩვენ ვუტევთ და ისინი კი თავს იცავენ. ჩვენ მათ ლიკვიდაციას ვახდენთ და არა ისინი ჩვენსას. ჩვენ იმათ ვდევნით პოზიციებიდან, ისინი კი თავს იცავენ“.

აქედან დასკვნა: მომაკვდავი კლასის მიერ გმირის შექმნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. დღეს მომაკვდავი კლასი გმირს კი არ ქმნის, არამედ იძლევა მებრძოლ ტიპებს, რომელიც მის კლასობრივ ტენდენციებს ატარებს, იგი ჩვენ უკანასკნელი ძალის მოქრებით გვებრძვის. აქ საჭიროა, ძირითადი სხვაობის ნიშნის მონახვა გმირსა და ტიპს შორის. გმირს ჩვენში ტიპში ურევენ და მათი აზრით ამ რამდენიმე დღის წინ გასამართლებული რამზინი, ლარიჩევი, და სხვები გმირებია. ეს შეცდომაა; ისინი გმირები კი არ არიან, არამედ ტიპები.

მე ვფიქრობ, რომ უწინარესად უნდა გაირკვეს ჩვენში გმირის და ტიპის ცნება და ამის შემდეგ საკითხი გადაწყვეტილი იქნება. რაც შეეხება ახალ ადამიანის ცნებას ამ საკითხის შესახებაც ჩვენში დიდი დაბნეულობაა. ამ ხანაგებს ახალი ადამიანის ცნება ძალზე აბნეულად ესმით, მათი აზრით, ჩვენში არა თუ შეიძლება შეიქმნას ახალი ადამიანი, არამედ რამდენიც გინდათ იმდენი გვყოლია. საკითხის ამაზე მეტად ყალბი აგება არ შეიძლება არსებობდეს. მათი აზრით ყველას შეუძლია მონახოს ჩვენში ახალი ადამიანები: ესენი არიან ახალი საზოგადოების აქტიური მშენებელი, კომუნისტები, კომკავშირლები, პიონერები, დაზგის საუკეთესო საზოგადო მოღვაწე მუშები და სხვა. მაგრამ თუ დღის წესრიგში ჯერ კიდევ დგას ახალი ადამიანისათვის ბრძოლის პრობლემა, ესმხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივობა, მთლიანად არ არის გარდაქმნილი. პროლეტარიატის დი ქტატურა ზასიათდება კლასთა ბრძოლით და იდეოლოგიური წინააღმდეგობებით. <sup>1)</sup> ამ ამხანაგის აზრით, ყოველი დაზგის საზოგადო მოღვაწე-მუშა, ყოველი პარტიული, ყოველი კომკავშირელი და პიონერი ახალი ადამიანი ყოფილა. კარგია, კარგი ოპტიმიზმი, კაზიონური თვითქმაყოფილება, ინტელიგენტური ოპტიმიზმი, არაფრად არ ვარგა! ამ ამხანაგს საერთოდ ყალბად ესმის თვით ცნება ახალი ადამიანის და მისი მცდარი ინტერპრედაცია სწორედ აქედან გამომდინარეობს.

უმავე ამხანაგის აზრით, იმავე უურნალში, ახალი ადამიანი გარდამავალ პერიოდში მხოლოდ მარტო „ახალი იდეების გამტარებელი, წმინდა კლასობრივი შეგნებით აღჭურვილი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტური საზოგადოების პრაქტიკული მშენებელი, მუშანურ-წვრილ ბურ-

<sup>1)</sup> იხ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი“ № 1-2, 1930 წ. გვ. 98.

უუაზიული ყოველგვარ ყოფილი ტრადიციებისაგან განთავისუფლებული, მომავალზე ოპტიმისტურად განწყობილი (sic! კ. მ.). ადამიანია და სხვა. ასე უნდა გვესმოდეს გარდამავალი პერიოდის ახალი ადამიანის „ცნება“. ამ ამხანაგს აქვე ავიწყდება ერთი „პატარა“ რამ, მერე და, ახალგაზრდა ენტუზიასტო, გვყავს ჩვენ ასეთი ადამიანები, რომლებსაც თქვენ ახალი ადამიანების რეცეპტები გამოუწერეთ? ცხადია, არა. გვესმის ჩვენ ახალი ადამიანი, ანდა არსებობს თუ არა ასეთი? ახალი ადამიანის „ცნებაში“ ჩვენ ვგულისხმობთ უაღრესად კლასობრივ შინაარსს; მასში ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანს, რომელიც სოციალი ტური მუნებლობის მოწინავე რიგებში დგას და<sup>1)</sup> იბრძვის ხუთწლედის ოთხ წელში შესრულებისათვის; ახალ ადამიანის „ცნებაში“ ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ ადამიანს, რომელმაც საბოლოოდ გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი წარსულ ტრადიციულ ყოფა-ცხოვრებასთან, რომელმაც უარყო ინდივიდუალიზმის ყოველგვარი ფორმები, რომელსაც თავისი პირადი ყოფა-ცხოვრება მოწყობილი აქვს ნამდვილ კომუნისტურად — ამ სიტყვის ლენინური შინაარსით, რომელიც განთავისუფლებულია ბურუუაზიულ ოჯახის ყოველგვარ ტრადიციებისაგან, საღაც უარყოფილია ოჯახური ძალმომრეობის ყოველგვარი ფორმები. დავსვათ კითხვა: გვყავს თუ არა ჩვენ ასეთი ადამიანი? სინამდვილით გამართლებული დასკვნა იქნება თუ ვიტყვით, რომ ასეთი ადამიანი ჯერ ჩვენ არა გვყავს და არც შეიძლება გვყავდეს! რატომ? — იკითხავს ყოველი გაკვირვებული მკითხველი? ჩვენ ხომ სოციალიზმის პერიოდში ვცხოვრობთ, ვახდენთ ქვეყნის რეკონსტრუქციას, სოფლის მეურნეობა კოლექტივიზაციის საფუძველზე გადაგვყავს! მცრთალია, გეთანხმებით. აქ ჩვენს შორის

<sup>1)</sup> იხ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი“ № 1-2, 1930 წ. გვ. 98.

ერთი შეხედვით, წინააღმდეგობა არ არსებობს, მაგარმ საკითხს თუ მარქსისტულ დიალექტიკის თვალსაზრისით შევხედავთ, მაშინ თქვენთვის, ამხანაგო მკითხველო, სა-დავო არ იქნება ჩემ-მიერ აღნიშნული. ნუთუ ჩვენი ყოველი პარტიული და კომკავშირელი ახალი ადამიანია? ნუთუ ჩვენს ოჯახში ყველაფერი კომუნისტურად გვაქვს მოწყო-ბილი? არა. შეიძლება ჩვენი პარტიული ამხანაგი აუტიუ-რი და თავდადებული საზოგადოებრივი მუშაკი იყოს, მაგრამ მას ოჯახი არ ქონდეს მოწყობილი კომუნისტუ-რად. მერე ისეთი განა ცოტაა?! ამისათვის საჭიროა წავიკითხოთ ამხ. პ. ჩხიკვაძის „სართულები“; აქ თქვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება; გრიგოლ გიგაური აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეა, სამშენის დირექ-ტორი, მაგრამ ოჯახში იგი ნამდვილი კონსერვატორია, არაა იქ ბოლშევიკი, მისი ოჯახი მეშჩანურ-ობივატელუ-რია. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ კარგ საზოგადო მოღვაწე-ობასთან ერთად ადამიანი ოჯახშიც უნდა იყოს კარგი კომუნისტი. განა ცოტაა ისეთი კომკავშირლები, რომლე-ბიც ლოთობენ, ხულიგნობენ და პარტბილეთი შემთხვე-ვით უდევთ ჯიბეში?

მოიგონეთ რუსი პროლეტარული მწერლის გორ-ბატოვის მოთხრობა— „უჯრედი“-დან კომკავშირელი პეტრე ბონდარენკო, და თქვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება. პეტრე ბონდარენკო ძველი კომკავშირელია, სამოქალაქო ომში აქტიური მონაწელე, მაგრამ დღეს ლოთი და ხულიგანი. ხელობად გადაექცა ლვინის სმა, ჩხუბისა და დებოშის მოხდენა ქუჩაში და ბალში; ქალე-ბის მოტყვილება, უჯრედის კრებებზე არევდარევის შე-

ტანა ადა სხვა. პეტრე ბონდარენკოს მიზეზით, ახალგაზ-  
რდა ქალმა თავი მოიკლა. პეტრე ბონდარენკო გარიცხეს  
ორგანიზაციიდან. „ახალგაზრდა ბოლშევიკი“ -დან „მოჭიკ-  
ჭიკე“ ამხანაგს რომ დავუჯეროთ, ბონდარენკო ახალი ადა-  
მიანი იქნება, რადგან იგი კომკავშირელია. მართალია,  
ჩვენს უჯრედში უმრავლესობას პეტრე ბონდარენკოები  
არ შეადგენს, მაგრამ მაინც ყველა კომკავშირელის ახალ  
ადამიანად გამოცხადება ძირათადში შემცდარია. კიდევ  
ვიმეორებთ: ახალი ადამიანი მხოლოდ ის არის, ვინც სავ-  
სებით ნამდვილი კომუნისტია პირად ცხოვრებშიც. ჩვენ  
ვამტკიცებთ, რომ ჩვენში ახალი ადამიანის შექმნა დღეს  
შეუძლებელია, ვიდრე არ მოხდება ქვეყნის რეკონსტრუქ-  
ციასთან ერთად, ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქცია,

ამას გარდა „ახალგაზრდა ბოლშევიკში“ იმასაც ამტკი-  
ცებდენ, რომ დაზგასთან მდგარი ყოველი მუშა ახალი  
ადამიანია. ესეც ძირშივე მცდარი დებულებაა. მართალია,  
ჩვენი მუშები დამკერელებია, მაგრამ განა ცოტაა მათში  
ცრუ დამკრელი, რომელიც სამარცხვინოდ ხდის დამკვრე-  
ლობის სახელს? ჩვენ მაინც ვამბობთ, რომ ყოველი დამ-  
კვრელი მუშა არაა ახალი ადამიანი. ვის შეუძლია დაამ-  
ტკიცოს, რომ პოგოლინის პიესის „ფოლადის პოემა“-ს  
მომქმედი ტიპი-გამომგონებელი მუშა სტეპაშვა ახალი  
ადამიანია? სტეპაშვა ახალი ადამიანი არაა! მართალია,  
სტეპაშვა-გამომგონებელია, მაგრამ იგი ამავე დროს ლო-  
თია, მას თავისი ოჯახი ანარქიულად აქვს მოწყობილი.  
იგი ლვინის და არაყის გარეშე ვერაუერს აკეთებს. ამხა-  
ნაგებმა კი უნდა იცოდენ, რომ ახალი ადამიანი არც  
ლოთია და არც ბოჭემის ენტუზიასტი. ახალი ადამიანები  
ყოველივე ასეთ ტენდენციებისაგან თავისუფალი არიან.  
თუ ახალი აზამიანის ლრდერებს ასე იაფად დავარიგებთ,

მაშინ ჩვენში გლეხი, რომელიც კოლექტივში შევიდა, რომ-ელმაც კომუნაში შეიტანა თავისი წილი, ახალი ადამიანი ყოფილა. ჩემის აზრით, საკითხი ასე უბრალოდ არ უნდა ისმებოდეს. კოლმეურნე გლეხები არაა ახალი ადა-მიანები, რადგან კოლექტივში შესულ გლეხს ჯერ კიდევ არა აქვს სავსებით მოცილებული და უარყოფილი კერძო მესაკუთრის განწყობილებები. ჩვენ ვიცით, რომ „კოლექ-ტივის შიგნით კლასობრივი ბრძოლა გრძელდება“ (სტა-ლინი); ჩვენ კიდევ დიდი ბრძოლები დაგვჭირდება რათა გლეხში ჩავკლათ საუკუნოების მანძილზე გამომუშავებული და ღრმად ჩამჯდარი კერძო-მესაკუთრეობის განწყობი-ლებები. ამ მხრივ აუცილებლად მნიშვნელოვანია პროლე-ტარულ მწერლის, ამხ. კ. ლორთქიფანიძის ნარკვევი „ახალი გლეხები“-დან ერთ-ერთი თავი. „ინსტიქტების ჯანყი“, სადაც ჩვენს მიერ ზემო-მოყვანილ მოსაზრების ანალოგიური მოვლენა კონკრეტ ფაქტითაა დადასტურე-ბული. შირაქის ერთ-ერთ კომუნაში შევიდა თავისი ძრო-ხებით გლეხი ქალი მარიამი.

„რამდენი ფერდებ-დამრგვალებული და კარგი მე-წველი ძროხა მოიყვანა მარიამმა შირაქის ერთ-ერთ კომუნაში; როცა მარიამმა კომუნაში შემოსვლის სურვილი განაცხადა, კომუნარებმა გააცვნეს კომუნის წესებს.

მარიამი ახალგაზდა ძალონით სავსე ქალია. შრო-მა და გარჯა მისთვის ისეთივე მოთხოვნილებათაგანია, როგორც საზრდო და ძილი. მას იზიდავს საერთო ცხოვრე-ბის ფერხული. ვისთან რა ექნება სადაო და საკინკლაო! მარიამი ყველასთან შეხმატებილებულად იცხოვრებს კო-მუნაში.

მისი ღონიერი მხრები ბერკეტებივით შეუღებიან საერთო გაჭირვებას.

საერთო მხიარულების დროს კი, მისი თვალებიც გაიცინებენ და მისი ფეხებიც ათამაშდებიან.

დავალების შესრულება!?

მასიამი იცინის.

განა თვითონ არ იცის რომ კომუნაში არ ედგომება ზარმაც წევრს!? ეგ რა საკითხავია!

ყოველი, ყოველი მუხლი წესდებისა მისალებია მარიამისათვის; არამც თუ მისაღებია, კიდევ მეტი: წესდებაში ისეთი რამეებიც სწერია, რომელიც მთლიანად გაშლის და გამოაჩენს მარიამის აღამიანობას; კერძო ცხოვრების დროს რამდენი მდიდარი და ჭკვიანი აზრი გაჩენილა მის ფართო შუბლში, მაგრამ ყველანი შიგნითვე ჩამკვდარა და ჩაქოლვილა, როგორც წიწილები, რომელთაც გარედან არ მიეშველებიან ნაჭუჭის გატეხაში. ვინ დააძურევინებდა ენას, მარიამი ქალი იყო. შაშასაღამე, მოიხმარდენ და გამოიყენებდენ მისი სხეულის ყოველ ნაწილს, გარდა იმ აღგილისა, საღაც იბადება აზრი.

აქ, კი კომუნაში, ოლონდაც გვითხარი, გვირჩიე, გაგვითანასწორდი! შენი ყოველი სიტყვა და საჭმე აღიბეჭდება როგორც დაღი, როგორც ჩაწიმარზე კვალი.

— ჩემისთანასთვის ყოფილა გაჩენილი კომუნა!

ფიქრობდა მარიამი და მიღენიდა თავლისაკენ ძროხებს. მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ წამით შეკრთა და შეეჭვდა ქალი. ეს მაშინ, როცა გაიგო რომ დღეიდან მისი ფერდებლამრგვალებული ძროხები, მარტო მის საკუთრების არ შეადგენს.

ქალი მიხვდა, რომ მას ქონებაში შეეზიარება ვიღაც სხვა; თითონ კი ვერ იგრძნო სხვათა ქონებაში საკუთარი თავი და წილი. გლეხი ქალის მკერდში შეირხა მიძინებული პატარა მხეცი, რომელსაც კერძო საკუთრების ინსტი-

ქტი ეწოდება. მხეცმა წამოყო თავი და აგრძნობინა მარიამს: კომუნა მას გაუტკბილებს სიცოცხლეს, ვინც ამ მხეცს მკერდშივე ჩაკლავს და გადაისროლის; მტკიცელ იჯდა მხეცი ბუნაგში. ყოველი მისი გაღვიძება სიტკბოსა და სიამაყეს გვრიდა მარიამს; მაშ, დარჩეს, რა უშავს!؟ ის რომ განდევნოს, რითი შეავსოს მისი ადგილი, ძნელია დაცარიელებულ გულის ტარება; ვიდრე იპოვიდეს შემ-ცვლელ გრძნობას, დარჩეს შესაცვლელი.

მარიამი შევიდა კომუნაში.

ლელავს, შრიალებს მაღალი, რძიანი და შეუყე-ხორცი-ანი ბალახი შირაჭზე.

დაზიან მინდვრებზე კომუნის ძროხები, ივსებენ ფერ-დებს, სუქდებიან და იმატებენ წველას. საღამოთი მოლა-ლავენ ძროხებს ბიჭები; მკლავებ დაკაპიტებული ქალები შეუდგამენ ქოთნებს გატენილ ცურებს; არაკრაკდება გა-კრიალებულ ქოთნების ძროზე სქელი და ნოყიერი რძე. ძროხების საწველად სამი ქალი გამოყო კომუნამ.

მათ რიცხვშია მარიამი.

რათ ბუზლუნებენ ეს ქალები როცა მარიამი ჰირველად თავის მოყვანილ ძროხებს შიგარდება მოსაწველათ? განა დანაშაულია რომ მარიამს ძალიან უყვარს თავისი ძროხე-ბი? ქალებისთვის ხომ სულერთია, საქმეში ხომ არ ჩამო-რჩება მათ! მაშ ნუ წაართმევენ ამ პატარა სიხარულს და მისი ძროხების მოწველა მასვე დაუთმონ.

მარიამის ჩვეულებით ქალები თითქო შეურაცყოფილად გრძნობენ თავს; მათთვის გაუგებარია მარიამის საქციელი. მეწერელი საქონელი საერთოა, ყოველი ქალი ვალდებულია თითეულ ძროხას ურთნაირად მიხედოს და უპატრონოს. ქეთევანმაც შოიუვანი კომუნაში ძროხა, მაგრამ მას თავის საქონვლზე მეტად მარიამის თეთრ-შუბლა უყვარს.

რატომ?

თეთრშუბლა მეტს იწველის, მეტად ასარგებლებს კო-  
მუნას.

მარიამს კი გონია, რომ მხოლოდ და მხოლოდ მას უცქერიან მისი ძროხები ასეთი მშვიდი, სიყვარულით და სასოებით დაწყლიანებულ თვალებით; ქეთევანზე შეტი სიყვარული და ზრუნვა უნდა გამოიჩინოს მარიამმა მათ-დამი და მარიამიც, როცა მის თეთრშუბლას ვინმე მიუ-  
ალერსებს, წავა და ათჯერ მეტს აკოცებს და მოეფერება  
მას; ერთ არა-მშვენიერ დღეს კომუნიმ თავის საჭირო-  
ებისათვის გაყიდა რამდენიმე ძროხა.

რა არის მოულოდნელი და გასაოცარი?!

არაფერი.

მარიამისათვის კი...

— განგების გამიყიდეთ ჩემი ძროხები; ქეთევანას, ქეო-  
ვანას ეხარბებოდა და იმან შეგაცდინათ; რალას ჩემე-  
ბი გაიმეტეთ, შემომიტყუეთ კომუნაში და დამაქციეთ,  
თვალის ჩინი დამიბნელეთ... ჩემი თეთრშუბლა... ჩემ მა-  
ცოცხლებელი... ჩემი...

ყვიროდა ქალი, ცეცხლმოკიდეს ულავით ეწოდა სახე.

— ქალო, რას ქვია შენი! გადარეულხარ? კომუნაში  
ვინ გაიგონა შენ-ჩემობა; ძროხები გინდა? გახვდე რამ-  
დენი გყავს კიდევ, შენი იყოს!

ამშვიდებდენ კომუნარები; უმტკიცებდენ, რომ არავის  
არ განუზრახავს მისი დაქცევა; გაყიდეს; მერე რა! მარი-  
ამს შოაკლდება სასმელ-საჭმელი, ჩაცმა-დახურვა? რასა-  
კვირველია, არა. განა რძე, რომელსაც მარიამი სვამს,  
გხნა კაბა, რომელიც მარიამს უყიდეს, საერთო დოკუმენტი,  
რომელშიაც მარიამსაც უდევს წილი, მარტოლდენ მისი  
ძროხების შემოტანილია?!

წამით დაშვიდლება ქალი; წამშივე ამოძრავდება მხე-  
ცი და მაცდურათ ამოძახებს: — არ დაშვიდლე, არ მო-  
სვენო...

საგონებელში ჩავარდა; გახდა, ღასუსტდა. ღაულაჟა  
ლოყებზე გადაკრა სიყვითლემ.

პატარა მხეცი აკეთებდა თავის საქმეს.

— ქალო, აგე ძროხები. მოწველილე, მოუარდე, ესენიც  
შენია!

ქალი ქვითინებდა პასუხის შაგიერ.

— არ მინდა; ჩემ თეთრშუბლას ცურს რომ თითები ვერ  
შევავლო, მოვკვდები, დავიწვებიო.

— ლოგინათ ჩაგდო ჯავრმა, დააწვინა; ისე შეგვაწუხა  
ყველა. კინალამ დავიბრუნეთ ძროხები.

მითხრა კომუნარმა და ლიმილით გადახედა იქვე მდგომ  
მარიამს<sup>1)</sup>.

ასეთი—განწყობილება შემთხვევითი არაა. მარიამი არც  
მოგონილი ტიპია. განა მარტო ერთი ბარიამი არსებობს? არა,  
მარიამები ბევრია. ძველი ინსტიქტი ისევ აწუხებს  
ჩვენს ამხანაგებს და ეს ინსტიქტი დრო გამოშვებით იჩენს  
და წამოყოფს ხოლმე თავს. ახალი ადამიანი შეუძლებე-  
ლია შეიქმნეს ინდივიდუალისტურ ინსტიქტების ლიკვი-  
დაციის გარეშე. მაშასადამე, ის, ვინც ფიქრობს, რომ ყო-  
ველი კოლმეურნე, დამკურელი მუშა დ ყოველი პარტიუ-  
ლი, კომუნიკაციელი არის ახალი ადამიანი, დიდად შემც-  
დარია.

ახლა უკვე არავისათვის სადავო არ არის, რომ ჩვენ-  
ში, როგორც ქალაქის მრეწველობაში, ისე, სოფლის მე-  
ურნეობის დარგში, ხდება გარდატეხა. კაპიტალისტურ  
ექტორზე სოციალისტური სექტორის აბსოლუტური.

<sup>1)</sup> კ. ლორთქიფანიძე „ამ ლი გლეხები“, 52—59 გვერდი.

და საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია. ქველ ეკო-  
ნომიურ ყოფას საფუძველი ეცლება. საწარმოო ძალთა  
განვითარება სოციალისტური ვზით მიღის. იქმნება სოცია-  
ლისტური ეკონომიკა, სოციალისტური ბაზისი. სოცია-  
ლისტურმა ბაზისმა უნდა შექმნას სოციალისტური ზედ-  
ნაშენი. რაღვან გარდატეხა ეკონომიკის სფეროში მოხდა,  
აქედან გარდატეხა ზედნაშენშიც უნდა მომხდარიყო,—  
იტყვის ამხანაგი მკითხველი! ერთი შეხედვით ეს მართა-  
ლია, ამხანაგო მკითხველო, მაგრამ მარქსისტულ-ლე-  
ნინურ დიალექტიკის თვალსაზრისით, საკითხის ამგვარად-  
დაყენება არ იქნება სავსებით სწორი, რაღვან ეკონომი-  
კის სფეროში მომხდარი გარდატეხა არ იწვევს უშუალო  
გარდატეხას და ცვლილებას ზედნაშენში. ჩენი ზედნა-  
შენში მოხდა გარდატეხა, მაგრამ ეკონომოკასთან შეუარ-  
დებით იგი არაა გათანასწორებული მასთან, რაღვან გარ-  
დატეხა იდეოლოგიაში ყველაზე გვიან ხდება. აქედან,  
ეკონომიკის სფეროში მომხდარი გარდატეხა უშუალო  
ზეგავლენას არ ახდენს ზედნაშენზე, რაღვან არსებობს  
მთელი რიგი საფეხურებისა, რომ ეს გარდატეხა განვი-  
თარდეს დიალექტიურად და მიაღწიოს იდეოლოგიის  
სფეროს. სწორედ ეს გარემოება ქონდა მხედველობაში  
ენგელს, როდესაც ამბობდა: „ჩვენ ვაღიარებთ, რომ სა-  
ბოლოო ანგარიშთ ეკონომიური ურთიერთობა საზ-  
ღვრავს საზოგაოოებრივ განვითარებას... ეკონომიური  
ურთიერთობა საბოლოო ანგარიშით მაინც გადამწყვეტ  
როლს თამაშობს, რაც უნდა ძლიერ ახდენდა თავის გავ-  
ლენას სხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური პირობები:  
ეკონომიური ურთიერთობა წარმოადგენს მუდამ გაუწყვე-  
ტელ ძაფს, რომლსაც მივყევართ მოვლენის ნამდვილ  
გაგებამდე“.

აღმოჩდა ხალხი, რომელიც მარქსიზმის ამ სწორ და უტყუარ დებულებას უკეთებს რევიზიას და თავისებურად იგებს მას. აქ ენგელსა გარკვევით ლაპარაკობს, რომ ეკონომიკა ერთადერთ განსაზღვრულ ფაქტორად არ მიგვაჩინია, არამედ ზედნაშენის საბოლოო განსაზღვრაც, რომელსაც იგი დიალექტიური განვითარების პროცესების საშუალებით მიაღწევს. ცნობილი მექანისტი, მენშევიკურ იდეების მატარებელი პროფ. ვ. პერევერზევი ფიქრობს, რომ ბაზისი, საწარმოო ძალთა განვითარება უშუალოდ ახდენს ზეგავლენას ზედნაშენზე. მან მხედველობიდან გამოუშვა განვითარების დიალექტიური პროცესები. აი, რას წერდა იგი: „ლიტერატურა, — ამბობს პერევერზევი, — წარმოადგენს ისეთსავე ზუსტ ზედნაშენს ეკონომიკაზე, საწარმოო პროცესზე, როგორც ჟველა სხვა ზედნაშებზე“.

აქ, როგორც ვხედავთ, პერევერზევს ზედნაშენი უშუალოდ ყოველგვარ დიალექტიურ განვითარების გარეშე მიაჩინია ეკონომიკიდან გამომდინარედ, რაც ძირშივე შემცდარია. მარქსიზმი ბაზისისა და ზედნაშენის ასეთ ურთიერთობას ერთი წუთითაც ვერ დაუშვებს, რადგან მას ნამდვილ ჭრიშმარიტ მარქსიზმთან არავითარი საერთო არ დარჩენია.

თუ ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ შევთანხმდებით იმაში, რომ სოციალ-ეკონომიკურ ფორმაციაში მომხდარი გარდატეხა ჯერ კიდევ არ დასრულებულა ზედნაშენში, არამედ იგი ამჟამად მიმდინარერბისა და განვითარების პროცესშია, მაშინ არავისათვის სადაც არ უნდა იყოს ის ფაქტიურ რომ ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა, რომელიც მიმართულია ძველი ქვეყნის რაღიკალურად გარდაქმნისაკენ, თავისებური ცვლილებები უნდა გამოიწ-

ვიოს ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში, რადგან ყოფა-ცხოვ-  
რებაც ისეთივე სახის ზედნაშენია, როგორიც სხვა. ადა-  
მიანის ფსიქოლოგიაში დღეს შეიძლება გარდატეხა  
იწყება, ვიწრო ბურუჟაზიულ ინდივიდუალიზმის სალტე-  
ები იმსხვრევა, კოლექტიური ყოფა თავისებურ ზეგავლე-  
ნას ახდენს მასში შემავალ ადამიანებზე. ხდება შეჯახება  
ძველსა და ახალს შორის, ამ ბრძოლაში გამარჯვებული  
უკანასკნელი გამოდის. ახალი ადამიანი ძველთან ბრძოლა-  
ში უნდა დაიბადოს. ეს ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა.  
ახალი ადამიანი ყალიბობის პროცესშია. გარდატეხა ზედ-  
ნაშენში დაწყო.. იგი მთლიანად არ მომხდარა და არც  
დასრულებულა. ძველი ყოფის ტრადიციული ჩვევები ჯერ  
კიდევ მრავლად შეგვხდება იმ ადამიანებში, რომლებსაც  
ზოგჯერ შეცდომით ახალ ადამიანებს ეძახიან (როგორი-  
ცაა ყოველი დამკვრელი მუშა, და სხვა).

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, ყოვლად შეუძ-  
ლებელია მკითხველი ერთგვარ გაუგებრობაში არ ჩავარ-  
დეს და ერთხელ მაინც არ დაუსვას კითხვა თავის თავს.  
კეთილი და პატიოსანი, — ამხანაგო, თქვენ უარყოფთ ცოც-  
ხალ ადამიანს და ახალი ადამიანის არსებობას დღეს —  
მაშ ვინ არიან ის დამკვრელი მუშები, ვინ არიან ბაქოს  
პროლეტარები, რომლებმაც ნავთის გეგმა ორ წელიწად  
ნახევარში შეასრულეს? განა ესენი არ არიან ახალი ადა-  
მიამიანები? არა, ამხანაგო მკითხველო, ისინი ჩამოყალიბე.  
ბული ახალი ადამიანები არ არიან. ისინი მოწინავე ადა-  
მიანები არიან და დღეს მოწინავე ადამიანის გარეშე არც  
შეიძლება არსებობდეს სხვა ადამიანი. მოწინავე ადამია-  
ნი არის გარდამავალი საფეხური ახალ ადამიანისაკენ,  
რადგან მოწინავე ადამიანების ყოფნის დროს უნდა  
მოხდეს ადამიანის ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქცია,

ბაქოს პროლეტარიატი ხუთწლედის გმირები — მოწინავე ადამიანები არიან. იმდენად, რამდენადაც ისინი მოწინავე დამკვრელნი არიან ქარხანაში, იმდენადვე არასახარბიელო მდგომარეობა აქვთ მათ კერძო ყოფა-ცხოვრებაში, ოჯახში.

მოწინავე ადამიანები არიან ელემენტები ახალ ადამიანისა. მათში ღროთა სკოლაში უნდა ჩამოყალიბდეს და შეიქმნეს ნამდვილი, ჯანსაღი ახალი ადამიანები. ზემონათქვამიდან არავინ არ უნდა გამოიტანოს ისეთი დასკვნა, თითქოს ჩვენ უარვყოფდეთ ახალი ადამიანის შექმნის აუცილებლობას. ეს შეცდომა იქნება. თუ ჩვენ ახლა ვიცავთ იმ აზრს, რომ არ არის ახალი ადამიანები, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარვყოფთ ახალი ადამიანის შექმნის მომენტს. პირიქით, ახალი ადამიანი უნდა შეიქმნას.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი თუ ნეპის უკანასკნელი პერიოდია, თუ ჩვენ ამ წელში უნდა შევძლოთ კაპიტალისტური კლასის ფესვების განადგურება, იქმნება მეტად ფართო პირობები ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. ჩვენი დღივანდელი დამკვრელები, გამგონებლები მოწინავე ადამიანები არიან. ახალი ადამიანი კიდევ, ვიმეორებ, შეიძლება შეიმჭნას და დაიბადოს მხოლოდ და მხოლოდ ძველთან ბრძოლაში, სასოფლო-მეურნეობის რეკონსტრუქციის, კულტურულ რევოლუციის მოხდენის და ყოფაცხ-ოვრების რეკონსტრუქციის პერიოდში. ჩვენი ეპოქის ადამიანად დღეს შეიძლება ჩაითვალოს მოწინავე ადამიანები, ხუთწლედის გმირები. სასოფლო ეკონომიკის დარგში მომხდარი ცვლილება არ ნიშნავს უცემა, თავისთავად — ერთი ხელის მოსმით ახალი ადამიანის შექმნას და გარდატების მოხდენას ზედნაშენში, რადგან

ბაზისიდან ზედნაშენამდე გარკვეული სახის საფეხურებია, ამ საფეხურების გაუვლელად ახალი ადამიანი არ შეიქმნება. ეგ საფეხურები ჩვენ არ გაგვივლია. დღეს მხოლოდ ახალი ადამიანის შექმნისათვის ნიაღაგი იწმინდება. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა — ბრძოლა ახალ ადამიანისათვის!

ძველსა და ახალს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მისდინარეობს; სოციალისტურ სექტორის მძლავრი შეტევა კაპიტალისტურზე — ჩვენს სასარგებლოდ მთავრდება.

ყოველივე ეს ამსხვრევს და მიწასთან ასწორებს ძველი ყოფა-ცხოვრების ნარჩენებს, ტენდენციებს და ტრადიციებს.

სოციალისტურ ეკონომიკამ, ბაზის მა უნდა შექმნას სოციალისტური ზედნა შენი, ეს პირობა კი სავსებით უზრუნველყოფს ახალი ადამიანის შექმნის საკითხს.

## უარაჩოლელთა ძმადნაფიცი

ყოველ პროლეტარული მწერლის საბრძოლო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მხატვრულ ტილოებზე შესძლოს, გვიჩვენოს ჩვენი დროის ადამიანები. პროლეტარულმა მწერლობამ კი დღემდე ეს ვერ შესძლო და სწორედ აქედან გამომდინარეობს პროლეტარული მწერლობის რეკონსტრუქციის პერიოდიდან ჩამორჩენილობა.

პროლეტარულმა მწერლობამ უნდა გვიჩვენოს მხატვრულ ტილოზე დღევანდელი დღე თავის კლასობრივი გამძაფრებით; პროლეტარულმა მწერლობამ უნდა გვიჩვენოს მოწინავე ადამიანები, ადამიანები სოციალიზმის დღეებისა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათ ეს ვერ შესძლეს.

ახალი ყოფაცხოვრებისათვის ბრძოლა პროლეტმწერლობისათვის გადაუდებელი ამოცანაა. ბრძოლა ახალი ყოფა-

ცხოვრებისათვის, ეს იგივე ახალ ადამიანისათვის ბრძოლაა, მაგრამ პროლეტარული მწერლობის უმრავლესობამ ეს ვერ გაიგო, ვინაიდან მას ჯერ კიდევ არა აქვს სავსებით გამოყენებული დიალექტიურ მატერიალიზმი, როგორც ერთად-ერთი უტყუარი მეთოდი. ბრძოლა დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდისათვის, აი რა უნდა იყოს ყოველი პროლეტარული მწერლისათვის ძირითადი საბრძოლო ამოცანა. თუ დღემდე პროლეტარულმა მწერლობამ ვერ შეძლო ჯანამედროვე თემატიურ მასალაზე მუშაობა და მისი სათანადოდ გაშლა — ეს მეთოდის უგარგისობას მიეწერება. ყოვლად შეუძლებელია მხოხავ-ემპირიზმის და ფაქტების მშრალი რეგისტრაციით გვიჩვენოს დღევანდელი დღის ადამიანები. მოგვეცით დღევანდელი ახალი ყოფა თავისი ადამიანებით, თავისი წინააღმდეგობებით, — ასეთია ჩვენი მოთხოვნილება პროლეტარულ მწერლობისადმი. პროლეტარული მწერლობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდის არა სათანადოდ გამოყენებით ვერ შეძლო დღევანდელი დღის ადამიანების ჩვენება; სამაგიეროდ, პროლეტარული მწერლობა უხვად დაიტვირთა ზედმეტ, რევოლიუციის მიერ გაბიოურებულ ადამიანებით. კერძოდ, ისეთი მნიშვნელოვანი პროლეტარული მწერალი, როგორიცაა ელ. პოლუმორდვიჩივი, ვერ იძლევა თანამედროვე ტიპებს; სამაგიეროდ იგი მზადაა მოგვცეს რამდენიც გნებავთ, იმდენი ზედმეტი ადამიანები. ეს გარემოება უარყოფითი მოვლენაა. პროლეტარული მწერალი ეპოქის საჭიროებას ფეხდაფეხ უნდა მიყვებოდეს და არა ბორძიკობდეს და მიჩანჩალობდეს ბრძოლის დიდ გზაზე. მაგალითად ვის რად ესაჭიროება ელ. პოლუმორდვინოვის მიერ დახატული ყარაჩოლელთა ტიპები. ელ. პოლუმორდვინოვი მხატვრულ შემოქმედებაში ყარაჩოლე-

ლთა ძმათნაფიცად გადაიქცა. მისი თემატიური მასალა მარტოოდენ ბურუუაზიულ დათენთილ სიყვარულის უშინაარსო რომანტიკა და ყარაჩოლელებია. კითხულობ პოლუმორდვინოვის „ვერცხლის ქამარს“ და მოელი, რომ მწერალი ამ თანამედროვე დღეზე და მის ადამიანებზე ლაპარაკობს, მაგრამ იმედი ცრუვდება: პოლუმორდვინოვს თურმე ეს არ აინტერესებს! მას აინტერესებს ის, რაც საზოგადოების პროლეტარულ ნაწილისთვის მიუღებელია და უინტერესო. ვის რად ჭირდება, ან ვინ უნდა გაართოს ელ. პოლუმორდვნოვმა ყარაჩოლელ ფირანის „ქოხტა“ ცეკვით და კარტის თამშის აღწერით. ან ვის აინტერესებს ფირანას ტრალიკული სიკვდილი ქორწილის დღეს ქალის გულისათვის? რად სჭირდება პოლუმორდვინოვს ასეთი დრამატიზმები, პოპულარობის ეს იაფფასიანი საშუალებანი? მაგრამ ყოლივე ეს გვეუბნება იმას, მწერალს აკლია კლასიური სიმტკიცე და მასზე უცხო კლასის იდეოლოგიის ზეგავლენა ჯერ კიდევ საკმაოა.

„ვერცხლის ქამრის“ შემდეგ გადაშლი „ლურჯ სუფრას“ და თვალწინ კიდევ ყარაჩოლელთა და მთაწმინდაზე მოქეთეთა „თვალწარმტაცი“ სურათები იშლება. ყოჩების ჭიდაობა, ზურნის ჭყიპინი, ქუჩური სიმღერები და სხვა. გადაშლი მეორე გვერდს და თვალწინ სისხლიან დანების ტრიალი წარმოგიდგება.

ქალის გულისთვის ფირუზი კლავს ლევანს. ფირუზი მკლელობას არაფრადაც არ აგდებს.

— გაიქეცი, ეუბნებიან ამხანაგებს ფირუზას.

— რად უნდა გავიქცე, მე ქურდულად არ დამირტყია. მილიციონერი შოვიდა.

— დანა გადმომეცი, — შეყვირა მრისხანედ.

— დანა მკერდში დაუტოვე, — ეს იყო ფირუზას პა-  
სუხი მილიციონერის შეკითხვაზე. აქ მკითხველი გრძნობს,  
რომ მთელი სიმპატია ავტორისა ფირუზისაკენაა. ასეთი  
შემთხვევითი არაა ელ. პოლუმორდვინოვის შემოქმედება-  
ში. შემთხვევითობა არც შეიძლება არსებობდეს, პოლუ-  
მორდვინოვი გარკვეული ფენის ბძლავრ წნევის ქვეშ იმ-  
ყოფებოდა, რომელსაც ისეთი სახის განწყობილებები არ  
შეიძლება შემთხვევით მოდიოდეს. პოლუმორდვინოვს არა  
აქვს თავისი შემოქმედებაში მომარჯვებული დიალექტი-  
ური მატერიალიზმის მეთოდი და მის უბედურებაც სწო-  
რედ ამაშია. მას არ ესმის და არ იცის დიალექტიკის  
ელემენტარული კანონის გამოყენება მხატვრულ შემოქმე-  
დებაში. აღნიშნული მდგომარეობა პოლუმორდვინოვის შე-  
მოქმედებაში დღესაც გრძელდება. მოვლენების წვრილ-  
ბურუუაზიულ თვალებით ათვისება პოლუმორდვინოვს  
სისტემად გადაექცა. მისი თემატიური მასალა ძალზე შე-  
მოზღუდულია, რომელიც ვერ ცილდება ბურუუაზიული  
სიყვარულის გაშიშვლება — რომანტიკას. აღნიშნული თე-  
მატიკის ირგვლივ პოლუმორდვინოვი ბოლო ხანებშიც  
ტრიალებს. მისი უკანასკნელი მხატვრული ფაქტები, რო-  
გორიცაა „მთავრისა“, „ქვეყანა მიდის“ დასხვა,  
სიყვარულის სამკუთხედის ირგვლივ ტრიალებს. ელ. პო-  
ლუმორდვინოვმა ჯერ კიდევ შვერ ესძლო თანამედროვე  
ადამიანების ჩვენება, სამაგიეროდ, მის მოთხოვნებში მდი-  
დრადაა წარმოდგენილი ზედმეტ ადამიანთა კოლექციები.  
ბოლოს და ბოლოს უნდა დაისვას საკითხი პროლეტარულ  
მწერლობაში ზედმეტი ადამიანების თემატიკის მოხსნის  
შესახებ. ზედმეტ ადამიანებზე და წარსულ თემატიკაზე  
დღეს უმთავრესად მომაკვდავი კლასის მწერლები მუშაო-  
ბენ. პროლეტარულ მწერლობაში ეს აიხსნება ამ უკან-

კლასის მწერლობის მძლავრი ჭეგაელენით. კერძოდ, ვის  
რად აინტერესებს ელ. პოლუმორდვინოვის „ქვეყანა მი-  
ღის“, რომელიც მხოლოდ მარტო რევოლუციის მიერ  
უარყოფილ ადამიანის ცოვრებასა და თავგადესავლის  
ირგვლივ ტრიალებს? ცხადია საზოგადოების ჯანსაღ პრო-  
ლეტარულ ნაწილისათვის ეს ინტერეს მოკლებულია, მა-  
გრამ პოლუმორდვინოვი ხომ საზოგადოების ამ ფე-  
ნისათვის არ წერს? ეს რომ ასეა, ამას ერთხელ კიდევ  
ზედმეტად მისი უკანასკნელი მხატვრული ნაწარმოები  
„მთვარისა“ ამტკიცებს.

ხევსური ქალი — მთვარისა, რომელიც ქალაქში პირ-  
ველად ჩამოვიდა, სასწავლებელში ღრმად დაწაფა სწა-  
ვლა-განათლებას, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ის რამდენიმე  
ხნის შემდეგ „შეჯაჭვულ იქნა სიყვარულის მძლავრ სალ-  
ტებით“. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი აზრი გამოვიტა-  
ნე აღნიშნულ ნაწარმოებიდან. პოლუმორდვინოვმა ნაც-  
კლად იმისა, რომ ვვიჩვენოს, თუ როგორის თანდათან-  
ობით იშლებოდა ძველი ფსიქოლოგია ხევსურ ქალ  
მთვარისაში იგი საწინააღმდეგოდ ამისა, დაუბრუნდა  
თავის ძმად ნაფიც გაცვეთილ თემატიკას და მთვარისაც  
შავ „თვალებით“ მახიბლულ ადამიანთა რიცხვში ჩასთვა-  
ლა. პოლუმორდვინოვმა დიდი „ერუდიციით“ დაიწყო  
მთვარისას გარეგნული მხარის აღწერა თავის მოთხოვნაში.  
მას მხედველობიდან გამორჩა ისეთი „პატარა“ ფაქტი,  
როგორიცაა, თუ რა ზეგავლენა მოახდინა მთვარისაზე  
ქალაქის კულტურამ. საერთოდ, ასეთი რამები პოლუმო-  
რდვინოვისათვის ხომ ზედმეტადაა მიჩნეული? ჩვენ კი  
წინააღმდეგ ვფიქრობთ, რომ დღევანდელ პერიოდში ყო-  
ველი ფაქტი პროლეტარულ მწერლის მიერ ბოლშევიკუ-  
რად უნდა იქნეს ათვისებული. დღეს ჩვენ გვაინტერესებს

არა სიყვარულის გაცვეთილი რომანტიკა, არა ყოჩების ჭიდაობა და ზურნის ჭყიპინი მთაწმინდის კალთებზე, არამედ სიმღერა სოციალიზმის დღეებზე, სიმღერა ჩვენს მშენებლობაზე.

პროლეტარული მწერლები ამას მხოლოდ მაშინ შესძლებენ, როცა უარყოფენ და დაარღვევენ იმ უხეიროდ დაკანონებულ აზრს, ვითომც სიყვარულის გარეშე არ შეიძლება შეიქმნეს რაიმე მხატვრული ნაწარმოები. — ეს ძალზე უხეირო მოსაზრებაა. პროლეტარული მწერლები ასეთ განწყობილებებს ძირითადში უნდა დაუპირდაპირდენ.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვაყენებთ ტაკითხს — ზედშეტი ადამიანების განდევნის შესახებ პროლეტარულ მწერლობის საზღვრებიდან. ბოლოს და ბოლოს პროლეტარული მწერლობა არც სიძველეთსაცავი და არც მომაკვდავი კლასის მუზეუმია. ეს ყველას უნდა ესმოდეს, მით უფრო ჩვენს პროლეტარულ მწერლებს.

რაც შეიძლება ცოტა ლაპარაკი და მეტი საქმე! პროლეტარულმა მწერლებმა უნდა შესძლონ დღევანდელი დღის თემატიურ მასალაზე მუშაობა. ჩვენ უნდა დავინახოთ პროლეტარულ მწერლის ყოველ ნაწარმოებში კომუნისტი, კომავშირელი, პიონერი და საერთოდ ჩვენი დღის ადამიანები და არა მთაწმინდის საეჭვო ხალხი.

პროლეტარული მწერლები ამას მხოლოდ მაშინ გაიკეთებენ, როდესაც სათანადოდ გამოიყენებენ დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდს. ამას მხოლოდ ჯანსაღი პროლეტარული მწერლები შესძლებენ და არა ყარაჩოლელთა ძმადნაფიცები.

## პროლეტარული მწერლობა ახალ ყოფა- ცხოვრებისათვის ბრძოლაში

სრულიად მართალი იყო ამხ. კოსარევი. როდესაც  
საკ. კ. კ. მეორე პლენუმზე პროლეტარული ლიტერა-  
ტურის შესახებ ამბობდა: „მე ვფიქრობ, ცუდი არ  
იქნებოდა, რომ რუსეთის პროლ. მწერალთა  
ასოციაციის წარმომადგენლები მოსული-  
ყვნენ აქ. საკ. კომკავშირის ცენტრალურ კო-  
მიტეტის პლენუმზე და განეცხადებიათ, რომ  
ისინი მზად არიან ჩვენთან ერთად იმუშა-  
ვონ, რაზა შესცვალონ ასეთი მდგომარეობა  
და თავისი პროდუქცია, რომელიც უმთავრე-  
სად გათვალისწინებულია მუშა-ახალგაზ-  
რდობისათვის, შეუთანხმონ ლენინურ კომ-  
კავშირს. ამის გარეშე რუსეთის პროლეტა-  
რული მწერალთა ასოციაცია გადაიქცევა  
რაღაც ლიტერატურულ კადემიად, რომელიც  
ჩამოშორებული იქნება მკითხველთა მასას“. მართლაცდა: პროლეტარულმა ლიტერატურამ დღემდე  
ვერ შესძლო მხატვრულ ტილოებზე კომკავშირის მოცემა. კომკავშირს აქვს თავისი ისტორია; მას აქვს გმირული  
ბრძოლების მრავალი ეპიზოდები. კომკავშირი, პარტიის-  
თან ერთად, აქტიურად იბრძვის სოციალისტურ მშენე-  
ბლობის ფრონტზე; იგი ენერგიულ და შეუნელებელ ბრო-  
ლას აწარმოებს ძველი ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ ახალ  
კომუნისტურ ყოფა-ცხოვრებისათვის. ყოველივე ამის  
გადატანა და ასახვა მხატვრულ ტილოებზე აუცილებლად

საჭიროა. საჭიროა პროლეტარულმა ლიტერატურამ გვიჩვენოს კომკავშირი ძველ ყოფასთან ბრძოლის პროცესში, გვიჩვენოს დამკვრელი და მოწინავე კომკავშირლები, რომლებიც თავგამოდებით იბრძვიან ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქციისათვის.

პროლეტარულმა მწერლობამ კი დღემდე ეს ვერ შესძლო. ბოლშევიკურ თვითკრიტიკის პრინციპის ქვეშ ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პროლეტარულმა მწერლებმა ვერ გაიგო კომკავშირი, ვერ გაიგო ახალი ადამიანის ცნება, ვერ გაიგო ახალი ყოფა-ცხოვრებისა და ოჯახის პრობლემა და ისინი დამახინჯებულად მოგვცა მხატვრულ ფორმებში. ამის მაგალითები მრავლად მოიპოვება არა მარტო რუსულ პროლეტარულ მწერლოკაში, არამედ ქართულშიაც.

ქართულმა პროლმწერლობამ ამ მხრივ ვერ შესძლო საკითხის მახვილი კუთხით დასმა, კომკავშირულ ყოფის ჯანსაღად და ობიექტიურად გადმოცემა. ამ გარემოების დასადასტურებლად და უზრუნველსაყოფად საკმარისია გადაშალო რამდენიმე ნაწარმოები ჩვენი პროლეტარული მწერლობისა.

წინა თავებში გადაჭრით მოვითხოვდით ჩვენ პროლეტარული მწერლობისაგან ახალ მოწინავე ადამიანის ჩვენებას მხატვრულ ტილოებზე, მაგრამ პროლეტარულმა ლიტერატურამ ეს დღემდე ვერ შესძლო! რატომ? — იკითხავს გაკვირვებით მკითხველი! ეს იმიტომ, რომ პროლეტარულ მწერლებს ჯერ კიდევ არ ესმით, თუ ვინ უნდა იყოს ან როგორია ახალი ადამიანი. ხოლო როდესაც რომელიმე საგანზე წარმოდგენაც არა გაქვს დამიანს, იმ შემთხვევაში მასე მსჯელობა შეუძლებელია. ნაძალადევად ნამსჯელები და ფაქტების დამახინჯებულად წარმოდგენა იქნება.

ეს ითქმას სამწუხაროდ ჭართველ პროლეტარულ მწერლობაზე, სახელდობრ ყოფა-ცხოვრების საკითხის ირგვ: ლივ. ზოგიერთ პროლეტარულ მწერალს ახალი ადამიანის პრობლემა ესმის ძალზე პრიმიტიულად და მასზე ობივა-ტელურ განწყობილებას ამჟღავნებს, ასე, მაგალითად, პროლეტერალ ელ. პოლუმორდვინოვმა არ იცის, თუ ვინაა, ან ვის უნდა დაუძახოს ახალი ადამიანი. პოლუმორდვინოვის მოთხოვნა „შაშილარ“ — ში. ასეთ ადგილს ვხვდებით:

— ბათირ!.. ბათირ!.. (მოოხრობის მთავარი გმირის სახელია. კ. მ.)

— რა გინდა, ვინ ხარ?..

— როგორ თუ რა მინდა, მე ავტორი ვარ, რას შვრები, კაცსა ჰქლავ?

— ღირსია და ვკლავ.

— ბათირ! ეგ შენ არ შეგშვენის. მთელი თემი შენ შემოგცერის, მაგალითს შენგან იღებს და შენ კაცი მოჰქლა, რა უნდა სთქვან, თითონ ხომ უარესს აზა-მენ?!?

— არა, სასიკვდილო უნდა მოკვდეს, ვინც რა უნდა სთქვას.

— ხანჯალი ჩააგე, ბათირ, ნუ გავიწყდება, რომ შენ ჩემი სურვილების ამსრულებლი ხარ. მე მინდა შენ ახალ ადამიანად გამოგიყვანო, მთელ თემში პირველობა მოგანიჭო და შენ კი სჩადიხარ იმას, რასაც ყოველი სვანი ჩაიდენდა.“

ასე ესმის ელ. პოლუმორდვინოვს ახალი ადამიანი. სიცილმორეულად მეცოდება ადამიანს მწერალი, როდესაც ასე უხერხემლოდ წერს და ასეთ უსუსურ მოსაზრებებს გამოთქვამს. ნუთუ ასე უნდა გავიგოთ, ამხ. მწერალო, ახალი

ადამიანი? ნუთუ ამოლებულ ხანჯალის ქარქაშ-ში ჩაგებაა ახალ ადამიანისათვის ბრძოლ? საიდან მოიგონა პოლუმორდვინოვმა, რომ ბათირი ახალი ადამიანია? მაგრამ... წარმოიღვინთ, ბათირი ავტორის სურვილების ამსრულებელია.

ავტორის წადილია იგი ახალ ადამიანად გამოიყვანოს! კეთილი და პატიოსანი! კარგია ამხ. პოლუმორდვინოვო ახალ ადამიანად უნდა გამოვიყვანო, რომ ეუბნები ბათირს, თუ არ არის საიდან უნდა გამოიყვანო ახალ ადა-მიანად? პურის ცომი ხომ არ არის, რომ ფორმაში ჩადე-ბული რა ფორმისაც გინდა, იმ ფორმის პური დააცხო? ასე წერა სირცხვილია. მართალია, ბათირი იბრძვის ძველი და უკულტურო სვანეთის ფრონტზე, იბრძვის სვანურ მა-ვნე ადათ-წესების წინააღმდეგ, რომელსაც გზადაგზა მთე-ლი რიგი დაბრუოლებისა ხვდება, მაგრამ ბათირი თვითონ არაა თავისუფალი სვანურ ტრადიციებიდან. მაშ, რას ნი-შნავს გევას მიმართ ხანჯლით გასვლა ბრძოლაში? მიუხე-დავათ იმისა, რადგან ბათირმა გევას მიმართ სასიკვდი-ლოდ ამოწვდილი ხანჯალი ქარქაშში ჩააგო, პოლუმორდ-ვინოვს იგი ახალ ადამიანად მიაჩნია, რადგან მას ამის სურვილი აქვს. მაგრამ სურვილებით, მარტოოდენ წადი-ლით ართვერი კეთდება!

პოლუმორდვინოვის მიერ ახალ ადამიანის ასე ყალბათ გაგება შემთხვევითი არაა. ანდა რა მოეთხოვება ისეთ მწერალს, რომელიც მთელი თავის შემოქმედების მანძი-ლზე მხოლოდამხოლოდ ზედმეტ და ცხოვრებისაგან უარ-ყოფილ ადამიანებს ხატავს? პოლუმორდვინოვის მიერ გაგებულ ახალ ადამიანს არავითარი საერთო არ აქვს ნა-მდვილ ახალ ადამიანთან! ჯერ უნდა მოხდეს ძველი ყო-ფის გარდაქმნა, მისი რეკონსტრუქცია და შემდეგ კი ახა-

ლმა მდგომარეობამ შექმნას ახალი ზედნაშენი, ახალი ადამიანი. პოლუმორდვინოვი კი საკითხს პირუკუ, არა მარქსისტულად აყენებს. სწორედ საკითხის ამ არა სწორ ინტერპრეტაციიდან და დაყენებიდან გმომდინარეობს ის არა სწორი დასკვნები და შედეგები, რომელიც პოლუ-მორდვინოვმა თავის მოთხრობაში გამოიტანა ახალი ადა-მიანის შესახებ. პოლუმორდვინოვის ასეთი მოქმედება მა-გალითის მიმცემი უნდა იყოს სხვა პროლეტ მწერლებისა-თვის, რათა მათაც არ დაუშვან ასეთი უხეში შეცდომა და ახალი ადამიანი არ დაინახონ ელამი თვალებით.

ახალ ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლა ისევე გადაუ-დებელია პროლეტარულ მწერლებისათვის, როგორც სხვა აქტუალურ თემებისა, მაგრამ, როგორც ზევით არა ერთხელ აღვნიშნეთ, პროლეტარულმა ლიტერატურამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო ნიადაგის მომზადება ახალ ყოფა-ცხო-ვრებისათვის. თუ ახალ ყოფისათვის მებრძოლთა მოწი-ნავე რიგებში პარტიულები და კომკავშირლები დგანან, რომლებიც პრაქტიკულად აწარმოებენ ყოველდღიურ შე-ტევას ძველ უკულტურობაზე, სამაგიეროდ იმ მებრძოლმა ადამიანებმა ვერ ნახეს ადგილი, მათ ვერ ვხედავთ პრო-ლეტარულ მწერლობაში თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით პროლეტარული მწერლობის მნიშვნე-ლოვანმა ნაწილმა საკითხი დაამახინჯა.

ჩვენ ზემოთ ლაპარაკი გვქონდა ელ პოლუმორდვი-ნოვის მიერ უცნაურად გაგებულ ახალ ადამიანის შესახებ, მაგრამ საკითხი მარტო ამით არ ამოიწურება. პოლუმო-რდვინოვს გვერდს უმშვენებს მთელი რიგი პროლეტარულ მწერლებისა, რომლებმაც საკითხი დაამახინჯეს კონკავ-შირული ყოფა-ცხოვრება. კერძოდ ძლიერმა პოეტმა კ. ლორთქიფანიძემ ამ მხრივ საკითხი მარცხი განიცალა, და-

მარცხდა ქ. ლორთქიფანიძე, როგორც „ხავსში“, ისე „პირველ დედა“-ში ქ. ლორთქიფანიძემ ვერ შესძლო საკითხის სწორი კუთხით დაყენება და, აქედან გამომდინარე, არცაა გასაკვირველი ის უარყოფითი დასკვნები, რომელიც აღნიშნულ ნაწერებიდან გამომდინარეობს. მთავარი, რაც წითელი ზოლივით მიყვება ქ. ლორთქიფანიძის საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს, ის კომკავშირის ორგანიზაციაში უარყოფით და მახიჯ მოვლენების გადიდებულად ჩვენება და უპერსპექტივობაა. აქვე არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ ქ. ლორთქიფანიძის მიერ მოცემული კომკავშირლები აქტიურად მებრძოლნი არიან ახალი მოდგმის წინააღმდეგ. არ ვიცით ჩვენ ეს რას ნიშნავს, ან საიდან გამომდინარეობს, მაგრამ ფაქტი ფაქტიად რჩება: ქ. ლორთქიფანიძემ კომკავშირის ორგანიზაცია და მისი ცალკეული უჯრედები დაგვიხატა და მოგვცა შავი ლაქებით. ჩვენ არ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ ქ. ქ. ორგანიზაციაში აღგილი აქვს ზოგჯერ ყოფითს გახრმწნილებას, დამახინჯებებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქ. ქ. ორგანიზიცია ამ მახიჯ მოვლენების წინააღმდეგ არავითარ ბრძოლას არ აწარმოებდეს. ჩვენ ვამბობთ, რომ გვაქვს ნაკლი, ხშირად სერიოზულიც, მაგრამ გვაქვს საშვალებებიც მის დასაძლევად. ქ. ქ. როგორც ლენინურ თაობისათვის, არ არსებობს დაუძლეველი სიძნელე. ეს კი ჩვენი პროლეტარული მწერლობისათვის ვაუგებარია. კერძოდ, ქ. ლორთქიფანიძის რომანი „ხავსი“ და „პირველი დედა“ აღნიშნულის ჩინებული დადასტურებაა, განსაკუთრებით ჩვენ გვინდა მკითხველების ყურადღება შევაჩეროთ უკნასკნელ მოთხოვნაზე. მაგრამ სანამ მასზე გადავიდოდეთ უშუალოდ, მანამ ორიოდე სიტყვა „ხავსზე“.

„ხავს“ -ში კ. ლორთქიფანიძე კომკავშირულ ცხოვრების აქტუალურ საკითხს ეხება. კომკავშირელი გუგა როგოვა, ლორთქიფანიძეს რომანის მთავარ გმირად ყავს გამოყვანილი. იგი მას კომკავშირელთა რდგებში ყავს. აქვე მის გვერდით მოცემულია კლასიურად უცხო წრიდან გამოსული მერი, რომელიც ბოლოს გუგას ცოლი შეიქმნება. უნდა აღინიშნოს, რომ ობივატელ ქალისათვის გუგა როგოვამ დატოვა ყველაფერი, დატოვა და უარყო თავისი კლასიური პრინციპები, ჩამოცილდა. ორგანიზაციას და მერისთან ერთად ვაიხიზნა შორს სადღაც მიუვალ მთებში. უნდა აღინიშნოს, რომ უდავოდ შემცდარია კ. ლორთქიფანიძე, როდესაც გუგას მსგავს მერყევ ელემენტებს ჯიბეში კომკავშირის მანდატს უდებს. გუგა როგავა ყოველგვარ აქტუალობისა და ინციატივისაგან დაცლილი ადამიანია; იგი სულით ავადმოყოფია, ხოლო ლორთქიფანიძე უნდა იცოდეს ის ამბავი, რომ სულით ავადმყოფს არ შეუძლია შექმნას ახალი ოჯახი.

როგორ უნდა შექმნას ახალი ოჯახი გუგა როგავამ, როდესაც მან თავისი ახალგაზრდა ბავში მიწაზე დაანარცხა და სიცოცხლეს გამოასალმა? როგორ შეიძლება ასეთი ადამიანი იყოს კომკავშირის ორგანიზაციაში? დასასრულ, ავტორი ისეთი ფერებით ხატავს, რომ მკითხველს გუგას უსახავს, როგორც თავდაპირველ მებრძოლს, აქაა სწორედ თვით მწერლის კლასიური მერყეობა, უნების ცობა; აქაა სწორედ მასი დაბნეულობა. მწერალმა ვერ შესძლო გუგა როგავას მოქმედების შეფასება ბოლშევკიურად, მან ვერ შეაფასა სათანადოდ გუგა როგავას წვრილ-ბურუუაზიული განწყობილებები და იგი ახალ ყოფაცხოვრების მებრძოლ ადამიანადაც გამოიყვანა. ეს შეცდომა, რადგანც გუგას მსგავსი ნევრასტენი და პოლიტიკურად ავად-

მყოფი ხალხი კომკავშირის ორგანიზაციის არა ყავს; ეს კი როგორც პროლეტარული მწერალს, კ. ლორთქიფანიძეს უნდა ცოდნოდა.

„ჭიქა-წყლის“ თეორიას როგორც კაცის სივაგლახის თეორიას“ (ლუნაჩარსკი) ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუკადოთ. ლენინი „ჭიქა-წყლის თეორიის“ წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა; და ჩვენ არ შეგვიძლია შეურიგდეთ ამ თეორიის ხალხს, ხოლო რომლებიც აღნიშნულ თეორიას იცავენ, არ არიან ნამდვილ კომუნისტები და კომკავშირლები.

„ჭიქა-წყლის თეორია“ პრაქტიკაში ნიშნავს პროსტიტუციისაკენ დაბრუნებას. კომკავშირმა, „ჭიქა-წყლის თეორიის“ წინააღმდეგ ერთი წუთითითაც არ უნდა შეანელოს ბრძოლა, მაგრამ არსებობს და აღმოჩნდა ხალხი, რომლებიც „ჭიქა-წყლის“ პრაქტიკოსებს კომკავშირის ორგანიზაციაში ეძებენ.

კერძოდ კ. ლორთქიფანიძეს „პირველი დედა“ ამ პლანითაა დაწერილი. ვინაა ჯაიანე, თუ არ ჭიქა-წყლის პრაქტიკოსი? ავტორმა ვერ შესძლო კომკავშირის ორგანიზაციის საღად ჩვენება. მან კ. კ ორგანიზაციის დიდ წენობაში შეიხედა მხოლოდ ჭუჭრუტანებიდან, რომელმაც მწერალი შეცდომაში შეიყვანა: კ. ლორთქიფანიძემ კ. კ. უჯრედები გადაგვარებულად და გახრწნის გზაზე დამდგარ უჯრედებად წარმოგვიდგინა, რომლებიც, მისო აზრით, არავითარ ბრძოლას არ აწაროებენ ყოფის საკითხებში მოვლენების წინააღმდეგ.

არსებობს თუ, არა გაიანები კომკავშირის ორგანიზაციებში? როგორც არა ერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმოერებ, არ არსებობს! გაიანე ახალგაზრდა პროსტიტუტკას ტიპია, რომელსაც არც შეიძლება რაიმე საქრთო

ქონდეს ჯანსალ კომკავშირელ ქალთან. მრავალი ამხანაგი სრულიად შემცდარია, როცა ფიქრობს, რომ გაიანე ძველი ყოფის მახინჯ მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლია. არავითარი ბრძოლა ძველის მიმართ, არავითარი ინტერესი ახალ ოჯახისადმი გაიანეს არ ახასიათებს. როცა ძველს ებრძვი, გაქვს პერსპექტივა ახლის შექმნისა. გაიანე კი უპერსპექტივო მებრძოლია, რომლის მთელი მუშაობა გრა მოქმედება მიმართულია იქეთკენ თუ როგორ გაიკეთოს აბორტი და როგორ მოიცილოს თავიდან პატარა ბავში. აი ამაში მდგომარეობს გაიანეს მთელი აქტივობა, მიუხედავად ამისა, ავტორის სიმპატია მაინც გაიანესაკენ იხრება; მან გაიანე თავდადებულ აქტიურ მომუშავედ გამოიყვანა.

„ხარბათ ჩაება გაიანე კომკავშირის მუშაობაში. საზოგადოებრივ არეს გაფართოვება თანდათან უნვითარებდა სასტიკ სიძულვილს ისეთ მოვლენათა მიმართ, რომელთაც შეეძლოთ მისი საქმიანობის შენელება, შევიწროვება. ერთ-ერთ ასეთ მოვლენად მიაჩდა ქმარი, ოჯახი და როგორც შველი მონადირეს უფრთხოდა მამაკაცებთან დიდი ხნით კავშირს“.

თურმე გაიანე საზღვადოებრივ საქმიანობით ისე ყოფილა გატაცებული, რომ მას დავიწყებია ყველაფერი. თურმე იგი გაურბოდა ყველაფერი იმას, რაც ხელს უშლიდა თავის პრაქტიკულ საქმიანობას და ლორთქითანიძის გადმოცემით, ერთ-ერთ ასეთი ხელის შემშლელთაგანი ყოფილა ოჯახი, ქმარი და მამაკაცთან დიდი ხნით კავშირი. სწორეთ აქვხედავთ ავტორის მთავარ შეცდომას. აღნიშნული მდგომარეობა ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ მახინჯად ესმის კ. ლორთქითანიძეს ყოფა-ცხოვრების საკითხი კ. კ.

ორგანიზაციაში. თუ გაიანე მართლაც და მუშაობის ხელის შემშლელ პირობებს გაურბოდა, ვეკითხებით ავტორს: „აბორტები“ უშლიდა, თუ არა მას ხელს, და ეს გარემოება ასუსტებდა თუ არა მის ორგანიზმს? ვფიქრობთ, ეს გარემოება უფრო უშლიდა ხელს, ვიდრე ოჯახი და ქმარი.

გაიანეს უნდა ეზრუნა ახალ ოჯახისათვის, მაგრამ იგი „როგორც შველი მონაცირეს, უფროთხოდა მამაკაცებთან დიდი ხნით კავშირს“. უცნაური მსჯელობაა! ლორთქითანიძეს უნდა ცოდნოდა, რომ „ცუდი კომუნისტია, ცუდი საბჭოთა მოქალაქეა, ცუდი მშენებელია ის, ვინც „ყვავილიდან ყვავილზე დაფრინავს“ და არ ზრუნავს მომავალთაობაზე<sup>1)</sup>). გაიანე სწორედ ადამიანთა ამ ჯგუფშია, რომელთაც არაფრად არ მიაჩნიათ ბრძოლა მოდგმისათვის. მე კურიოზულად, დიდ გაუგებრობად და შეცდომად მიმაჩნია ის ამბავი, რომ ამხანაგებს გაიანე ახალ ყოფა-ცხოვრებისათვის მებრძოლად მიაჩნიათ, მაშინ, როდესაც მისთვის „სქესობრივი საკითხი ისეთივე მოთხოვნილებათაგანია, როგორც პური, როგორც ჰაერი. ახალი და ნოუიერი პური, სუფთა და ჯანსაღი იყოს ჰაერი, ყველგან გაძლება, ყველგან ისუნთქავს, და არ ესმის გაიანეს, რატო აძალებს ყოველი მამაკაცი მასთან მხოლოდ ერთად ცხოვრებას, არ ესმის გაიანეს მათი საყველურები და არც სცალია, რომ შეისმინოს“. უსათუოდ შემცდარია კ. ლორთქითანიძე როდესაც ასე ფიქრობს. ჩვენ არ ვიცით კ. კ. ორგანიზაციის რომელი

<sup>1)</sup> ან. ლუნაჩარსკი. ან. ყოფ. ცხოვრება. გვერდი 25,

<sup>2)</sup> ჩახი ყველგან ჩვენია. კ. მ.

უჯრედის კომქავშირელი ქალი ყავს კ. ლორთქიბანიძეს  
მხედველობაში გაიანეს საჭით.

გაიანე მრავალ მამაკაცთან ცხოვრობს; მისთვის სქე-  
სობრივი საკითხი, სუფთა პაერი და თეთრი პურია. სწო-  
რედ აქ არის ავტორის მთელი დაბნეულობა. ახალ ოჯა-  
ხისათვის მებრძოლი კომქავშირელი ქალი არც ისე „გულუხ-  
ვი“ და ხელგაშლილი იქნება სქესობრივ საქმეში, როგორც  
გაიანე. მისთვის, სადაც კი წავა, ყველა ქმარია. აქ თო-  
თიაური, იქ სოფლად თემკომის მდივანი და სხვა. რა მოს-  
დევს ყოველივე ამას შედეგად გაიანეს მხრივ? მხოლოდ  
„აბორტი“ და ველური გრძნობა მომავალ თაობის განად-  
გურებისა. მართალი იყო თოთიაური, როდესაც გაიანეს  
ეკითხებოდა:

— გაიანე, შენ მოწინავე, აქტიური კომქავშირელიხარ; მაშასალამე, უნდა მოგბაძონ რიგითი წევრებმა, რა გამოვა!

— არ მესმის რას ამბობ!

— შენ, რომ მოგბაძონ, ოჯახს ერთიც ვერ შექმნის. ვის-  
თვის ვშრომობთ? ჩვენივე ნაშრომს სამარე-  
ში ხომ არ ჩავიტანთ. კომქავშირელ ქალში,  
დედა არ უნდა ჩაკლას პარტიულობამ, აბორ-  
ტებით მუცელ გაბოგლეჯლი არ ნიშნავს კა-  
რგ კომქავშირლობას. ჩვენ არ გვინდა ასეთი  
მსხვერპლი, შვილიც გვინდა, გესმის — და მარ-  
თლადაც რა გამოვიდოდა ან რა გამოვა გაიანეს რომ მიბაძოს  
ორგანიზაციის რიგითი წევრებმა? გამოვა ის, რომ ყოფას,  
მომავალ თაობას ვერც ერთი მათგანი ვერ შექმნის. თო-  
თიაურის არ იყოს აბორტებით მუცელ გამოგლეჯილ  
ქალს არ შეუძლია არც ახალი ოჯახის შექმნა და არც  
ორგანიზაციისათვის ნაყოფიერი მუშაობის წარმოება.

ოჯახისათვის ზრუნვა გაიანეს ყოვლად დაუშვებლად  
მიაჩნდა... „ჩვენ არ გვინდა ეს მსხვერპლი. რა  
მსხვერპლი! გაიანეს არასდროს არ უგრძ-  
ვნია, რომ მას მსხვერპლი მოჰქონდა! აბორ-  
ტი? შვილი... როგორც მოხსენების კუთების  
დროს ვერ მოახერხებ სიმღერას, ისე მოუხე-  
რხებლად მიაჩნია დაოჯახება; ოჯახი საკა-  
ნია. ყველამ, ვინც კი ისურვა ჩემი ქმრობა,  
პირველად ყოვლისა საზღვრები დამიღო და  
ტყვეობაში განმაცდევინა თავი. არ მინდა,  
მე მიყვარს საზოგადოებრივი მუშაობა. მე  
მიტაცებს ის და კიდევაც შევალევ ძალღო-  
ნეს; ვინ წამართმევს ამის უფლებას (ეს მხო-  
ლოდ და მხოლოდ ავტორის ცარიელი ბრახუნი და  
ცარიელი რიტორიკაა. კ. მ.)

შვილი გვინდა, გესმის? - ვინ იძახის ამ სიტ-  
ყვებს თოთიაურის სახით: ქმარი თუ კომკავ-  
შირი? აი დილემა... გაიანესათვის.. მისთვის გაურკვეველია  
ვინ ეძახის მასშვილის შესახებ, ქმარი თუ კომკავშირი? დიახ,  
აქ თოთიაურის ენით მომავალი კომუნისტურ საზოგადოები-  
სათვის თავდადებული მებრძოლი კომკავშირის ორგანი-  
ზაცია იძახის. მაგრამ გაიანესათვის ოჯახი საკანია. და  
მერე მართალია ეს? ოჯახი თურმე მას სალტეებში აქ  
ცევს. კომკავშირელი ქალი თუ ნამაკაცი სწორედ მიტომაა  
მოწოდებული, რომ დალეჭოს ძველი ოჯახური სალტეები  
და ზღუდეები. კომკავშირლები კი მიტომ არიან მოწოდე-  
ბული, რომ შექმნან ჯანსაღი კომუნისტური ოჯახი, რო-  
მელიც საფუძველს გამოაცლის და დაანგრევს ბურჟუაზი-  
ულ ოჯახს თავის ჩვევებით. თუ გაიანეს ქმრებმა სალ-  
ტეების დადება მოუნდომეს, რატომ ამ იბრძოდა იგი ამ

სალტერნის დასალეჭად? მაშ რისთვისაა მოწოდებული კომკავშირელი ქალი და ისიც ისეთი აქტივისტი (თუ ავტორს დავუჯერებთ. კ. მ.) როგორიც გაიანეა? მაგრამ ფაქტი-ფაქტად რჩება! არც გაიანემ და არც მისმა ავტორმა არ იცის თუ როგორ უნდა იბრძოლოს კომკავშირლებმა ახალ ყოფა-ცხოვრებისათვის. ეს რომ ცნობილი იყოს მაშინ გაიანეს ავტორი არ დაუყენებდა გადასაჭრელად საკითხს. ვინ ეძახის შეილის შესახებ მას თოთიაური, თუ კომკავშირი; როგორ ფიქრობს კ. ლორთქიფანიძე, უთა-ობოდ, ახალ მოდვიმის აღზრდის გარეშე შეიძლება რაიმეს გაკეთება? ცხადია, არა, გაიანე კი მოკლედ, რომ ვთქვად „კომკავშირელი პროსტიტუტკაა“. მართალი იყო ერთი ახალგაზრდა კომკავშირელი ქალი, რომელიც ერთ-ერთ სოფელში გაიანეს ლიტერატურულ გასამართლების დროს დამცველებს საჯაროდ პასუხობდა: „თუ კომკავშირელი ქალები მართლად ც ისეთნი ვართ როგორც გაიანე, ან-და თუ ჩვენს რიგებში მართლაც გაიანები გვყავს მაშინ მე მზადა ვარ დავტოვო კ. კ. ორგანიზაციამ.“ მე ვფიქრობ, რომ აღნიშნული კ. კ. ქალი მართალი იყო, რადგან მან გაიანეს ტიპში ვერავითარი ნათესაობა უერ დაინახა.

ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ის უჯრედი, რომელშიც გაიანე ირიცხებოდა. ჩავთვალოდ ნამდვილ ჯანსაღ კომკავშირულ უჯრედად, რადგან მისი წევრები ყველანი მოხულივნონი არიან — დაწყებული უჯრედის მდივნიდან და გათავებული უბრალო რიგითი წევრიია. გაიანეც ამ ორგანიზაციაში ირიცხებოდა. გაიანე როგორც იქნა გაყვა ცოლად გიდონს, რომელიც ზოგჯერ როგორც ცოლს სამართლიან მოთხოვნებს უყენებდა, მაგრამ გიდონი არ არის კომკავშირელი ქმარი; იგი დატყვევებულია ძველი

ბურუუაზიული ოჯახის ტრადიციებით, გაიანეს კი ეს ტრადიციები უნდა გაენადგურებია, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო, ვერ შესძლო იმიტომ, რომ ივი იბრძოდა უორგანიზაციონი, კომკავშირის გარეშე. გიდონის მეოხებრი და ოჯახური საქმეებით გაიანე ჩამორჩა მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებას: კრებებზე იშვიათად დადის, მოაღწია კიდევაც მისი პარტიაში მიღების დრომ და მას აძლევენ მთელ რიგ პოლიტიკურ სახის კითხვებისას. ეკითხებიან ერთს და იგი პასუხობს მეორეს. ეკითხებიან მემარჯვენეობაზე და იგი პასუხობს „მემარცხენეობაზე“. გაიანეს აქ საკმაოდ აწითლებენ. მან ახლა, ისე როგორც არას დროს, იგრძნო ოჯახის სუსხი — იგრძნო იმიტომ, რომ იგი უტრადიციონი იყო, მას არ ქონდა გამოცდილება. აქ აღნიშნულ ნაწარმოებში ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე, რაც მწერალის მეთოდის უვარვისობას მიეწერება: ჯერ მოცემულია გაიანე — გატაცებული უჯრედის საქმეებით, რომლისათვისაც ის აბორტებს იკეთებს და მეორე მხრივ მოცემულია გაიანე ორგანიზაციულ მუშაობას ჩამოშორებული — კ. ლორთქიფანიძეს რომ აღნდშნული მოთხრობა დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდით დაწერა, მაშინ მოთხრობის სიუჟეტურ განვითარებას ასეთ გამოუვალ ჩიხში არ შეიყვანდა. მოთხრობა დაწერილია მხოხავ ემპირიზმის საშვალებით, რომელშიაც მარტოლდენ ფაქტების მშრალი რეგისტრაცია მოცემული.

მიუხედავად ამისა, მოთხრობიდან შემდეგი ძირითადი მოსაზრების გამოტანა შეიძლება: ავტორის მთელი სიმპატია გადახრილია იმ გაიანესაკენ, რომელიც პირველ ხანებში ცხოვრობდა ლალად, თუ ვისთანაც მოესურვებოდა და პრაქტიკულად ანხორციელებდა „ჭიქა-ჭყლის“ თე-

ორიას, მისთვის სქესობრივი საკიოხი სუფთა ჰაერი და  
თეთრი ჰური იყო, გვეუბნება ლორთქიფანიძე.

მრკლედ რომ ვსთქვათ ქ. ლორთქიფანიძის სიმპატია „ჭიქა წყლის“ თეორიის პრაქტიკულად განხორციელებულ  
გაიანესკენაა; ვეკითხებით მწერალს: სად იყო კომკავში-  
რის ორგანიზაცია, როდესაც გაიანე სქესობრივ საკიოხს  
ასე ანარქიულად აწესრიგებდა? სად იყო საზოგადოებრი-  
ვი აზრი რათა აღემალლებია ხმა იმ სოციალურ ბორო-  
ტების წინააღმდეგ, როგორიც კერძოდ აბორტია? გაიანე  
ამ მხრივ ხომ სპეცია?! რა ჰქონდა მხედველობაში ყოვე-  
ლივე ამის შემდეგ ქ. ლორთქიფანიძეს, როდესაც გაიანე  
ახალ ყოფაცხოვრებისათვის მებრძოლად შიიჩნია? მაგრამ  
ყოვილივე ეს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჩვენი პრო-  
ლეტარული მწერლები ჯერ კიდევ არ უკობენ კომკავ-  
შირულ ორგანიზაციას.

ქ. ლორთქიფანიძის ასეთი ტენდენციური მსჯელობა  
შემთხვევითი არაა. ტენდენციურია მთელი მოთხრობა ბო-  
ლომდე. მოთხრობაში ქ. ქ. ორგანიზაცია გამოყვანილია,  
როგორც უარყოფით ტიპების თავშესაფარი. მაგალითად  
ჩვენ არ გვესმის, თუ რას ნიშნავს ისეთი დაცინვა ორსულ  
გაიანეს მიმართ, რომელსაც ქ. ქ. უჯრედში სჩადიან? შეიძ-  
ლება მართლაც არსებობდეს თითო - ოროლა გომბორები  
ჩვენს ორგანიზაციაში, მაგრამ სად არის ამ. მწერალო კო-  
მკავშირის ჯანსალი ნაწილი, რომელსაც გამანალგურებელი  
იერიშები მიაქვს ძველი უკულტურობის წინააღმდეგ. ნუ-  
თუ მთელი უჯრედი დასკინის გაიანეს და უძახის: დატ-  
ყობია აქტივისტობა!

— გამეშჩენებულხარ.

— შაგრე აქტიურად უჯრედში რატომ არ მუშაობ ?!  
გადასძახებდენ გაიანეს და გამობერილ მუცელზე მიუ-  
თითებდნენ...

ვასკამ (კომკავშირელია. კ. მ.) წინ დაუდო ქალალდი.  
გაიანებ ჰყითხა:

— რა არის?

ვასკამ პასუხის მაგიერა გაიღიმა და ამ ღიმილმა გვე-  
ლივით უკბინეს; სახეზე საშინელი შემოაფრინდა, ქალა-  
ლდა დახედა. ეხატა: შიშველი ბავში. ირგვლივ რამდე-  
ნიმე ხელი, რომლებიც ჩაფრენოდენ ბავშის სხეულის ნა-  
წილებს: ზოგი ხელში, ზოგი ფეხში, ზოგი სად სურათის  
თავზე ეწერა: გაიანეს შვილი. ქვევით დასახელებულიი  
იყო რამოდენიმე ამხანაგების გვარი, რომელთანაც ოდესმე  
ეცხოვრნა გაიანეს. მოწერილი იყო მსხვილი ასრებით: “  
„ვინ რის გაკეთებაში მიიღო მონწილეობა“.

ის ხალხი კომკავშირლები არაა, არამედ ხულიგნები,  
რომლებიც, ჩვენდა საბეღნიეროდ, ჩვენს რიგებში არ  
არაან და არც იქნებიან. სად არის ბრძოლა უარყოფით  
ტენდენციების წინააღმდეგ? სად არის ის კომკავშირ-  
ლები, რომლებიც ახალ ოჯახისათვის იბრძვიან და ქმნიან  
კომუნისტურ ყოფა-ცხოვრებას?

ჩვენ არ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ გვაქვს უარ-  
ყოფითი მხარეები — ყოფის საკითხში, მაგრამ მწერლებმა  
არც ის უნდა დაივიწყონ, რომ ჩვენ მთელის სისასტიკით  
ვიბრძვით ასეთ უარყოფით მოვლენების წინააღმდეგ. ჩვენ  
სწრაფად ვუშვებით ლიკვიდაციას ყოფითი გახრწნილების  
ყოველგვარ ფაქტს, ჩვენი მწერლებისათვის კი ეს შეუმ-  
ჩნეველია. მათი აზრით კ. კ. ორგანიზაციი გახრწნილების  
სამზარეულოა და ხულიგნების თავშესაფარი.

კ. კ. ორგანიზაციის ასეთ ყალბად გაგების წინააღმდეგ  
ბრძოლა ჩვენთვის გადაუდებელი ამოცანაა. პროლეტარუ-  
ლმა მწერლებმა უნდა შეიგნონ, რომ კ. კ. ორგანიზაცია  
პარტიის საუკეთესო თანაშემწერა სოციალისტური მშენე-

ბლობის ყველა ფრონტზე. თქვენ ამხ. მწერლებო, უნდა შეიგნოთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია ლენინურ ორგანიზაციაა და არა ხულიგნებისა და საეჭვო ხლხის თავშესაფარი.

კ. ლორთქიფანიძემ თავისი მოთხოვნა სწორედ ამ შიმართულებათ გაშალა. ვერც ერთ დადებით ტიპს მოთხოვნაში ვერ ვხედავთ. კ. კ. უჯრედი, ლორთქიფანიძეს თუ დაუჯერებთ, ყოფითი გახრწნილების მორევში ცურავს. ინტრიგა, ჭორი, დაცინვა გათხოვილ კომკავშირელ ქალის მიმართ, ხულიგნური გამოსვლები და სხვა, აი, მათი პრაქტიკული საქმიანობა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვეჭობთ, რომ ასეთი ხალხი საღმე-გვყავდეს რომელიმე უჯრედში. ეს ყურ მოთრეული ამბავია, რომელიც ხელოვნურადაა მოხვეული კ. კ. ორგანიზაციის თავზე. კ. ლორთქიფანიძემ კი თავისი მოთხოვნა ამ ყურ-მოთრეულ ამბებით დატვირთა. მისი მოთხოვნა მხოლოდ და მხოლოდ უშუალო შთაბეჭდილების და ინტუიციის ნიშნის ქვეშაა დაწერილი, სადაც მან ვერ შესძლო დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის გამოყენება. ამ მდგრამარეობაში კი მწერალი სერიოზული საფრთხის შინაშე დააყენა. კ. ლორთქიფანიძემ ვერ შეამჩნია ვერც ერთი ჯანსაღი ტიპი კომკავშირის რიგებში. გაიანეს, რომელიც მას ახალ ყოფისათვის მებრძოლად შიაჩნია, ჩვენ კომკავშირელ პროსტიტუტკად და „ჭიქა წყლის“ თეორიის შესანიშნავ პრაქტიკოსად ვთვლით. გომბორს და სხვები ხულიგნებია; გილონი გაიანეს ქმარი, საბჭოთა ლუარსაბ თათქარიძეა, თოთიაური კი, რომელსაც ახასითაებს ცოტაოდენი ჯანსაღი ელემენტები, საღი აზროვნების უნა-

რი—მოთხოვბაში ჩანს ფერმკრთალად და უნებისყოფოდ გამოიყურება.

მთავარი და ძირითადი შეცდომა კ. ლორთქიფანიძისა, ამასთან ერთად, იმაში მდგომარეობს, რომ ვერ დაინახა პარტიული ხელმძღვანელობა კ. კ. უჯრედზე. ჩვენ არ ვიცით, თუ სად არის პარტია აღნიშნულ ნაწარმოებში, ან რატომ ვერ დაინახა ის კ. ლორთქიფანიძემ? მაგრამ ყოველივე ეს იმას ნოშნავს, რომ კ. ლორთქიფანიძე აღნიშნულ მოთხოვბაში გვევლინება აკანგარდიზმის კარგად ცნობილ თეორიის დამცველად, რომ შლის წინააღმდეგ ჩვენ სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კ. ლორთქიფანიძემ „პირველ დედა“-ში საკითხი ახალი ყოფის შესახებ თავიდანვე დააყენა არა სწორად; ამიტომ იგი გადაუჭრელი და პრობლემატიურად დარჩა. მიუხდავად ავტორის კეთილგანზრხებისა, რომ ვაიანე ახალი ოჯახის, კომკავშირულ ყოფისათვის მებრძოლად გამოიყვანოს იგი მაინც „ჭიჭაწყლის დეორიის“ ვანმხორციელებლად დარჩა.

მართალია ვაიანე უკვე გათხოვილია, გიდიონის ცოლია, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა საზოგადოებრივი საქმიანობის გარდა, ზრუნვა საკუთარ კომუნისტური ოჯახის შექმნისათვის, მაგრამ იგი ერთსაც ჩამოცილდა და მეორის სასაჩვებლოდაც არაფერი დაუთესია. ვაიანე დახედავდა რა თავის მუცელს, ერთის მხრივ (თუ დაუჯერებთ ავტორს! კ. მ.) აღეძვრება შთამომავლობის ინსტიტი, მაგრამ, აზრი... აზრი მოროტი აბორტისა, არ ასვენებდა. „მუცელს დავხედვ, გამაურეოლა, თითქოს გველს დავკარი ფეხი, თითქოს შვილის მაგიერ უსარგებლო ხორციელს ვატა-

რებ, რომელსაც დროზე უნდა მიუსწრო და  
მოჭრა, თორემ დაგხუთავს, დაგიავადებს.

მაქვს თუ არა ამის უფლება?

არჩევანი შეუძლებელია! — წამოვიძახე მაღალი  
ხმით.

ჩემი ხმა მეუცხოვა.

რა ვქნა, რომელი-რომელს შევწირო, რომელს-  
რომელი ვანაცვალო?!

მოვიხედე ირგვლივ, თითქოს ველოდე ვიღაცას,  
რომელიც მომაძებნინებდა პასუხს. ჩაძინებული  
სახლების სიმშვიდეს დარაჯობენ მბუუტავი ფარნები.  
ზევიდან მომავალი თოთიაური დავინახე, როგორც  
ცუდ საქმეზე წამოსწრებული, შევკრთი და მახლ-  
ობელ დერეფანს შევეფარე. თვალებში ემალის კრი-  
ალა დაფა. ჩამეძირა. ამოვიკითხე შავად წარწერილი  
სიტყვები:

გამოცდილი ბებია ქალი პარამანოვა.  
ძალლივით მეძერა ბოროტი აზრი; არ მომეშო.  
ვცადე.

მეტი სიაფთრით შემომიტია და ქვლავ ემალის და  
ფასთან მიმაგდო. მესმოდა მოახლოვებულ თოთიაურის  
ნაბიჯები. წარწერა მეორედ გადავიკითხე და... <sup>1)</sup>

აქ მთავრდება მოთხრობა. მთავრდება და მეტად და-  
შაფიქრებელია ეგ მდგომარეობა. ფაქტი-ფაქტად რჩება.  
გაიანემ ისევ შეინავარდა თივის ნაცნობ ადგილისაკენ აბო-  
რტის გასაკეთებლად. მას ბავში გველის წიწილად მიაჩნია.  
იგი ისევ ძველი გზით და ძველი მეთოდებით აწარმოებს მუ-

1) ხაზი ჩემია. ქ. ჩ.

შაობას. გაიანე ისევ აბორტით იზიანებს მუცელს, ისევ იბრძვის მოდგმის წინააღმდეგ.

ჩვენ ვასრულებთ რა მსჯელობას „პირველ დედა“-ს შესახებ, გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ როდესაც მწერალს მოთხოვთ გამოგყავს რომელიმე ტიპი სანიმუშოდ, მაშინ მას სხვებმა უნდა მიბაძონ. ასეთივე მისაბაძი უნდა იყოს გაიანეც მაგრამ... ჩვენ აქ შეგვიძლია გავიმეოროთ თოთიაურის სიტყვები: გაიანე, შენ აქტიური კომკავშირელი ქალი ხარ. რა გამოვა შენ რომ მოგბაძოს რიგითი წევრებმა. ვერც ერთი მათ განიოჯახს ვერ შექმნის „და ეს მართალია“ შვილი გვინდა, შვილი გესმის“ — აი, ხმები, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა, გაიანეს, მაგრამ გაიანე მაინც თავისას არ იშლიდა, იგი ისევ ძველი გზით მიდიოდა, ისევ აბორტებზე ფიქრობდა. ჩვენ ვფიქრობთ და ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: „პირველ დედა“-ში საკითხი ახალ ყოფაცხოვრებისა და ოჯახის შესახებ დასმულია არა წორად, კომკავშირის როლი ახალ ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლაში გაგებულია ყალბად, ახალი აღამიანის საკითხის გაგება დასულია პრიმიტიულობამდე; ყოველივე ეს კი გამომდინარეობს მეთოდის უვარგისობაში.

„პირველი დედა“ ჩვენ შეგვიძლია დავაფასოთ, როგოც დამახინჯება კომკავშირელთა ყოფა-ცხოვრების. „პირველ დედა“ არაა კომკავშირულ ყოფა-ცხოვრების შესახებ დაწერილი მოთხოვთა, რაღაც მასში მოცემული ტიპები არც ერთი არ არის კომკავშირელი! ახალი ოჯახი და ახლი ადამიანი ისეა რ იქმნება, როგორც ეს კ. ლორთქიფანიძეს წარმოუდგენია! ახალი ყოფისაოვის მებრძოლი, უპირველეს ყოვლისა, ახალ მოდგმისათვის მებრძოლია, რომლის ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა მიმართულია

გარევნილობის ყოველგვარ ფორმების და „ჭიქა წყლის“ თეორიის წინააღმოება.

ახალ კომუნისტურ ოჯახისთვის იბრძვის ჯანსაღი კომკავშირლები პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით და არა ხულიგნები და „საბჭოთა“ ახალგაზრდა პროსტიტუტკები.

ამხ. მწერლებო! თქვენ უნდა გაიგოთ, რომ ყოფა-ცხოვრების ირგვლივ არ შეიძლება წერა ისე, როგორც თქვენ წერთ ხოლმე. თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ ახალ ოჯახს, ყოფა-ცხოვრებას შექმნის არა აბორტით მუცელ დაგლეჯილი და ფიზიკურად დავაადმყოფებული ხალხი, არამედ ჯანსაღი ხალხი.

გაიანეს ახალი ყოფისათვის, ახალი ოჯახისათვის ბრძოლა არ შეუძლია. კომკავშირელის მანდატი, რომელიც მას ლორთქითანიძემ მისცა, ყალბია! იგი არაა კომკავშირელი! გაიანები ჩვენ არა გვყავს კომკავშირის ორგანიზაციაში. ბოლოსდაბოლოს გაიანე მებრძოლია არა ბურუჟაზიულ ყოფის წინააღმდეგ, არამედ პირიქით, ხელს უწყობს მის განმტკიცებას.

ახალი ყოფის საკითხები საერთოდ ფართოდ ისახებოდა რუსული პროლეტარულ-ლიტერატურაში, როგორიცაა მაგალითად იური ლიბერტინსკის „გმირის დაბადება“; ბოგდანოვის „პირველი ქალიშვილი“; გლადიკოვის „ცემენტი“ და სხვა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ ვერც ჩვენმა რუსმა ამხანაგებმა შესძლეს ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხის სწორად, ლენინურად გადაჭრა; კერძოდ, ლიბერტინსკი ამ მხრივ ძალზე უკიდურესობაში ჩავარდა. მას ახალ ყოფად საწოლ ოთახში მომხდარი „ტრაგიული“ ამბავი ეჩვენება. მისი „გმირის დაბადება“ მართლაც და გმირის დაბადება კი არაა, ჩვენება ნამდვილი გმირისა, არამედ გაყალიბება გმირის საკითხისა. აღნიშნული რომანი,

მხოლოდ და მხოლოდ მარტო ფსიქოლოგიზმის ნიუანსებს იტევს. ახალ გმირს ჩვენ აღნიშნულ ნაწარმოებში ვერ ვხედავთ. იქ მარტოლოდენ საწოლის ფსიქოლოგიაა გადმოშლილი.

ვერც ამზ. ულადკოვმა გაიგო სწორად ოჯახის საკითხი. „ცემენტი“-ს გმირი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი დაშა ჩუმალოვი არაა მებრძოლი ახალ ოჯახისათვის. იგი ახალი ადამიანის ტიპი არაა როგორც ამას შეცდომით რუსეთშიც და ჩვენშიც ფიქრობენ ზოგიერთი ამხანაგები.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ პროლეტარულ ლიტერატურას ამ მიმართებით ძალზე ბევრი რამა აქვს გაკეთებული, მაგრამ გასაკეთებელი მას მომავალში უფრო მეტი აქვს, აქ ამის დაწვრილებით ნათელყოფა შორს წაგვიყვანს.

საქართველო – რუსეთთან შედარებით, ჩამორჩენილია ამ მხრივ. ჩვენ საყოფა-ცხოვრებო მოთხრობები და ნაწერები მარტოლენ ორი-სამი გვაქვს. უსათუოდ მნიშვნელოვანია ს. თალაკვაძის „ოჯახი“, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინ დაიწერა. მას თავისი აქტუალობით მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ თალაკვაძემ ვერ შესძლო საკითხის საბოლოოდ გადაჭრა, მან დასვა პრობლემა ახალი ოჯახის, მაგრამ მან არ იცის კონკრეტიულად თუ როგორი უნდა იქნეს ეს ახალი ოჯახი:

ახალი ოჯახი არ არის ის, რაც გადმოცემულია ნელისა და ერმის სენტიმენტალურ წერილებში, რომელიც მკითხველებში ზოგჯერ დაცემულობის განწყობილებებს ქმნის.

ახალი ოჯახის პრობლემა დააყენა, ეგრეთვე სიმონ-  
წვერა გამ თავის „გულია“-ში.

ჩვენ დასასრულსაც იძახვე ვიტყვით რაც დასაწყისში  
ვთქვით: კომკავშირის გმირული ბრძოლები ახალი ყოფა-  
ცხოვრებისთვის ჯერ კიდევ არა მოცემული მხატვრულ  
ტილოებზე. არაა დამუშავებული და სწორად  
გაგებული ჩვენი მწერლების მიერ ახალი  
ოჯახის და ახალი ადამიანის საკითხი. ისი-  
ნი, საერთოდ და „ზოგადად“ აყენებენ ჩვენს  
წინ სკითხებს, ჩვენ მოვითხოვთ არა „საერ-  
თოდ“-ს და „ზოგად“-ს, არამედ ამ „საერთოდ“  
და „ზოგადის“ კონკრეტულად ახსნას ამ ახ-  
სნას კი ჩვენს მწერლობაში ჯერჯერობით  
ვერ ვხედავთ. დღემდე ქირთველმა პროლე-  
ტარულმა მწერლებმა ყოფა-ცხოვრების სა-  
კითხი მხოლოდ და მხოლოდ დამახინჯებუ-  
ლად ვაიგეს. ამ შდგომარეობის ლიკვიდაცი-  
ის და აღმოსაფხრელად საჭიროა ხანგძლივი  
და თავდადებული მუშაობა, ურომდისოდაც  
პროლეტარული მწერლებიამ მიმართებათ ვე-  
რაფერს გაიკეთებენ.

კომკავშირის იერიშები ძველ ტრადი-  
ციულ უკუღოსურობის წინააღმდეგ და ბრძო-  
ლა ახალ ყოფისათვის, ახალ ოჯახისათვის  
უნდა იქნეს მოცემული პორტარული მწერ-  
ლების მიერ მხატვრული ტილოებზე, დღეს ესაა  
საჭირო, ეს მათ უნდა შესძლონ, საც არ უნდა დაუჯდეთ.  
ჩვენ აშის იმედი ვვაქ.

3560 80 J.

39

2 529

